ჯონ ნეგროპონტე - ახალი დაზვერვის პირველი ხელმძღვანელი

A5

დასავლური ღირებულებები სახელმწიფო სამსახურში

A8

მას ისტორიამ სულ სხვა მისია არგუნა

B1

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 19 თებერვალი, 2005 წელი. №38 (898)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

პარლამენტში პროფკავშირებისთვის "მეხი" მზადდება

მმართველი გუნდი ირაკლი ტუღუშის უწყების წინააღმდეგ ბრძოლის მორიგ რაუნდს იწყებს და მოწინააღმდეგის დამარცხებას პარლამენტის ხელით გეგმავს.

A2

ეკონომიკა

ლიახვის ხეობები დენს ახალი ელექტროგადამცემი ხაზით მიიღებენ

დიდი ლიახვის ხეობის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელს კი ელექტროენერგიის მიწოდების გაუარესების ეშინია.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

ამინდი

	19/2	20/2	21/2
თბილისი	15	16	12
ქუთაისი	16	16	13
ბათუმი	16	14	15
სოხუმი	12	12	8
ფოთი	16	15	14
თელავი	13	14	10
ზუგდიდი	15	15	13
გორი	12	11	8
ახმეტა	14	13	10
ჭიათურა	13	13	11
გაგრა	10	10	7
სამტრედია	16	16	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8299
ევრო	2.3895
ბირვანქა სტერლ.	3.4660
რუბლი	0.0655

A		B	
ამბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
ეკონომიკა	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
საზოგადოება	A6	კვირა	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
დისკუსია	A8	სხვადასხვა	B8

რუსეთის ზეწოლა საქართველოზე

ბუშ-პუტინის შეხვედრის წინ

ეპნო ბასილაია, ფოტო

ვლადიმირ სოკორი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინიტრის, სერგეი ლავროვის თბილისში ვიზიტის აუცილებლობა, როგორც ჩანს, ჯორჯ ბუშისა და ვლადიმირ პუტინის ბრატისლავის შეხვედრითაც იყო ნაკარნახევი. მოსკოვი ცდილობს, საქართველოს მიმართ გამოთქმული მისი მუქარების განხილვა სამიტის დროს თავიდან აიცილოს. შესაძლოა, ლავროვმა ღიად დააფიქსიროს საქართველოს მიმართ ზედმეტად კეთილგანწყობაც, მხოლოდ იმ მოტივით, რომ სამიტის დღის წესრიგიდან საქართველოს საკითხის განხილვა გამორიცხოს. ამის გამოხატულებად, შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების წინადადების განხილვაც იყოს, თუმცა თავად რუსეთის ჩართვა, როგორც არბიტრის ან გარანტორის სახით ამ პროცესში დიდი სიფრთხილით უნდა იყოს განხილული.

ლავროვის გადაწყვეტილება, ვიზიტით წვეოდა საქართველოს, რუსეთის შეშფოთებას ამხელს, - ბუშს შესაძლოა, საკმარისი შესაძლებლობა აღმოაჩნდეს პუტინთან შეხვედრის დროს საქართველოს საკითხის წინ წამოსაწევად. ხოლო, როცა აშშ-ს პრეზიდენტი დარწმუნდება, რომ ლავროვის ვიზიტის შემდეგ სიტუაცია უმჯობესდება, საქართველოს მიმართ კრემლის დამოკიდებულება კვლავინდებურად ხისტ ხასიათს მიიღებს, და გაზაფხულისთვის რუს სამხედროებს უკვე ექნებათ შესაძლებლობა, საქართველოს შიგნით გამოგონილ ტერორისტებზე მიიტანონ დარტყმა, საზღვრის საერთაშორისო დამკვირვებლები კი უკვე ვეღარაფერს უარყოფენ, უბრალო მიზეზის გამო - ისინი აღარ იქნებიან იქ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლავროვის უსიამოვნო ერთი დღე თბილისში

ნინო გომართელი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის სამუშაო ვიზიტი საქართველოში წინასწარ და თანაც მკაცრად განსაზღვრული იყო: შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, ახალ პრემიერ-მინისტრთან, საქართველოს პრეზიდენტთან და ბოლოს, ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან. სერგეი ლავროვმა პატივი მიაგო ახლახან გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ხსოვნას, მაგრამ პრინციპულად არ მისულა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალთან.

"დღეს არაფერი გადაწყვეტილა. ვერ ვიტყვით, რომ რამეში არის პროგრესი. არც იყო ამის დრო და საშუალება. ჩვენ შევთანხმდით პრიორიტეტულ საკითხებზე, რომლებიც უნდა მოგვარდეს," - შეაფასა მისი კოლეგის ვიზიტი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა.

იმ უარყოფითი ფონის გათვალისწინებით, რაც წინ უძღოდა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თბილისში ვიზიტს, კომპრომისის და პროგრესის მიუღწევლობა გასაკვირი არც იყო. ჯერ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა უკვე მერამდენედ ახსენა პანკისის ხეობა, თითქოსდა იქ მყოფი საერთაშორისო ტერორისტები და შესაძლო წერტილოვანი დარტყმები მათ ბაზებზე; შემდეგ კი თავად ლავროვმა თქვა უარი, ყვავილებით შეემკო საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი, რის გამოც მის ოფიციალურ ვიზიტს სტატუსი შეუცვალეს და სამუშაო ვიზიტად აქციეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

სად იქნება აფხაზი ხალხი?

ისტორიული პარალელები და ველიკოდერჟავული მფარველობა

ნანა ტომარაძე

"დამოუკიდებელი" აფხაზეთი, უფრო სწორად, აფხაზური ხელისუფლება, ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად ზეიმობს. როგორც ჩანს, ეზეიმება და იმიტომ. სულ რაღაც ხუთი დღის წინ ბაგაფშის ინაუგურაცია იდღესასწაულეს, გუშინ კი, დიდ ძმასთან - რუსეთთან შეერთების, უფრო ზუსტად, მფარველობის თუ პროტექტორატის ქვეშ შესვლის 195-ე წლისთავი აღნიშნეს. ამ თარიღს დამრგვალება არ აცალეს, რადგან სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთს და ამ ტერიტორიაზე დარჩენილ ხალხს კვლავ რუსეთის ქვეშ ყოფნას, ანუ, პოლიტიკური ენით რომ ვთქვათ, ასოცირებულ წევრობას უპირებს.

ისტორია რომ მეორდება, ამის მკვიდრად სწამს აფხაზ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, სერგეი ბაგაფშის "პრეზიდენტობის" პირველი მცდელობის დროს ვიცე-პრეზიდენტობის მოსურნეს, შემდეგ კი მოკრძალებულად ჩაჩოჩებულ, ამჟამად აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანს სტანისლავ ლაკობას. იგი ამტკიცებს, რომ "თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კუთხით აფხაზეთი რუსეთის სახელმწიფოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული." 1810 წელს, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრეს მიერ გამოცემული მანიფესტით, რუსეთის იმპერიამ საკუთარი მფარველობის ქვეშ მიიღო აფხაზეთის სამთავრო. ცხადია, ამ შემთხვევაში რუსეთს და მის მონარქს არანაირი ზენა აზრები არ ამოძრავებდა. როგორც ყოველთვის და ყველგან, რუსეთის მიზნები და ზრახვები ველიკოდერჟავულ-იმპერიალისტური იყო. ზემოხსენებულ ისტორიკოს ლაკობას კი უხარია, რომ ისტორიულ პარალელს მიაგნო და ამაყად აცხადებს: "რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობა, რომელზეც ასე ხშირად საუბრობენ, ახალ იდეას სრულიად არ წარმოადგენს - ეს სისტემა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან არსებობს."

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან აფხაზეთში სიტუაცია არცთუ სახარბიელოდ ვითარდებოდა. ამ პერიოდში აფხაზეთის სამთავრო ორი ქვეყნის - თურქეთისა და რუსეთის ინტერესთა შეჯახებისა და ბრძოლის ველად იქცა. აფხაზეთის მთავარმა, პროთურქული ორიენტაციის ქელეშბეგ შერვაშიძემ ორიენტირი შეცვალა და რუსეთისკენ გაიხედა. ცხადია, თურქეთი ასეთ ცვლილებებს ვერ შეეგუებოდა და მთავარს ერთ-ერთი შვილი ასლანბეგი აუმხედრა. ასლანბეგმა, რომელიც თურქეთის პოლიტიკის გამტარებელი იყო, 1808 წელს საკუთარი მამა მოაკვლევინა. ასლანბეგს ამჯერად მისი ძმა საფარბეგი, გაქრისტიანების შემდეგ გიორგიდ წოდებული, დაუპირისპირდა. ცხადია, გიორგის ზურგს რუსეთი უმაგრებდა. სწორედ მისი თხოვნით 1810 წელს რუსის ჯარმა სოხუმი აიღო. როგორც ამბობენ, მაშინ რუსეთს აფხაზეთში ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავდა. 1812 წლის ბუქარესტის ზავით დასრულებული რუსეთ-თურქეთის ექვსწლიანი ომის შედეგად, თურქეთი იძულებული გახდა, აფხაზეთი რუსეთისთვის დაეთმო. არც ბუქარესტში უკითხავს ვინმეს აფხაზებისთვის რაიმე და არც შემდგომ, როცა 1864 წელს რუსეთმა საბოლოოდ შეიერთა აფხაზეთის სამთავრო - სწორედ ისე, როგორც დანარჩენი ქართული სამთავროები.

ეს მცირე ისტორიული ექსკურსი იმისათვის, რათა ისტორიკოს ლაკობას ოპტიმიზმი "გავიზიაროთ." ლაკობა კიდევ უფრო შორს მიდის და, ნებსით თუ უნებლიეთ, ოპტიმისტური ინერციით, უცნაურ განცხადებას აკეთებს: "დღეს მრავალეროვანი

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსების დანატოვარი ქიზიყის მოსახლეობას საფრთხეს უქმნის

დედოფლისწყაროში რადიაქტიული ნივთიერებების არსებობა დასტურდება

ზვიად რუაძე
კახეთიდან

თუ დღემდე კომპეტენტური პირები დედოფლისწყაროს სამხედრო პოლიგონზე რადიაქტიული ნივთიერებების შესახებ ინფორმაციებს უარყოფდნენ, ამჯერად ცნობილი ხდება, რომ რაიონში რადიაციის საშიშროება მართლაც არსებობს. ამ ინფორმაციას "24 საათთან" საუბარში ეუთო-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო ჯგუფი "დელტა" და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროც ადასტურებს. რადიაქტიული ნივთიერებების ნარჩენების გატანას კი რამდენიმე თვე სჭირდება.

ეუთო-ს წარმომადგენლები სამხედრო ბაზასთან არსებული სოფლების - არხილოსკალოს და ქვემო ქედების - მოსახლეობას ხვდებიან და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას ეცნობიან, ჟურნალისტებთან კომენტარებისგან კი თავს იკავებენ. მათ ნაცვლად პასუხებს დედოფლისწყაროში ეუთო-ს დელეგაციასთან ერთად ჩასული გარემოს დაცვის სამინისტრო და სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი "დელტა" იძლევა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ისარგებლეთ & იკითხეთ 24 საათი

იხილეთ B3 გვერდზე

"BP" რუსეთს აიძულებს, ევროკავშირთან იმეგობროს

უახლოეს 15 წელიწადში ევროპის დამოკიდებულება რუსული ენერგომატარებლების მიმართ 70 პროცენტამდე გაიზრდება, - თვლის ბრიტანული კომპანია "British Petroleum"-ის თავმჯდომარე ლორდი ბრაუნი. ასეთ სიტუაციაში "BP"-ს თავმჯდომარე გამოსავალს რუსეთსა და ევროკავშირს შორის "ულრუბლო" ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ხედავს.

ბრიუსელში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე, დიპლომატების და ბიზნესმენების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ბრიტანული კომპანია "British Petroleum"-ის თავმჯდომარემ ლორდმა ბრაუნმა განაცხადა, რომ მისი აზრით, რუსეთის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს, საკუთარი ნავთობის და გაზის რესურსების შესაძლებლობებს ყურადღება მიაპყროს. ლორდი ბრაუნი, რომელსაც რუსული ნავთობის და გაზის სფეროში 4 მილიარდ ევრომდე აქვს დაბანდებული, თვლის, რომ **"პოტენციური ინვესტორები რუსეთს არა როგორც შესაძლებლობას, არამედ როგორც რისკს განიხილავენ."**

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მიერ მოხმარებული ნავთობიდან 30 პროცენტი საკუთარი რესურსებია, ხოლო 50 პროცენტი - რუსული, მოსკოვსა და ევროკავშირს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობებს ძნელია უწოდო ულრუბლო, - მიიჩნევენ დასავლელი ექსპერტები.

შექმნილ სიტუაციაში ლორდი ბრაუნი ურთიერთობების მოსაგვარებლად საკუთარი კომპანიის ამოცანას რუსეთში და ევროკავშირის ქვეყნებში პლატფორმის შექმნაში ხედავს. სხვა დეტალები მას არ გაუმხელია. თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ თავისი ახალი "ვილობილი" წარმოუდგენია, როგორც გარკვეული პარტნიორობა პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს და რუსეთის და ევროკავშირის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. **"ეს პარტნიორობა მოსკოვსა და ბრიუსელს შორის არსებულ ურთერთობებზე იმსჯელებს და მუშა პარტნიორულ ურთიერთობებს ჩამოაყალიბებს,"** - აღნიშნა "British Petroleum" -ის თავმჯდომარემ.

ლორდი ბრაუნი მოსკოვის გადაწყვეტილებასაც შეეხო, რომლის თანახმადაც, რუსეთი უცხოურ კომპანიებს გაზის და ნავთობის საკუთარ რესურსებთან არ მიუშვებს. ლორდი ბრაუნის განცხადებით, ეს მხოლოდ გაგრძელებაა იმ პოლიტიკისა, რომელიც წარსულში იგეგმებოდა. რაც შეეხება "იუკოსის" ბედს, ლორდმა ბრაუნმა ამ საკითხზე საუბარს დიპლომატიურად აარიდა თავი.

ერთობლივი საჩუქარი ჭარს

გუშინ კრწანისის საწვრთნელ ბაზას ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული, რუსთავის მერი და მხარის ოთხი რაიონის გამგებლი დიდი საჩუქრით ესტუმრნენ. საჩუქრები სატვირთო მანქანებში და მიკროავტობუსებში იყო განთავსებული.

"ეს არის რეგიონული მასშტაბით განხორციელებული პროექტი. ჩვენ ჯარისკაცებს, წინასწარი შეთანხმებით, ერთობლივი საჩუქარი გავუკეთეთ. აქ არის ტელევიზორები, 5 გენერატორი, კომპიუტერი, საოფისე ნივთები და სამშენებლო მასალები, საკვები პროდუქტები," - განაცხადა ზურაბ მელიქიშვილმა. მან და სხვა სტუმრებმა საკუთარი ხელით გადმოტვირთეს ტვირთის ნაწილი მანქანებიდან.

მე-6 რეგიონული ბაზის უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ არჩილ თაფლიაშვილის განცხადებით, საჩუქარი ძალიან წაადგება საწვრთნელ ბაზას, სადაც ამჟამად 860 ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავთ. აქედან 39 ინსტრუქტორია, 52 ადგილობრივი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე, 637 რეზერვისტი და კიდევ 137 რეზერვისტი, რომლებიც ქუთაისის ბრიგადისთვის მზადდება.

მაია მოსიაშვილი

პრეზიდენტმა გენშტაბის უფროსი თანამდებობიდან გადააყენა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართვის საფუძველზე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე თანამდებობიდან გადააყენა. კაპანაძის ადგილზე გენშტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი დაინიშნა.

ამის შესახებ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა ალანა გაგლოევამ განაცხადა. მისი განმარტებით, აღნიშნული საკადრო გადაადგილება არმიაში მიმდინარე რეფორმებს უკავშირდება.

ვახტანგ კაპანაძე სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის მთავარ სამხედრო მრჩევლად იმუშავებს და მისი მოვალეობა შეიარაღებული ძალების კონტროლი იქნება.

ინტერ-პრესი

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 22 თებერვალს, გამოტანილ იქნება N6 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 23 თებერვალს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 23 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

პარლამენტში პროფკავშირებისთვის "მეხი" მზადდება

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლების ყოველი მცდელობა, სახელმწიფოს დაუბრუნდეს პროფკავშირების განკარგულებაში არსებული უზარმაზარი ქონება, დღემდე უშედეგოდ მთავრდებოდა. მმართველი გუნდი ირაკლი ტყულუშის უწყების წინააღმდეგ ბრძოლის მორიგ რაუნდს იწყებს და მოწინააღმდეგის დამარცხებას პარლამენტის ხელით გეგმავს.

ლევან ხუციშვილის ფოტო

მმართველი გუნდი ირაკლი ტყულუშის უწყების წინააღმდეგ ბრძოლის მორიგ რაუნდს იწყებს და მოწინააღმდეგის დამარცხებას პარლამენტის ხელით გეგმავს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო კალანდაძის ინიციატივით შემუშავდა "პროფესიული კავშირის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში პროფკავშირების წევრთა ხელახალ რეგისტრაციას ითვალისწინებს.

ხელისუფლების ვარაუდით, რეგისტრაციის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდება, რომ პროფკავშირები ძალზე მცირერიცხოვანი ორგანიზაციაა, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სახელით საუბრის და, აქედან გამომდინარე, ხალხის მიერ შექმნილი ქონების განკარგვის უფლება.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებს მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი პროფკავშირების პირველადი ორგანიზაციები უნდა გაუქმდეს და ხელახლა დაფუძნდეს. დეპუტატი კახა კუკავა მოითხოვს, რომ აღიკვეთოს პრაქტიკა, როდესაც პროფკავშირების საწევრო გადასახადის აკრეფა ხელფასიდან თანხის ავტომატურად ჩამოჭრის გზით ხდება. **"უნდა დავავალოთ ბუღალტრებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუქვითონ მოქალაქეს პროფკავშირების საწევრო გადასახადი, თუ მას ექნება დაწერილი ახალი განცხადება პროფკავშირის რიგებში ყოფნის თაობაზე,"** - აცხადებს პარლამენტარი.

"საკანონმდებლო ცვლილება მეხის გავარდნასავით იქნება," - პროფკავშირების ხელმძღვანელობისთვის განსაცდელის მოახლოებას გუმანით გრძნობს ყოფილი გენერალური პროკურორი, ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი გია მეფარიშვილი.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ის კრიმინალური, სისხლიანი ანგარიშსწორებაც გაიხსენეს, რომელსაც ირაკლი ტყულუშის წინამრბედი ემსხვერპლა. ითქვა ისიც, რომ ზვიად გამსახურდიას დროს ქონება პროფკავშირებს გადაეცა, რომელმაც, თავის მხრივ, ის სხვა ორგანიზაციას უფეშქაშა, რითაც ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრე სახელმწიფოსგან დისტანცირებული აღმოჩნდა.

პროფკავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაციის აუცილებლობის არგუმენტად პარლამენტარებს ის გარემოება მოჰყავთ, რომ გასულ წელს საქართველოში განხორციელდა საჯარო დანესებულებათა ფართო სტრუქტურული რეფორმა, რომელსაც თან სდევდა მოხელეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია და, ამდენად, საჭიროა, ხელახალი რეგისტრაციის გზით დადგინდეს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც პროფესიულ კავშირებს მიეკუთვნებიან.

თუმცა, გამორიცხული არ არის, პარლამენტიდან პროფკავშირზე დაწყებული შეტევა წარუმატებელი აღმოჩნდეს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ვერ ამბობენ, რას მოიმოქმედებენ იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირების ხელმძღვანელობა თავის წევრთა ხელახალ რეგისტრაციაზე უარს იტყვის.

თბილისის საკრებულოს შემადგენლობა განახევრდება

მალე "თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებები შევა, რომლის მიღების აუცილებლობაზე პოლიტიკური სპექტრი დიდი ხანია, საუბრობს. მთავარი ცვლილება მერის არჩევითობას, საკრებულოს წევრთა რაოდენობის შემცირებას და მერისა და საკრებულოს ურთიერთობებს ეხება. თუმცა, უმრავლესობის მიერ მოწონებული კანონპროექტით უკმაყოფილონი არიან ოპოზიციონერები, რომელთა განცხადებით, კანონში გაცილებით რადიკალური ცვლილებები უნდა შევიდეს.

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ამ კანონპროექტის "მოთელვა" დაიწყო. უახლოეს დღეებში მას უკვე საბოლოო სახე მიეცემა და პარლამენტში უკვე ოფიციალურად შევა. თავად პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირაში მოხდება.

უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, თბილისის მერი ირიბი წესით, საკრებულოს შემადგენლობიდან აირჩევა. თავად საკრებულოს არჩევნები პროპორციული ანუ პარტიული სისტემით გაიმართება და თბილისელები 25 დეპუტატს აირჩევენ. თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღეს საკრებულოში 49 დეპუტატია, რომლის წევრთა უმრავლესობას თბილისელები არც კი იცნობენ, დეპუტატთა რაოდენობის შემცირება აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. თანაც, მილიონნახევრიან ქალაქისთვის 49 დეპუტატის შენახვა (რომლებმაც ხელფასები თავად დაინიშნეს და მათი გასამრჯელო 1000 ლარზე ნაკლები არ არის) საკმაოდ დიდი ფუფუნება იყო. აქედან გამომდინარე, თბილისის საკრებულოს დეპუტატთა რაოდენობის განახევრება არც ერთ პოლიტიკურ გუნდში პროტესტს არ გამოიწვევს.

თუმცა, აზრთა სხვადასხვაობაა თავად მერის არჩევნებთან დაკავშირებით. საპარლამენტო უმრავლესობის გადაწვეტილებით, მერი საკრებულოს შემადგენლობიდან აირჩევა. არჩევნების მერე მას უფლებამოსილება შეუწყდება და საკრებულოში მის ადგილს პარტიული სიის მომდევნო წევრი დაიკავებს.

განსხვავებული პოზიცია აქვთ ოპოზიციონერებს - "ახალი მემარჯვენეების" ალტერნატიული პროექტის მიხედვით, მერი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული. "მემარჯვენეების" განცხადებით, თბილისის მერი მოსახლეობის წინაშე აუცილებლად უნდა იყოს პასუხისმგებელი, უნდა იყოს პოლიტიკური ფიგურა და ამის "არავის არ უნდა ეშინოდეს".

გუშინდელ სხდომაზე მერის გადაყენების პროცედურებიც განსაზღვრეს. უმრავლესობის მიერ მონონებული კანონპროექტის მიხედვით, საკრებულოს არ შეეძლება მერის გადარჩევა მისი თანამდებობაზე დანიშვნიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში. თუკი ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტს, რომ მერს უნდობლობა გამოუცხადოს, საკრებულომ საკითხი კენჭისყრაზე უნდა დააყენოს. ამასთან ერთად, დეპუტატებს უნდა ჰყავდეთ შერჩეული მერის ახალი კანდიდატურა. და რაც ყველაზე საინტერესოა - ძველი მერის გადაყენებას და ახლის დამტკიცებას საკრებულო ერთდროულად უყრის კენჭს. თუკი საკითხი ჩავარდება, მაშინ მოქმედი მერი თანამდებობას შეინარჩუნებს. საგულისხმოა, რომ საკრებულოს არ ექნება მერის გადაყენების უფლება საკრებულოს არჩევნებამდე სამი თვით ადრე.

თუკი საკრებულო ორჯერ ზედიზედ არ დაამტკიცებს მერის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს, მას უფლება ექნება, მერის იმპიჩმენტის საკითხი დასვას. ამ წამოწყების წარუმატებლობის შემთხვევაში, მერი საკუთარ სკამს შეინარჩუნებს, საკრებული კი თავის ფუნქციონირებას ვადამდე ადრე შეწყვეტს, სამი თვის თავზე კი დედაქალაქში საკრებულოს ვადამდელი არჩევნები გაიმართება.

ახალი კანონპროექტით, უქმდება ქალაქის პრემიერის პოსტი. მერის გადაყენების, თანამდებობიდან ნებაყოფლობით წასვლისა ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ვიცე-მერი შეასრულებს.

რუსების დანატოვარი ქიზიყის მოსახლეობას საფრთხეს უქმნის

პირველი გვერდიდან

ამ უკანასკნელი ორგანიზაციის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ სამხედრო ბაზაზე დღესდღეობით საგანგაშო არაფერია, იმ შემთხვევაში, თუ ახლომახლო ტერიტორიაზე ადამიანები ხშირად არ ხვდებიან.

"ვერ გეტყვით, რომ იქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი ყველანაირ ღონეს იხმარს, განაღმული იყოს ის ადგილები, რომელმაც შეესაძლოა რაიმე საფრთხე შეუქმნას მოსახლობას," - ამბობს "დელტას" განერალური დირექტორის მოადგილე დევი ფირცხალავა და იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს შირაქის სამხედრო ბაზაზე საბრძოლო იარაღი ინახება, არ შეესაბამება სიმართლეს და პროვოკაციის აგორება გარკვეულ ძალთა ინტერესებში შედიოდა.

ზურაბ ოქროპირიძის ფოტო

ეს არის ჭა, სადაც რადიაქტიული ნივთიერებაა ჩამარხული.

სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი "დელტა", ეუთო-ს დაფინანსებით, უკვე მეორე წელია რაც, რუსების მიერ დანატოვარ გიგანტურ სამხედრო პოლიგონზე უტილიზაციას აწარმოებს და დღემდე ექვსასამდე საბრძოლო იარაღი და სხვადასხვა სახეობის ასაფეთქებელი ყუმბარებია განადგურებული. თუმცა, როგორც ლოგისტიკის სარდლობამ რამდენიმე დღის წინ "24 საათს" განუცხადა, ბაზის ტერიტორიაზე კიდევ ინახება ასობით ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა, რომელიც ძლიერი სიცხეების შემთხვევაში, რადიაციულ საფრთხეს უქმნის სამხედრო ბაზასთან არსებულ სოფლებს. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს "დელტას" წარმომადგენლობა.

ამჯერად აქცენტი, რადიაციულ ჭებზე კეთდება. დევი ფირცხალავა აღნიშნავს, რომ ჭაში რადიაქტიული ნივთიერებების არსებობის შესახებ ინფორმაცია "დელტამ", შემოწმების შედეგად ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ აღმოაჩინა, მაგრამ მათ მიერ, ეკოლოგიის სამმართველოსთვის გადაცემული ინფორმაცია რეაგირების გარეშე დარჩა. გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამმართველოს უფროსის, ლერი მესხის განმარტებით , რადიაციული ჭა მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის, თუმცა იმასაც ამბობს, რომ ჭაში შენახული ნივთიერებები მეტად საშიშია. **"უნდა გითხრათ ისიც, რომ ამ ტერიტორიაზე სამი ასეთი წყარო ჯერ კიდევ 1999 წელსაა აღმოჩენილი, როცა აქ სასაზღვრო ჯარი იყო განლაგებული. რადიაქტიული ნივთიერებებით სავსე "კონტეინერში" კი სერიოზული წყაროები ინახება, კერძოდ ცეზიუმ 127, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ "კონტეინერი" დაცულია და საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან რადიაციის მაჩვენებელი ამ დროისთვის დაბალია,"** - ამბობს ლერი მესხი.

ლოგისტიკის სარდლობის განცხადებით კი, აღნიშნული პრობლემის მოგვარება მას შემდეგ მოხდება, როცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო რადიაქტიული ნივთიერებების სპეციალურ საცავს ან სამარხს გააკეთებს. გარემოს დაცვის სამინისტროს პასუხი კი ასეთია: **"ეს მარტო ჩვენი საფიქრალი კი არა, ლოგისტიკის პრობლემაცაა. სანამ გამოჩნდება ადგილი ასეთი ნივთიერების სპეციალური საცავებისთვის, მათაც უნდა გამონახონ საშუალება, რომელიმე სამხედრო ნანილის ტერიტორიაზე,"** - აცხადებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი ლერი ფირცხალავა და იგი იქვე იმედს იძლევა, რომ ზაფხულიდან უკვე იქნება ისეთი საცავი, სადაც მოხდება ყველა სამხედრო ბაზიდან რადიაქტიული ნივთიერებების გატანა და დამუშავება.

მოკლედ

ედპ თბილისის მერის არჩევნებს მოითხოვს

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" ხელისუფლებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისკენ მოუწოდებს. საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 16 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, დედაქალაქის მერის თანამდებობა არა დანიშვნითი, არამედ არჩევითი უნდა იყოს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ეროვნულ დემოკრატიული პარტიის" პრეზიდიუმის წევრებმა უტა ლიპარტიამ და გიორგი ხმელიძემ განაცხადეს, 16 თებერვლიდან თბილისის მერის საქმიანობა უკანონოა და მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, კანონის შესაბამისად, ბათილად ჩაითვლება.

"ეროვნულ-დემოკრატები" კატეგორიულად მოითხოვენ მერის არჩევნების დანიშვნას და აცხადებენ, რომ დედაქალაქის მერი მოსახლეობამ უნდა აირჩიოს და არა საკრებულომ. პარლამენტში შესული კანონპროექტის თანახმად, ქალაქის მერს საკრებულოს წევრები საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ, რასაც ედპ-ს წევრები მიუღებლად თვლიან.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, რომელიც ბერლინში სტუმრის სტატუსით იმყოფება, გერმანიის მთავრობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს ხელისუფლების გეგმებს აცნობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის შენახვა-რეალიზაციის ფაქტზე ორი პირი ამხილა. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ქობულეთში, მოქალაქე ვალერი რუსიძის საცხოვრებელი ბინიდან ფინანსურმა პოლიციამ 32 400 ლარის ღირებულების 28 000 კოლოფი, სხვადასხვა დასახელების კონტრაბანდული გზით შემოტანილი სიგარეტი ამოიღო. რუსიძე აჭარის წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. მას კანონის დარღვევისთვის 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ კი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის სამი ფაქტი გამოავლინა. კანონის დარღვევაში მხილებული არიან ნიკოლოზ მელითაური, ვეფხია მჭედლიძე და ნუკრი გაბოძე, რომლებსაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე 3 400 ლარის ღირებულების 2 200 კოლოფი კონტრაბანდული სიგარეტი გადაჰქონდათ. სამივე პირის მიმართ ფინანსურ პოლიციაში სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. კანონდამრღვევებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ღონისძიება "ხაფანგი-2005"-ის პირველ ეტაპზე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ძებნის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დაიკავეს განზრახ მკვლელობისთვის და ხულიგნობისთვის ძებნილი, 19 წლის გაიოზ გვერდწითელი, რომელმაც 2004 წლის 14 მაისს საფრანგეთის მოქალაქის ნეპემი ჟაკიეს ბინაში დანით მოკლა სტუმრად მყოფი კ. ხელაშვილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბაკურიანის შს განყოფილებაში დაბა წაღვერში მცხოვრებმა, 26 წლის ვასილ ხაჩიძემ ნებაყოფლობით ჩააბარა პისტოლეტი "მაკაროვი", რომელიც მისი განმარტებით, 15 თებერვალს მისმა ნათესავმა ბაკურიანში, "კოხტა გორის" მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სად იქნება აფხაზი ხალხი?

პირველი გვერდიდან

აფხაზეთი ძირითადად რუსულ ენაზე საუბრობს, რომელიც ამავდროულად აფხაზეთის სახელმწიფო ენაცაა." მართლაც უცნაურია აფხაზის, თანაც ისტორიკოსის მხრიდან ასეთი მოსაზრებით თავის მოწონება. კიდევ კარგი, რომ სოხუმში ოდნავ განსხვავებული აზრიც ისმის. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის დოცენტი ირინა აგრბა მიიჩნევს, რომ "აფხაზეთი გასული საუკუნეების გამოცდილებას არ გაიმეორებს. რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში არსებობით, ოცდამეერთე საუკუნის აფხაზეთი საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისკენ მიისწრაფვის."

ისტორიული პარალელების გავლება და, საერთოდ, ისტორიის ცოდნა კარგია, ოღონდ - კარგად ცოდნა; რეალობის გათვალისწინება მით უკეთესია. რეალობა კი ის გახლავთ, რომ რაც უნდა ეცადონ აფხაზ სეპარატისტთა "გულშემატკივარი" რუსი პარლამენტარები აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღების პროცედურის გამარტივებას, რაც უნდა ეხვეწოს სოხუმის ხელისუფლება რუსეთს რამენაირ წევრად მიგვიღეო - ეს მაინც ვერ მოხერხდება. ამის შესახებ ინტერესგამძაფრებულ რუს დეპუტატებს საკუთარმა საკონსტიტუციო სასამართლომაც განუმარტა.

რაც შეეხება გუშინდელ ღონისძიებებს სოხუმში: "ახალარჩეულმა პრეზიდენტმა" სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ "აფხაზეთის ახალი ხელისუფლება, გასაგები მიზეზების გამო, მოკრძალებულად აღნიშნავს რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის 195-ე წლისთავს. ამასთან, ეს თარიღი აფხაზეთისთვის მნიშვნელოვანია. აფხაზეთი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა გაღრმავებას აპირებს."

"ჩვენ ვიყავით და ვიქნებით რუსეთთან ერთად," - კოჭს აგორებს ბაგაფში. ისინი მართლაც არიან რუსეთთან. მთავარია, სად იქნება აფხაზი ხალხი.

მოკლედ

აფხაზეთს რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ეწვევა

რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი დღეს აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ჩავა.

ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ვალერი ლოშჩინინი თვითგამოცხადებული აფხაზეთის ახლადარჩეულ პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს, ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯინბას, პრემიერ-მინისტრს ალექსანდრ ანქვაბს და სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს სერგეი შამბას შეხვდება.

ბაგაფშის მთავრობა მუშაობას მოსკოვიდან დაიწყებს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში და პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში, "კონკრეტული წინადადებებით" სამუშაო ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრებიან. ამის შესახებ გუშინ სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა, რომლის თქმით, აფხაზური ხელისუფლება "უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზეთში არსებული ეკონომიკური პრობლემების რუსეთთან ურთიერთობების გააქტიურებით მოგვარებას."

ინტერ-პრესი

ФОТО-РЕПОРТАЖИ РАДИО МЕГВАНЕ ТАЛГИС СТУДИИДАН

РАДИО МЕГВАНЕ ТАЛГА ТАВИСУФАЛИ АГРИС РАДИО FM 107.4

„რადიო დილა“ ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

სიყვარული,ხანძარი და პომპიერო

წარმოებული: გაგა ბობრინიძე,ქეთევან კორძახია

სტუმარი: პოლკოვნიკი დავით გელაშვილი,საქართველოს შსს-ს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხანძრის ქრობის და საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი
ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ მახარაშვილი,საქართველოს შსს-ს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხანძრის ქრობის და საბრძოლო მომზადების განყოფილების პრეს-ცენტრის უფროსი

დაფიქრებული: ამჟამად თბილისელი მეხანძრეების ხელფასი 80 ლარიდან 190 ლარამდე გაიზარდა. მაღლობის შეკი რა გეფიქრა,მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება და არა მიქვს უფლება მას გვერდი აუვლო. საქმე ისაა რომ,რომ ვერავი წოლებულ პერიფერიაზე მეხანძრეების ხელფასი არ აღემატება 25-30 ლარს. ასე თუ გაგრძელდა რაიონებში სახანძრო სამსახურები აღარ იარსებებს.

ავთანდილ მახარაშვილი: მეხანძრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ პრევენციულ ღონისძიებებს,რადგან ხანძრის აღკვეთა უფრო აღვილია ვიდრე ბაქრობა. ამიტომაც ვამბობთ სხვადასხვა სახანძროსაშიშ ობიექტებზე პროფილაქტიკური საქმიანობების გაკეთებას. კერძოდ ხასწავლი დაწესებულებებში,ღამურელთა გასახლების აღკვეთაში,ანიდიკეთის ობიექტებზე გრეხისიგების ჩაგარების და მნიშვნელოვნად შეეუწყობთ ხელს აღგილობრივი მოსახლეობა პერსონალის,მოწვეული ახალგაზრდობის გათვითცნობიერების სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში.

ლავროვის უსიამოვნო ერთი დღე თბილისში

პირველი გვერდიდან

ეასო ბასელია. ფოტო

შეხვედრა პრეზიდენტ სააკაშვილთან.

ინტერპრესი

ვიზიტი პარლამენტში.

რა საფუძველი ჰქონდა ამ ყველაფერს, იყო ეს სეპარატისტების მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება, თუ ღიად დაფიქსირება საქართველოსადმი დამოკიდებულებისა, ლავროვს არ განუმარტავს, თუმცა ფაქტი და შედეგი ერთი იყო - რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველებმა სამშობლოში საპროტესტო აქციებით და სამგლოვიარო მუსიკით გააცილეს.

მანამდე კი, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, სადაც გაირკვა, რომ მხარეები ქართულ-რუსული ურთიერთობების მოსაგვარებლად კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას ორ თვეში ვარაუდობენ.

"ეს წელი ძალზე რთული იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში. ნდობის ფაქტორი არ არის ისეთი, როგორიც ორ მეზობელ, ევროპულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს და საჭიროა რეალური, კონკრეტული პროგრესი," - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და განმარტა, რომ უახლოეს მომავალში, ექსპერტთა ჯგუფი რუსულ-ქართული ურთიერთობების ძირითად საკითხებზე ინტენსიურ მუშაობას დაიწყებს და ეცდება, ამ მიმართულებით კონკრეტული სამოქმედო პროგრამა ორი თვის ვადაში წარმოადგინოს.

ძირითადი საკითხებია: საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა; საზღვრის დელიმიტაცია; ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გამარტივება; კონფლიქტების მოგვარება; ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის შესახებ კონცეფციის შემუშავება; ჩარჩო ხელშეკრულების დეტალების დაზუსტება.

სალომე ზურაბიშვილის ინფორმაციით, თუ ამგვარი დოკუმენტის შემუშავება მართლაც მოხერხდება, არ არის გამორიცხული, 9 მაისს საქართველოს პრეზიდენტი, მოლაპარაკებების გამართვის მიზნით, მოსკოვს ეწვიოს.

"ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ნება, წინ წავიდეთ და რუსეთთან ურთიერთობები დავალაგოთ," - განაცხადა მან.

სერგეი ლავროვს კი ვიზიტის შედეგად **"ფრთხილი ოპტიმიზმის გრძნობა დაეუფლა."** მისი შეფასებით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ-რუსული ურთიერთობების დასარეგულირებლად და იმ შეთანხმების სარეალიზაციოდ, რომელსაც ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა გასულ წელს მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებებზე მიაღწიეს.

მანვე საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ვითარებებზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი ამ კუთხით მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებს, ხოლო **"დარეგულირებას თვით მხარეებმა უნდა მიაღწიონ."**

მანამდე კი, ლავროვთან შეხვედრის შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

"რუსულ მხარესთან შეთანხმებით უნდა შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თარიღს ორი თვის განმავლობაში დაადგენს," - თქვა მან.

საქართველო რუსეთთან მოლაპარაკებისას ორ ძირითად საკითხს აყენებს - საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის და როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლების შესახებ. მისივე განცხადებით, ოფიციალური თბილისის პოზიცია რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანასთან დაკავშირებით, ერთმნიშვნელოვანი და პრინციპულია.

რაც შეეხება როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლების საკითხს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, რუსული მხარე ამ საკითხის ოსურ მხარესთან შეთანხმებას მოითხოვს. მისი აზრით, თუ რუსეთი საკითხს ამგვარად დააყენებს, მაშინ აღნიშნული გადაწყვეტილების ბედი მთლიანად სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების პოზიციაზე იქნება დამოკიდებული.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის თქმით, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსული მხარე საქართველოსთან მოლაპარაკებებისას კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. ბურჯანაძის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებაზე ხელი მხოლოდ მაშინ უნდა მოეწეროს, როდესაც ყველაზე მწვავე საკითხები მოგვარდება.

"საქართველოს რუსეთთან მოლაპარაკებების დროს პრინციპული პოზიცია უკავია," - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა ალანა გაგლოევამ სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტ სააკაშვილის სახელით განაცხადა.

"ქართული მხარის პოზიცია ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ქართული მხარე მზად არის რუსეთთან კომპრომისებზე წასასვლელად, მაგრამ რუსეთისთვის დათმობების განხორციელებას არ აპირებს," - აღნიშნა მან.

მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის შეხვედრაზე მხარეებს არანაირი შეთანხმებისთვის ხელი არ მოუწერიათ, ვინაიდან **"საქართველოს ბევრი პრეტენზია აქვს რუსეთის პოლიტიკასთან, კერძოდ, სეპარატიზმის წახალისებასთან დაკავშირებით."**

"ჩვენ შევთანხმდით, რომ შემდეგი ორი თვის განმავლობაში შევეცდებით, მოვხსნათ პრობლემური საკითხების უმრავლესობა, რუსეთის სამხედრო ბაზები კი საქართველოდან უმოკლეს ვადებში უნდა იქნეს გაყვანილი," - დასძინა გაგლოევამ.

უიმედობის ერთი წელი

***დღის შეკითხვა:** როგორ გესახებათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარება უახლოესი ერთი წლის განმავლობაში?*

ვერიკო თევზაძე

ელენე თევდორაძე, *უმრავლესობის ფრაქციის წარმომადგენელი.*

პერსპექტივას ნამდვილად ვერ ვხედავ. იგივე ლავროვის ჩამოსვლა ჩვენთან, მიზნად ისახავს, რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოებას მოაჩვენოს, რომ რაღაცას ცდილობს.

რუსი დიპლომატები და პოლიტიკოსები ყოველთვის ცალმხრივი ინტერესებით ჩამოდიან საქართველოში. სამწუხაროდ, რუსეთი არ მიდის იმ გზით, რომლითაც პრობლემის მოგვარება არის შესაძლებელი. ვიმეორებ, ჩვენს ურთიერთობებში ორივე ქვეყნის ინტერესები თანაბრად უნდა იყოს ჩადებული.

ფიქრია ჩიხრაძე, *საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი.*

თუ საქართველოს მხრიდან ყველაფერი ასე გაგრძელდა, მაშინ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში იქნება პერიოდული დათბობის და პერიოდული აცივების მონაკვეთები. პრაქტიკულად, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება და არაფერი შეიცვლება.

დღეს ჩვენი ხელისუფლება მხოლოდ გარედან მოწყობილი აქციებით ან დემარშებით ახდენს რუსულ-ქართული პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების პედალირებას. ეს მაშინ, როცა ხელისუფლებამ პრინციპულად სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სამხედრო ბაზების გაყვანის დაჩქარებასა თუ რუსული სამშვიდობო ძალებისათვის, სულ მცირე, არეალის შეზღუდვის თაობაზე. მერწმუნეთ, ამ გზით ბევრად უფრო შეიცვლება სიტუაცია და რუსეთსაც გაუჩნდება პრაგმატული ინტერესი იმისა, რომ ქართულ პოლიტიკასთან, ქართულ სახელმწიფოსთან უფრო მგრძნობიარე შეხება ჰქონდეს.

ჯერჯერობით, რუსეთი ყოველთვის ახერხებს, შანტაჟის ენით გველაპარაკოს, რადგანაც მან იცის, რომ საამისო ბერკეტებს ფლობს სწორედ ამ ბაზებისა და სამშვიდობო ძალების სახით.

გიგა ბოკერია, *საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი .*

მე პოლიტოლოგი და პროგნოზისტი არ გახლავართ. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, თუ რა ვითარებაა დღეს. იმედს ვიტოვებ, დღის ბოლოსთვის მოვისმენთ კონკრეტულ განცხადებებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგან, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ რუსეთმა მართლაც გადადგა რეალური ნაბიჯები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ოპტიმიზმის საფუძველი არ გვაქვს. პირადად მე ვესწრებოდი შეხვედრას პარლამენტში, სადაც მოვისმინე მხოლოდ ზოგადი კეთილგანწყობის დემონსტრირება. ქართული მხარისთვის, საქართველოს ინტერესებისთვის, ზოგადი კეთილგანწყობა საკმარისი არ არის.

ჩვენ ველოდებით კონკრეტულ ნაბიჯებს, განსაკუთრებით კი, ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას. პირველი, ეს არის ჩამოყალიბება რუსული ბაზების გაყვანის საბოლოო თარიღზე. თარიღი უნდა მოიცავდეს უახლოეს მომავალს, არაუგვიანეს, 2007 წლის 1 იანვრისა. მეორე საკითხია ქართულ-ოსური საზღვრის მთელ პერიმეტრზე გაკონტროლება. კერძოდ, ამ ეტაპზე როკის მონაკვეთის ერთობლივი სასაზღვრო-საბაჟო კონტროლის განხორციელება. თუ ჩვენ მოვისმენთ საუბარს ამ საკითხებზე, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ რეალური გარღვევა მოხდა.

თუ ლავროვის ვიზიტი მხოლოდ დროის გაწელვა აღმოჩნდა, მაშინ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მკვეთრად გამწვავდება. ასეთ ვითარებაში, ჩემი აზრით, საქართველო დააყენებს ბაზებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების შეწყვეტის საკითხს და მათ უპირობო გაყვანას მოითხოვს.

ლევან ბერძენიშვილი, *საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი.*

სამწუხაროდ, ჩემი აზრით, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, ეს ურთიერთობები ფუნდამენტურად ვერ შეიცვლება. ქართულ მხარეს არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია ამ ურთიერთობებზე. მე მგონი, ერთადერთი იმედი არის ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იცვლება განწყობა რუსეთის მიმართ. ამერიკა ცოტა უფრო მკაცრი ხდება და შეიძლება, ეს პროცესი დაგვეხმაროს.

სამწუხაროდ, რუსეთი უკვე რამდენი ხანია, იძლევა სიგნალებს, რომ არ ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. პუტინის მხრიდან არის მინიშნებები იუგოსლავიაზე, არის უპატივცემლობა ლავროვის მრიდან, არის ფანტასტიკური განცხადებები კოსაჩოვის მხრიდან ევროსაბჭოში, არის ყოვლად მოუთმენელი განცხადებები სხვა პარლამენტარების მხრიდან რუსეთის დუმაში. აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ ვითარება სწრაფად ვერ შეიცვლება.

მოკლედ

რომში ეკონომიკური ფორუმი "ინვესტ ჯორჯია" ჩატარდება

საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა სტაბილურად გაიზრდება. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე ნუკრი ლიპარტაშვილი აცხადებს, ინვესტიციების სტაბილურ ზრდას ახალი საგადასახადო კოდექსი და საკანონმდებლო ცვლილებები შეუწყობს ხელს. მისივე თქმით, 5 მარტს იტალიაში, რომში ჩატარდება საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი "ინვესტ ჯორჯია", რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. 10 მარტს კონფერენცია გადაინაცვლებს გერმანიაში, ბერლინში. მსგავსი ორმხრივი კონფერენციები წლის განმავლობაში რამდენიმე ქვეყანაში ჩატარდება. ფორუმების მიზანია საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის სამომავლო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა. რომში ფორუმის გამართვის ინიციატორები არიან იტალიის სავაჭრო პალატა, ხოლო ჩვენი მხრიდან - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის ეროვნული სააგენტო. ფორუმში მონაწილეობას ქართული კომპანიებიც მიიღებენ. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ერთი კვირის მანძილზე (11 თებერვალი - 17 თებერვალი) 100,66 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,07 პროცენტი იყო. ეს ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს. წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე საშუალოდ 0,66 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, სურსათზე - 1,37 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე ფასები უცვლელი დარჩა. გასულ კვირასთან შედარებით, ფასები გაიზარდა ძროხის ხორცზე და ღორის ხორცზე 5,0 პროცენტით, ხოლო ფასები შემცირდა ჭარხალზე 22.2 პროცენტით და სტაფილოზე 10.0 პროცენტით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 21 თებერვალს გაიმართება სამოქალაქო ავიაციაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვის პრეზენტაცია. ჩვენება მოეწყობა ბრიტანეთის ავიახაზების რეისის რეგისტრაციაზე. კომპანია SITA Information Networking Computing სპეციალიზებულია სამოქალაქო ავიაციაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში. ორგანიზაცია აძლიერებს თავის საქმიანობას დსთ-ს ქვეყნებში. SITA-მ კონტრაქტი გააფორმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან CUTE-ის (ცივილური სატერმინალო მოწყობილობა) სისტემის კომპიუტერული აღჭურვის და პროგრამირებით უზრუნველყოფის მიზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

რუსეთი. აშშ-ს სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკელმა რიჩარდ ლუგარმა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს მოუნოდა, რუსეთის მისწრაფება, შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ბერკეტად გამოიყენოს, რათა ნავთობკომპანია "იუკოსის" აქტივების რუსეთის მთავრობის საკუთრებაში გადასვლა არ დაუშვას. "იუკოსის" საქმეზე ხუთშაბათს სენატში გამართულ მსმენელზე გამოსვლისას ლუგარმა პრეზიდენტ ბუშს შესთავაზა, ეს საკითხი რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან 24 თებერვალს დაგეგმილ ბრატისლავის სამიტზე განიხილოს. "იუკოსის" დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელმა სტივენ ტიდიმ და "მენატეპის" ჯგუფის დირექტორმა ტიმ ოსბორნმა სენატორებს მიმართეს თხოვნით, პროტესტი განუცხადონ რუსეთის ხელმძღვანელობას, რომელიც, მათი აზრით, კომპანიის გაკოტრებას მიზანმიმართულად ცდილობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თელავი. თელავის რაიონის სოფელ ნასამხრალის მოსახლეობამ, ელექტროენერგიის მოთხოვნით, თელავი-თბილისის საავტომობილო გზა გადაკეტა. ამავე მოთხოვნით, გზები გადაკეტა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო და ქვემო ალმების მოსახლეობამ. რამდენიმე დღეა, კახეთში ელექტროენერგიის კრიზისია. ეს პრობლემა, ძირითადად, რეგიონის სოფლების მოსახლეობას ანუხებს. ნასამხრალის მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილოა არათანაბარ პირობებში ყოფნის გამო. ამის მიზეზი დამხოლოებული ხაზებია, რომელთა მეშვეობით შეძლებულ ოჯახებს ელექტროენერგია - ყოველდღიურად, დანარჩენებს კი გასული წლის შემოდგომიდან მხოლოდ ღამის საათებში მიეწოდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2004 წელს, წინა წელთან შედარებით, 66 პროცენტით გაიზარდა და 2 495 მილიონი დოლარი შეადგინა. როგორც დღეს "ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს სავაჭრო პარტნიორების რიცხვი გაიზარდა: 2003 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა 122 ქვეყანასთან ჰქონდა, 2004 წელს კი 125 ქვეყანასთან დაამყარა. **ინტერ-პრესი**

„პროქტერ ენდ გემბლი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი გაანალიზებს ახდენს კლიენტის გადაწყვეტილებაზე კრიტიკულად და საქმიან სიტუაციებში გაკეთდეს კონცეპტუალური მეთოდებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ეს მეთოდი უზრუნველყოფს მომხმარებლთა მოთხოვნების შესწავლას და იძლევა რეალურ სურათს, თუ რა ამოძრავებს მყიდველს ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვისას. CBD მენეჯერის კომპეტენციაში შედის ასევე ბიზნეს-გეგმების შედგენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება საჭირო ნიშნის გაფართოება-განვითარება და დაეხმარება მყიდველს განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც წარმატებული იქნება როგორც მისთვის, ასევე კომპანიისთვის.

კვალიფიკაცია:
წარმატებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას. სამუშაოს მოთხოვნებში შედის ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით საქმიანობა; საქმიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აუცილებელია უმაღლესი განათლება და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა. ასევე კომუნიკაბელურობა და ძლიერი საორგანიზაციო ნიჭი.

რეზიუმეს გამოგზავნა:
ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე: www.pg-ca.com ან www.go2pg.com და განთავსეთ თქვენი პროფილი - **CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager,** ან გადმოაგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - +994 50 350 5855

ლიახვის ხეობები დენს ახალი ელექტროგადამცემი ხაზით მიიღებენ

დიდი ლიახვის ხეობის ენერგოკომპანიის ხელმძღვანელს კი ელექტროენერგიის მიწოდების გაუარესების ეშინია

როგორც "24 საათი" უკვე არაერთხელ წერდა, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) მალე დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ელექტრომომარაგებას შეძლებს. ამის თაობაზე შეთანხმება უკვე არსებობს და იურიდიული დეტალებიც უკვე გარკვეულია.

ტარიელ მაზმიშვილი დინ უაითს თავის მოსაზრებებს უსაბუთებს.

მაია ურუშაძე
ვასილ გულეური
გორიდან

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ დიდი და პატარა ლიახვის სოფლების ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ენერგოკომპანია ახალ ელექტროგადამცემ ხაზს ააშენებს. უკვე შედგენილია ხარჯთაღრიცხვა და, ამინდის გაუმჯობესებისთანავე, ხაზის მშენებლობა დაიწყება, რაც 300 ათასი ლარი დაჯდება.

როგორც ცნობილია, აქამდე ხეობები "იუგოოსეტინენერგოს" მიერ, რუსეთიდან სპეციალურად ცხინვალის რეგიონისთვის იმპორტირებული დენით მარაგდებოდნენ. ახალი ხაზის აშენების შემდეგ კი, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობა დენს სგსე-დან მიიღებს.

პარალელურად, დაგეგმილია დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე კეხვიჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც, საერთაშორისო დონორების დაფინანსებით, ენერგეტიკის სამინისტრო გაუწევს კურირებას. იგეგმება ამ 1-მეგავატიანი სადგურის 1,2 მეგავატამდე გაძლიერებაც. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სადგური ორივე ხეობის ელექტრომომარაგებასაც კი გასწვდეს.

ახალი ხაზის მშენებლობის პროექტის ტექნიკური დეტალების შესათანხმებლად, გუშინ გორში სგსე-ს ამერიკელი მმართველი, კომპანიის გენერალური დირექტორი დინ უაითი იმყოფებოდა. ადგილობრივი ენერგოკომპანიების წარმომადგენლებსა და პრეზიდენტის რწმუნებულთან შიდა ქართლში, მიხეილ ქარელთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ სგსე დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ელექტრომომარაგების გაუმჯობესებლებისთვის ზამთრის გათბობის პროგრამის ფარგლებში, **"როგორც კი პროექტი ამუშავდება, ამ რეგიონის მოსახლეობის მომარაგება იმაზე უკეთესი იქნება, ვიდრე ახლაა. ჩვენ გაგვაჩნია საჭირო თანხები, რომ გავაუმჯობესოთ მომსახურება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბევრის გაკეთებას შევძლებთ. ახლო მომავალში კონფლიქტის ზონაში იმ პროექტის განხორციელება დაიწყება, რომელიც ახალი მაგისტრალების მშენებლობას და ხეობების ენერგომომარაგებას ითვალისწინებს."**

თუმცა, მაინცდამაინც დამაიმედებელი ინფორმაცია ვერ გააჟღერა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" შიდა ქართლის ფილიალის დირექტორმა ტარიელ მაზმიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ თანხების ამოღების მაჩვენებელი იანვრის თვეში პროცენტულად გაუარესდა. **"ეს იმით არის გამოწვეული, რომ მოსახლეობას დენი საჭირო დროს, განსაკუთრებით - პიკის საათებში, ვერ მიეწოდება. გარდა ამისა, ჩერდება კერძო ბიზნესი, რაც ასევე უარყოფითად აისახება შემდეგში ამოღების მაჩვენებელზე,"** - აღნიშნა მან.

მიუხედავად ამისა, კონფლიქტის ზონის მოსახლეობის ელექტრომომარაგების გაუმჯობესება დღეს ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაზეც "24 საათი" ადრეც წერდა. ამ ჭრილში, სგსე-ს ინიციატივა ეკონომიკურად მომგებიანი არ იქნებოდა, რომ არა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ინიციატივა ხეობების მოსახლეობისთვის ზამთრის გათბობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების მინიჭების თაობაზე. ზამთრის გათბობის პროგრამის ფარგლებში, სააგენტო სგსე-ს ახალ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობელ აბონენტებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილს გადაუხდის. ამ შეღავათით რეგიონის სოციალურად გაჭირვებული ოჯახები ისარგებლებენ.

მიუხედავად ამისა, ენერგოკომპანია "დიდი ლიახვის" დირექტორი ნუგზარ ყოჩიშვილი ამ პერსპექტივას დიდად სახარბიელოდ არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ამჟამად ელექტროენერგიას რუსეთიდან იღებენ და 24-საათიანი მომარაგება აქვთ. **"თუ რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის მიწოდებაში შუამავალი გამოჩნდება, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სახით, ამან შეიძლება უფრო შეაფერხოს ელექტროენერგიით მომარაგება. მე არ მაქვს იმედი, რომ ეს ხაზი იმუშავებს, რადგან ოსურ მხარეზე უნდა გამოიაროს და, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, საეჭვოა მისი შეუფერხებლად ფუნქციონირება. მირჩევნია, ადგილობრივი ჰესი ამუშავდეს,"** - აცხადებს ყოჩიშვილი.

"ჯერ კეხვის ჰესი უნდა აღდგეს," - განაცხადა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის შიდა ქართლის ფილიალის დირექტორმა ტარიელ მაზმიშვილმა. **"დივერსიისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ იმედია, ქარული და ოსური მხარეები შერიგდებიან,"** - ნუგზარ ყოჩიშვილის ეჭვებს არ ეთანხმება იგი.

დინ უაითიც იმედოვნებს, რომ ამ ხაზის მშენებლობით ხელს შეუწყობენ პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას; ამასთან, სახელმწიფოც შემოსავალს მიიღებს. იგი მომავალ ზამთარს მდგომარეობის გაუმჯობესების პირობას იძლევა, თუმცა ამისთვის გაზაფხულზე "კრიტიკული მდგომარეობის" ატანა მოგვიწევს. **"გაზაფხულზე ენგურჰესი გაითიშება, რომ სარემონტო სამუშაოები ჩატარდეს და საერთოდ არ გაითიშოს. მეტად კრიტიკული მდგომარეობა გვექნება. მაგრამ უკვე ვემზადებით მომავალი ზამთრისთვის. გორი ერთ-ერთი საუკეთესო გადამხდელია, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად. შიდა ქართლს უნდა შეეძლოს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ენერგიით სარგებლობაც, რაც მომავალ ზამთარს უკვე შესაძლებელი იქნება,"** - აცხადებს იგი.

GSP - შეღავათების სისტემა ქართველი ექსპორტიორებისთვის

საქართველოს ექსპორტიორი კომპანიები მალე ევროკავშირის ბაზარზე შეღავათების ახალი სისტემით ისარგებლებენ. შეღავათების ახალი სისტემა მათ გუშინ, საქართველოს ექსპორტიორი კომპანიებისთვის ჩატარებულ საგანგებო ერთდღიან კონფერენციაზე გააცნეს. როგორც გაირკვა, ამჟამად საქართველოსთვის GSP-ის ბენეფიციარის სტატუსი ევროკავშირს, აშშ-ს, თურქეთს, კანადას, შვეიცარიასა და იაპონიას აქვს მინიჭებული.

ნიკა მარიამიძე

გუშინ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშემწყობი სააგენტოს ინიციატივით, თბილისში საქართველოს ექსპორტიორი კომპანიებისთვის ერთდღიანი კონფერენცია ჩატარდა, რომელსაც ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლექსო ალექსიშვილი და ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში ტორბენ ჰოლცე ესწრებოდნენ.

კონფერენციის მიზანი ქართველი მეწარმეებისთვის შეღავათების GSP-სისტემის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო.

როგორც აღინიშნა, ვინაიდან ქართველი მეწარმეები ამ სისტემას აქამდე კარგად არ იცნობდნენ, ისინი ჯერ კიდევ არ იყენებდნენ მას, რითაც, შესაძლებელია, ქართული ბიზნესის ბევრმა წარმომადგენელმა ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების შანსები ხელიდან გაუშვა. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, ინფორმაციული ხასიათის მსგავსი ღონისძიებები ამიერიდან უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს, რათა ქართველი მეწარმეები საქართველოსთვის დაწესებული შეღავათების სისტემას საფუძვლიანად გაეცნონ და ამ სისტემებით სარგებლობა შეძლონ.

როგორც გაირკვა, GSP შეღავათების საგანგებო სისტემაა, რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს საკმაოდ დაბალ ტარიფებს სთავაზობს, რითაც მათი საექსპორტო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე მოხვედრას უწყობს ხელს.

როგორც გაირკვა, საქართველოში GSP სისტემას საქართველოს 50-მდე კომპანია უკვე იყენებს. ამის შესახებ გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის ეროვნული სააგენტოს დირექტორის პირველმა მოადგილემ ნუკრი ლიპარტაშვილმა განაცხადა.

ლიპარტაშვილის ინფორმაციით, ამ 50 კომპანიისგან უმეტესობა მეჩაიეობის დარგის კომპანიებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, თურმე ამ სისტემით სარგებლობს საფეიქრო მრეწველობის რამდენიმე კომპანია და ქართული მრეწველობის ისეთი "გიგანტები," როგორებიცაა "აზოტი," "ჭიათურმანგანუმი" და ზესტაფონის "ფერრო."

თუმცა, ახლა, 2005 წლის 1 აპრილიდან, შეღავათების სისტემაში სიახლე იქნება. კერძოდ, ამოქმედდება ახალი სისტემა GSP+, რის შემდეგაც საშუალება გაჩნდება, რომ შეღავათებით ღვინის კომპანიებმაც ისარგებლონ.

საქართველოსთვის განსაკუთრებით ეფექტურია ევროკავშირის GSP სისტემა. მაგალითად, 2000 წელს ამ რეჟიმით ისარგებლა 18.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელმა, 2004 წელს კი ევროკავშირში ამ სისტემით ექსპორტირებული იქნა 52 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი.

2004 წელს ევროკავშირში GSP-ის რეჟიმით, საქართველოდან ექსპორტზე გასული საქონლის უდიდესი წილი უალკოჰოლო სასმელებზე მოდის (10.5 მილიონი აშშ დოლარი, რაც ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 13.9 პროცენტს შეადგენს). უალკოჰოლო სასმელებს ამონიუმის გვარჯილის ექსპორტი მოსდევს (9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, რაც მთლიანი ექსპორტის 11.9 პროცენტს შეადგენს), შემდეგ ადგილზე კი ფეროშენადნობები (4.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც ექსპორტის მთლიანი მოცულობის 6.3 პროცენტია) და თხილის ბიზნესია (3.9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტით, რაც მთლიანი ექსპორტის 5.1 პროცენტს შეადგენს). სულ, 2004 წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ GSP-ის შეღავათებით სარგებლობისათვის საჭირო 453 სერტიფიკატი გასცა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მარკეტინგის ახალ სტრატეგიებს ეუფლებიან

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებამ და ამ "მოედანზე" რამდენიმე კომერციული ბანკის შემოსვლამ უკიდურესად გაზარდა კონკურენცია იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც შედარებით დაბალშემოსავლიან მოსახლეობას მცირე მეწარმეობის დაწყებასა თუ განვითარებაში მცირე სესხების მეშვეობით ეხმარებიან.

როგორ შეუძლიათ საქართველოს მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს მაღალ კონკურენტიან და გადატვირთულ სავსე ბაზარზე გასვლა?

16 თებერვალს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეგიდით მიმდინარე, საქართველოს მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და გაუმჯობესების პროექტმა **(GMSE)** საქართველოს არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გამართა სემინარი, რომლის მთავარი მიზანი იყო, ესწავლებინა მათთვის მარკეტინგის სტრატეგია თანამედროვე პირობებში, ქართული სინამდვილის გათვალისწინებით.

სემინარს უძღვებოდა საერთაშორისო ექსპერტი კირსტენ ვეისი, რომელიც ძალზედ კარგად იცნობს საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორს. 1999-2004 წლებში იგი თვითონ ხელმძღვანელობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას FINCA-Georgia **(ფინკა-საქართველო)**

მონაწილეებმა მიიღეს მარკეტინგის გეგმის ნიმუში, რომელიც უშუალოდ არის მოდელირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თავისებურებაზე და ასწავლის, თუ როგორ უნდა მოახდინოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ საკუთარი თავისა და მომსახურების წარმოჩენა გაჯერებელ ბაზარზე.

სემინარში მონაწილეობა საქართველოს 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღო. გამოირკვა, რომ მათ უმეტესობას არ აქვს პროფესიონალურ დონეზე შემუშავებული სათანადო მარკეტინგული გეგმა, მაგრამ სურთ შექმნან იგი საკუთარი იმიჯისა და საქმიანობის მასშტაბის გასაუმჯობესებლად.

ინტერაქტიული სემინარის მსვლელობისას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა შეიტყვეს, თუ როგორ უნდა მოიპოვონ და გააანალიზონ საკრედიტო სექტორი და მისი განვითარების შესაძლებლობები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ამორჩეული ბაზრები, კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია კლიენტურის განსასაზღვრად.

სემინარმა ასწავლა მონაწილე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მარკეტინგის სტრატეგიის განვითარება ფასების, პროდუქციის, ადგილმდებარეობის, უშუალო გაყიდვების, ბრენდინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეშვეობით, რეკლამის და სპეციალური ღონისძიებების მოწყობის მეთოდების ჩათვლით.

ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ერთია კარგად შემუშავებული მარკეტინგის გეგმის ქონა და მეორე - მისი პრაქტიკულად განხორციელება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა მიიღეს ცოდნა მარკეტინგის მთელი რიგი საშუალებების შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სტრატეგია პრაქტიკულად და შეიქმნას გამოყენებადი გეგმა, რათა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი სახელები ბაზარზე ცნობადი გახდნენ და კლიენტურის მოზიდვა შეძლონ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საჭიროებებზე გათვლილი მარკეტინგული გეგმის ნიმუში, რომელიც GMSE-ს პროექტის ფარგლებში შემუშავდა, შეიძლება სხვა საფინანსო ორგანიზაციებისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდეს, რადგანაც იგი პრაქტიკული და ადვილად გამოყენებადია.

საქართველოს მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და განვითარების პროექტი უკვე მეორე წელია, რაც მრავალმხრივ დახმარებას უწევს საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორს, მათ შორის - საკანონმდებლო ბაზის დახვეწაში. საბოლოო მიზანი საქართველოში მდგრადი და თვითკმარი მიკროსაფინანსო სექტორის შექმნაა, რომელიც, ძირითადად, დაბალშემოსავლიან მოსახლეობას მოემსახურება.

რუსეთის ზეწოლა საქართველოზე

პირველი გვერდიდან

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა ასეთი მუქარა მიუნხენში 13 თებერვალს ჩატარებულ მაღალი დონის კონფერენციაზე გააკეთა. ასეთ განცხადებებს ნატო-ში არსებული ტენდენცია იწვევს: რუსეთთან ურთიერთობებზე შესაძლებლად აღმატებულ ხარისხში ისაუბრონ, მაშინაც კი, როცა რუსეთი ღიად ემუქრება ნატოს წევრობის მოსურნე ქვეყანასა და აშშ-ს ერთგულ მოკავშირეს, თანაც ნატო-ს ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებაზე.

ივანოვი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ადანაშაულებს საქართველოს რუსეთში მისი ტერიტორიიდან ტერორისტების გადასვლაში და უფლებას იტოვებს, პრევენტული დარტყმები საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს. მან აგრეთვე დაადანაშაულა საქართველო, რომ ძალიან ჩქარობს რუსული ბაზების გაყვანას (საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 14 წელია გასული, რუსეთი ითხოვს ბაზების ყოფნის 11 წლით გახანგრძლივებას). მინისტრი სალომე ზურაბიშვილი პასუხობს, რომ საქართველო აღშფოთებულია ტერორისტების შეფარებაში ბრალდებებით და პრევენტული დარტყმების მუქარით. ზურაბიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ აშკარაა წინააღმდეგობა რუსეთის ბრალდებებსა და საზღვრის დაცვის საერთაშორისო მონიტორინგზე უარს შორის. საპასუხოდ, მოულოდნელად ივანოვი ევროპელთა ფულის დამცველად მოგვევლინა: ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ (მონიტორინგი) ევროპელი გადასახადების გადამხდელთა ფულის კარგი გამოყენებაა (*იტარ-ტასი*, 13 თებერვალი).

მოსკოვის ლოგიკით, თუ ეუთო-ს საზღვის მონიტორინგის მისიის დასკვნები არ შეესაბამება რუსეთის ბრალდებებს, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა. და პირიქით, იმას ნიშნავს, რომ ეს მისია სრულიად არაეფექტურია, - აღნიშნავს ივანოვი. დღეს რუსეთი საერთოდ ეწინააღმდეგება საზღვრის საერთაშორისო მონიტორინგს. და საინტერესოა, რომ რაც უფრო ეფექტურია მსგავსი მონიტორინგი, მით უფრო მიუღებელია რუსეთისთვის - ალბათ იმიტომაც, რომ დამკვირვებლებმა შეიძლება კარგად გაარჩიონ საზღვრის მეორე მხარეზე - რუსეთის ტეორიტორიაზე, თუ როგორ გადაადგილდებიან ადგილობრივი ჩეჩნები, ხშირად რუსეთის შეიარაღებული ძალებისგან შეუმჩნევლად. მიუხედავად ამისა, ანტიტერორიზმი საქართველოს სუვერენული ტერიტორიიდან საერთაშორისო დამკვირვებელთა განდევნის მიზეზი გახდა - ეუთო-ზე ზეწოლა არ გასჭირვებია - და ცდილობს მოამზადოს ნიადაგი პრევენტული დარტყმებისთვისა და გაზაფხულზე საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად, - ამისთვის მოწმეები სულ არ სჭირდება.

თბილისში რუსეთის საელჩოს მიერ გაკეთებულ განცხადებაში იკითხება გაფრთხილება: "თუ იქნება ინფორმაცია ტერორიზმის ბუდის შესახებ, რომელიც რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება, და თუ პოლიტიკური და ეკონომიკური მეთოდები უშედეგო იქნება, მაშინ რაიმე სახის სამხედრო ნაბიჯების გადადგმის საკითხი სერიოზულად იქნება განხილული" (*რუსთავი-2*, 14 თებერვალი). რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი კიდევ უფრო პირდაპირი იყო: "ტერორისტები კვლავაც არიან პანკისში. აუცილებელია გაფართოვდეს ერთობლივი ოპერაციები ჩვენს მესაზღვრეებს, "ფსბ"-ს, შინაგან ჯარებთან ერთად (*ვრემია ნოვოსტეი*, 10 თებერვალი). ეს განცხადება ეხმიანება მოსკოვის ადრინდელ მიზანს - ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის საბაბით შემოეყვანა სამხედრო ძალები და განელაგებინა ისინი საზღვრის გასწვრივ უკვე საქართველოს ტერიტორიაზე.

ბაბო ბალაბანიძის ფოტო

ვლადიმირ სოკორი

დღეს რუსეთი უკვე აკონტროლებს რუსეთ-საქართველოს საზღვრის საქართველოს მხარეს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. ანტიტერორისტული საბაბით, ახლა, ალბათ, იგივეს განხორციელებას ჩეჩნურ და მომავალში ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზეც ცდილობს. ამჟამად ეუთო ამთავრებს საზღვრის მონიტორინგის მისიის ევაკუაციას დაღესტნის მონაკვეთიდან, სადაც, როგორც რუსები აცხადებენ, ტერორისტებს შეუძლიათ გადასვლა. პარალელურად, 12 თებერვალს, რუსეთის ხელდასმით აფხაზეთში ახალი ხელმძღვანელობის ინაუგურაცია ხდება.

თბილისში 10-11 თებერვალს გამართული სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკების დროს, რუსეთის მხარემ ახალი პირობები წამოაყენა, რომლებიც, პრაქტიკულად, საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანაზე კატეგორიულ უარს ნიშნავდა. ამ რაუნდის დასაწყისშივე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა დიდი ხნის უკვე ნათელი რეალობა - რუსეთი არ არის შეზღუდული 1999 წლის სტამბოლის შეთანხმებით ჯარების გაყვანის შესახებ. (*ინტერფაქსი*, 14 თებერვალი)

მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, რუსეთის არგუმენტაციაში ბევრი საკითხი აშკარად არასწორია, ფაქტია, რომ სტამბოლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება სულაც არ არის მისთვის აუცილებელი, ანუ ისეა ჩამოყალიბებული, რომ საქართველოს მიმართ მათი განხორციელება მხოლოდ რუსეთის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ნათლად არ აყალიბებს ბათუმიდან და ახალქალაქიდან ჯარების გაყვანის საბოლოო მიზანს და არ შეიცავს განხორციელების ვადებს (2001 წელი იყო დასახელებული ვალდებულების შესრულების დაწყების საბოლოო ვადად, მაგრამ რუსეთმა გადააცილა ამ ვადას, ხოლო ეუთო-ს სიჩქარეში "დაავიწყდა" ახალი ვადების დადგენა). მოსკოვის კომუნიკე კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ სტამბოლის შეთანხმება სუსტი და სულ უფრო და უფრო შეუსაბამო ხდება რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანის მოსათხოვნად (ისევე როგორც მოლდოვადან). მასზე, როგორც ხავსზე მოჭიდება, დაბნეულობას უწყობს ხელს, მერყეობა და ფაქტობრივად რეალური პოლიტიკის არქონა, კიდევ უფრო აძლიერებს რუსეთის სამხედრო მისწრაფებების დაკმაყოფილებას. როგორც ამ მოლაპარაკებათა რაუნდის შემდეგ სწორად შენიშნა გიგა ბოკერიამ: საქართველოს გაცილებით ძლიერი ლეგალური მოთხოვნის წაყენება შეუძლია ქვეყნის სუვერენიტეტზე და საერთაშორისო სამართალზე აპელირებით.

ეს შეთანხმებული სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლა მოსკოვის პასუხია საქართველოს გამუდმებული დიპლომატიური ვიზიტებისა და ეკონომიკაში ღიად შესვლის უფლების სანაცვლოდ. 10 თებერვლის ინტერვიუში ლოშჩინინი აცხადებს: "საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები უფრო გაღრმავდა. რუსეთი დღეისთვის გაცილებით "წონიანად" არის წარმოდგენილი ქართულ ეკონომიკაში, ვიდრე ოდესმე; ჩვენი კაპიტალი შედის ნებისმიერ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორში". ამავე დღეს, პარლამენტის წინაშე ანგარიშით გამოსვლისას პრეზიდენტმა საკაშვილმა განაცხადა: "მე მზად ვარ, კიდევ ერთხელ ჩავიდე მოსკოვში, მზად ვარ, კიდევ შევხვდე პრეზიდენტ პუტინს და მეგობრობის ხელი გავუწოდო, რომელიც ჩვენი ერთი წლის წინანდელი შეხვედრის შემდეგ ჰაერში დარჩა გაშეშებული". (*რუსთავი-2*, 10 თებერვალი)

მიუხედავად ამისა, ნათელია, მოსკოვი ცდილობს გრძელვადიანი დომინირების მიღწევას, მაშინ როცა თბილისი კეთილმეზობლურ და პარტნიორულ ურთიერთობებს სთავაზობს. მაშინაც კი, უახლოეს მომავალში ზეწოლის გაძლიერებას რომ აპირებდეს, ამ მომენტისთვის კრემლი ეცდება, მომავალი სამიტის წინ ვაშინგტონი დაარწმუნოს, რომ სიტუაცია უმჯობესდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით - ბრატისლავაში ბუშმა პუტინთან შეხვედრისას არ გაიხსენოს იგი.

რუსეთ-ირანის თანამშრომლობა ღრმავდება

ხათუნა გაბიევი

მოსკოვში ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივნის ჰასან როუჰანის ვიზიტს ამ ორი ქვეყნისათვის მომგებიანი შედეგი ჰქონდა. რუსეთი ირანს ბირთვული პროგრამის განხორციელებაში დახმარებასა და თანამშრომლობას დაჰპირდა, რაც ასე აშფოთებს აშშ-ს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებით, ურანის გამდიდრების ირანისეული პროგრამის სამშვიდობო მიზნებში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს. "ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პლანეტის მასშტაბით ბირთვული იარაღის გავრცელება არათუ რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში უსაფრთხოების განმტკიცებას ხელს ვერ შეუწყობს, ხოლო ირანი ნამდვილად არ არის შეპყრობილი ბირთვული იარაღის შექმნის იდეით. სწორედ ამიტომ, ჩვენ გავაგრძელებთ ირანთან თანამშრომლობას ყველა სფეროში, ბირთვული ენერგეტიკის ჩათვლით,"- აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა ჰასან როუჰანთან შეხვედრისას. ოფიციალური თეირანის სამშვიდობო მიზნებს ხაზი გაუსვა ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივანმა ჰასან როუჰანმაც. მისი თქმით, "დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბირთვულ სფეროში ირანის საქმიანობას მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათი აქვს".

შეხვედრისას შეთანხმებულ იქნა თარიღიც, როდესაც ბუშერის ატომურ სადგურზე გადამუშავებული საწვავის დაბრუნების შესახებ დოკუმენტს მოეწერება ხელი. შეთანხმებისამებრ, დოკუმენტზე ხელის მოწერა მიმდინარე წლის 26 თებერვალს მოხდება. თუკი ზემოაღნიშნული შეთანხმების პირობები დათქმულ ვადებში შესრულდება, ნედლეულის პირველი პარტიის მიწოდება უკვე მარტის დასაწყისში მოხდება. ბუშერის ატომური ელექტროსადგურის ამოქმედება მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმება, ხოლო მთელი სიმძლავრით მისი დატვირთვა უკვე 2006 წელს მოხდება.

ბირთვული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გარდა, რუსეთში როუჰანის ვიზიტის კიდევ ერთი მიზანი კასპიის ზღვის სტატუსის სადავო საკითხის გამო გაჭიანურებულ მოლაპარაკებებში გარკვეული პროგრესის მიღწევაც იყო. სადავო საკითხად კასპიის ზღვის 5 მონაპირე სახელმწიფოებს (რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქმენეთი) შორის რესურსების გაყოფა იქცა. მხარეებს რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ირანი რესურსების პარიტეტული ანუ 20 პროცენტიანი გაყოფის მომხრეა, მაშინ როცა რუსეთი მიიჩნევს, რომ რესურსების ათვისება ხუთივე სახელმწიფოს მიერ ერთობლივად უნდა მოხდეს და შემდეგ უკვე მოგების გადანაწილება. რუსეთის პოზიციას იზიარებენ აზერბაიჯანი და ყაზახეთიც. "მიუხედავად იმისა, რომ კასპიისპირა სახელმწიფოებს შორის მიმდინარე დიალოგს მარტივს ვერ უწოდებ, ზუსტად ვიცი, რომ ყველას აქვს კომპრომისის მიღწევის სურვილი," - აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტის თქმით, უკვე მიმდინარეობს ირანში მისი ვიზიტისათვის მზადება. "ჩვენ ვემზადებით ირანში ვიზიტისათვის და აქტიურად ვათანხმებთ ვადებს," - განაცხადა პუტინმა. "ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თქვენს ვიზიტს. იგი ურთიერთობების განვითარებას დამატებით იმპულსს მისცემს. ბატონი ხათამი (ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი) იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ექნება პატივი თეირანში თქვენთან შეხვედრისა," - ირანული თავაზიანობით აღნიშნა ჰასან როუჰანიმ.

ჯონ ნეგროპონტე - ახალი დაზვერვის პირველი ხელმძღვანელი

65 წლის ჯონ ნეგროპონტე აშშ-ში ახლახანს შექმნილ ეროვნული დაზვერვის სამსახურს ჩაუდგება სათავეში. მის დაქვემდებარებაში იქნება ამერიკული დაზვერვის თხუთმეტივე უწყება, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩათვლით.

კოტე ელიზბარაშვილი

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ახლახანს ეროვნული დაზვერვის სამსახურის პირველი დირექტორის თანამდებობაზე ერაყში აშშ-ს ყოფილი ელჩი ჯონ ნეგროპონტე დანიშნა. ბუშმა მისი წარდგენისას კომპლიმენტები არ დაიშურა. მისი სიტყვებით, ნეგროპონტეს ესმის გლობალური მასშტაბის სადაზვერვო ამოცანები, რომლებიც ამერიკის წინაშე დგას, რადგან სიცოცხლის საუკეთესო წლები მან დიპლომატიურ სამსახურში გაატარა. ნეგროპონტეს დანიშვნასთან ერთად დასახელდა მისი მოადგილის ვინაობაც. მაიკლ ჰეიდენი ბოლო ხანებამდე ხელმძღვანელობდა აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტოს (დაზვერვის აღნიშნული უწყება პენტაგონის შემადგენლობაში ირიცხება). ჯორჯ ბუშმა გამოსვლის დროს ახალი ძალოვანი დირექტორის უფლებამოსილებაც აღნიშნა. ნეგროპონტე პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი გახდება დაზვერვის საკითხებში, მოუწევს ყველა ამერიკული სადაზვერვო უწყების საქმიანობის კოორდინირება, აგრეთვე მათი ბიუჯეტის კორექტირებაც.

ბატონი ნეგროპონტეს დიპლომატიური კარიერა მართლაც მრავალფეროვანი და მთლიანობაში, როგორც გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი" აღნიშნავს, უნაკლო გახლდათ: 1960-იანი წლების დასაწყისიდან ის ამერიკის პრეზიდენტებს (რესპუბლიკელთა და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს) ემსახურება. შედარებით საკამათო დიპლომატიური თანამდებობა მას პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს ჰქონდა, როდესაც ნეგრეპონტე ჰონდურასში ამერიკის ელჩად დაინიშნა, სადაც 1981-1985 წლებში მუშაობდა, მაშინ ვაშინგტონი ჰონდურასის მეზობელ ქვეყნებში - ნიკარაგუასა და სალვადორში - გაჩაღებულ სამოქალაქო ომებში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის თვალს ხუჭავდა ჰონდურასში ადამიანის უფლებების დარღვევაზე (ნეგროპონტე დღემდე არ აღიარებს, რომ ჰონდურასის მთავრობა, მისი არმია, მეამბოხეების წინააღმდეგ "სიკვდილის ესკადრონებს" იყენებდა). თავის დროზე ნეგროპონტეს მოუწია სენატის კომისიის წინაშე ახსნა-განმარტებითი გამოსვლა, ნიკარაგუაში ანტისამთავრობო "კონტრასის" რაზმების მხარდაჭერის გამო.

მიუხედავად ამისა, ამერიკის სენატი ნეგროპონტეს ახალ პოსტებზე დანიშვნას თავის თანხმობას აძლევდა. მეორეს მხრივ, ნეგროპონტეს დამსახურებებიც ცხადია. მან იელის უნივერსიტეტი დაასრულა, რომელიც აშშ-ს ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა. 1960-1997 წლებში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის უწყებაში სხვადასხვა თანამდებობებზე იმყოფებოდა, სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ამერიკის საელჩოებს ჰონდურასში, მექსიკაში და ფილიპინებზე. 1997-2001 წლებში კერძო სექტორში გადავიდა, მუშაობდა კომპანია "მაგროუ ჰილის" ვიცე-პრეზიდენტად. შემდეგ კვლავ სახელმწიფო სამსახურს დაუბრუნდა

2001 წლის 18 სექტემბრიდან ის ბუში-უმცროსის წარმომადგენელი იყო გაეროში, ერაყში ამერიკის შეჭრით გამოწვეული ცხარე დებატების პერიოდში, ხოლო გასული წლის ექვსი მაისიდან უკვე აშშ-ს ელჩია ბაღდადში. ტელეკომპანია "სი-ენ-ენის" კომენტარის თანახმად, საეჭვო რეპუტაციის გამო 2001 წელს გაეროში აშშ-ს ელჩად ნეგროპონტეს დანიშვნა ნახევარი წლით შეფერხდა.

ნეგროპონტე, როგორც ელჩი, ერთგულად ასახავდა და იცავდა იმ ადმინისტრაციის პოზიციებს, რომელიც მოცემულ მომენტში ხელისუფლებაში იმყოფებოდა. როგორც ეროვნული დაზვერვის დირექტორს, მას გაცილებით დამოუკიდებელი თვისებების გამოჩენა მოუწევს. ამერიკული დაზვერვის მთელი რიგი დამღუპველი შეცდომების შემდეგ, 11 სექტემბრის ტერაქტების მზადების ირიბი ნიშნების ამოცნობის უუნარობის ჩათვლით, ერაყში შეიარაღების არსებობის არასწორი შეფასების გაკეთება და ერაყში კოალიციური ჯარების შეჭრის შემდეგ მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკელთა მოუმზადებლობის შესახებ არაფრის თქმა იმის საჭიროებას მოითხოვს, რომ ეროვნული დაზვერვის ახალი დირექტორი ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოების წინაშე ანგარიშვალდებული უნდა იყოს. ნეგროპონტემ პასუხი უნდა აგოს აშშ-ს დაზვერვის სხვადასხვა უწყებების მიერ მომზადებულ პროფესიონალურ მოხსენებებზე და პირადად აგოს პასუხი კონგრესისა და ამერიკელი ხალხის წინაშე, ნათქვამია გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსში".



"დაზვერვის მეფეს", როგორც ჩანს, დიდი ბრძოლა მოუწევს საკუთარი უწყების პრიორიტეტულობის დასამკვიდრებლად.

ბუშის ადმინისტრაციაში სჯერათ, რომ ამერიკა დაზვერვის ახალი უწყებით გაცილებით დაცული იქნება. მიმომხილველები ეროვნული დაზვერვის სამსახურს ამერიკის მთავრობაში ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილს უწოდებენ. თუმცა ამ უწყების მეთაურის უფლებამოსილება საკმაოდ ბუნდოვანია. მაგალითად, გაუგებარია, როგორ ურთიერთობას ააწყობს ეროვნული დაზვერვის სამსახური დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოსა და პენტაგონთან. ნეგროპონტეს გავლენა ამ ძალოვან უწყებებზე ნაწილობრივ მაინც შეზღუდულია. ბუშის განმარტებით, "დაზვერვის ცენტრალური სამმართველო შეინარჩუნებს ყველა წყაროდან ინფორმაციის შეგროვების უფლებამოსილებას, აგრეთვე პრეზიდენტის განკარგულებით საზღვარგარეთ აშშ-ს ინტერესების თვალთვალის უფლებას". გამოდის, რომ ნეგროპონტესა და პორტერ გოსას (დაზვერვის ცენტრალური სამმართველო) უწყებები ურთიერთკონკურენტები იქნებიან. ნეგროპონტეს შეუძლია სპეცსამსახურების მუშაობის ტექნიკურ ასპექტებში ჩარევა. მაგალითად, მას შეუძლია დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ან გამოძიების ფედერალური ბიუროს ხაზით ინფორმაციის შეგროვება აკრძალოს და ეს საქმე სხვა უწყებას გადააბაროს. პენტაგონს რაც შეეხება, დაზვერვის ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელი დონაღდ რამსფელდის უწყებაზე ბრძანებებს საომარ პერიოდში ვერ გასცემს, თუმცა ყოველთვის შეეძლება პენტაგონის ბიუჯეტზე კონტროლი.

ეროვნული დაზვერვის სამსახური 11 სექტემბრის ტერაქტების საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციით შეიქმნა. კომისიამ სპეცსამსახურებს შორის (დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩათვლით) სათანადო კოორდინაციისა და ინფორმაციათა გაცვლის არქონა გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ დაზვერვის სხვადასხვა უწყებები შესაძლო ტერაქტების შესახებ სიგნალს 2001 წლის აგვისტოში იღებდნენ, მაგრამ ინფორმაციას ერთმანეთს არ უზიარებდნენ. პრეზიდენტმა ბუშმა ეროვნული დაზვერვის სამსახურის შექმნის შესახებ კანონს დეკემბრის შუა რიცხვებში მოაწერა ხელი, მაგრამ "დაზვერვის მეფის" (როგორც ახალი უწყების შეფის თანამდებობას ამერიკელი ჟურნალისტები უწოდებენ) დანიშვნასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა. ზოგიერთი მონაცემით, ახალი სამსახურის ხელმძღვანელობაზე რამდენიმე გავლენიანმა პიროვნებამ თქვა უარი, მათ შორის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა რობერტ გეიტსმა. მან "სი-ენ-ენ"-თან ინტერვიუში აღიარა, რომ ბუშის ადმინისტრაციისგან ჰქონდა მსგავსი შეთავაზება, თუმცა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მთავარი მზვერავის თანამდებობაზე უარი განაცხადა. ახალი უწყების უფროსის სავარძლის შედარებით ნაკლები პოპულარობის მიზეზი ყოფილმა სენატორმა დევიდ ბორენმა "ნიუ იორკ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასე განმარტა: "თქვენს წარმატებას ყურადღებას არავინ მიაქცევს, როდესაც თქვენი შეცდომები ყველას თვალში მოხვდება".

შიიტების რელიგიური დღესასწაული სუნიტებმა სისხლით შეღებეს

შიიტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულის წმინდა "აშურას" ხსოვნის დღეს სუნიტმა ტერორისტებმა, ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მიღებული უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, ბაღდადში სამი მეჩეთი ააფეთქეს. წინასწარი ცნობებით დაღუპულია 34 და დაჭრილია 30 ადამიანი.

ნანა ნასყიდაშვილი

გუშინ ერაყის დედაქალაქ ბაღდადში სამი აფეთქება მოხდა. ტერორისტთა სამიზნეს ქალაქის სხვადასხვა უბნებში განლაგებული მეჩეთები წარმოადგენდნენ. პირველი ტერაქტი ბაღდადის სამხრეთ ნაწილში მდებარე შიიტთა სალოცავში განხორციელდა. თვითმხილველთა გადმოცემით, თვითმკვლელმა-ტერორისტმა მეჩეთში თავი სწორედ მაშინ აიფეთქა, როდესაც იქ ასობით მორწმუნე ლოცულობდა. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, პირველმა ტერაქტმა 15 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქალაქის მასშტაბით სასწრაფოდ მოხდა პოლიციისა და ექიმების მობილიზაცია. პირველი აფეთქებიდან ცოტა ხნის შემდეგ უკვე აფეთქების მეორე ხმა გაისმა. ტერორისტებმა იერიში ამჯერად ბაღდადის დასავლეთ ნაწილში მდებარე მეჩეთზე მიიტანეს. ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ხმა ქალაქის ცენტრალურ ნაწილშიც კი გაისმა. პოლიციის ცნობით, ორი ტერორისტი თავდაპირველად სალოცავს მიუახლოვდა და მის მცველებს ცეცხლი გაუხსნა, საპასუხო სროლის შემდეგ კამიკაძეებმა თავები აიფეთქეს. დაიღუპა ერთი და დაიჭრა ოთხი ადამიანი. წინა შემთხვევების მსგავსად მესამე ტერაქტიც თვითმკვლელმა-ტერორისტებმა განახორციელეს. აფეთქება ქალაქის შიიტურ ნაწილში მოხდა. დაღუპულია ორი ადამიანი. ქვეყნის ხელისუფლების ცდის მიუხედავად, დაეცვა უსაფრთხოების ყველა ზომა, რის გამოც ერაყის ტერიტორიაზე ზოგიერთი სამანქანო გზის დაკეტვაც კი საჭირო გახდა, ტერორისტებმა მსოფლიოსთვის შარშანდელი "აშურა"-ს შეხსენება მაინც მოახერხეს. მაშინ დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად 181 ადამიანი დაიღუპა.

მიმდინარე მოვლენების ფონზე, ერაყის გარდამავალი მთავრობის ლიდერს აიად ალავის მიაჩნია, რომ ქვეყანაში ნაციონალური შერიგების პროცესი სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. "ჩვენს ქვეყანას დიდი პრობლემები ექნება თუ სწორი გადაწყვეტილებები მოკლე დროში არ იქნა მიღებული. არ მინდა ისეთი ტერმინის ხმარება როგორიცაა "სამოქალაქო ომი", მაგრამ თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, ერაყს ქაოსი მოიცავს," - განაცხადა პოლიტიკოსმა "ვაშინგტონ პოსტთან" მიცემულ ინტერვიუში.

შიიტები თებერვალში ისლამურ რელიგიურ დღესასწაულს, მუჰარამის წმინდა თვეს აღნიშნავენ. დღესასწაულის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს, "აშურა"-ს ხსოვნისადმი მიძღვნილი დღე წარმოადგენს (სწორედ მაშინ განხორციელდა აღნიშნული ტერაქტები). ამ დღეს, მეშვიდე საუკუნეში, მუჰამედის შვილიშვილი იმამი ჰუსეინი ბრძოლის ველზე ისლამურ სამყაროში პირველობისთვის გმირულად დაეცა.

ТБИЛИСИС ПОЛИКЛИНИКЕБИ САТЕНДЕРОД ЕМЗАДЕБИАН

პოლიკლინიკაში მისულ პატარას, ოთახში სიცივის გამო, ტანზე გაუხდელად რომ მოუსმენს ექიმი, დასმული დიაგნოზი და მკურნალობის შედეგიც შესაბამისი იქნება. თბილისის ბევრ პოლიკლინიკაში ელემენტარული პირობებიც კი არ არსებობს. ამიტომ სანამ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი საქართველოს მოსახლეობის ამბულატორულ-პოლიკლინიკური პროგრამის განხორციელებას დაიწყებს, მანამ გამოცხადდება ტენდერი და ის პოლიკლინიკები, რომლებიც ტენდერის პირობებს დააკმაყოფილებენ უპრობლემოდ გახდებიან პროგრამის მონაწილენი, ხოლო დანარჩენები მათ ქვეკონტრაქტორებად მოგვევლინებიან.

იმედია, პოლიკლინიკები აღარასოდეს გაიფიცებიან.

ზაზა ფანიკაშვილის ფოტო

ნონა მაისურაძე

ტენდერი დაახლოებით ორ კვირაში გამოცხადდება და, როგორც საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ვატო სურგულაძე ირწმუნება, მასში გამარჯვებული პოლიკლინიკები თბილისის მოსახლეობას მაღალი დონის მომსახურებას გაუწევენ.

ვატო სურგულაძე: "შესყიდვების კანონის თანახმად, ტენდერის ჩატარება აუცილებელია, მით უფრო როცა აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი თბილისის ფარგლებში 4 მილიონ ლარს აღემატება. შარშან პროგრამა ფედერალურად არ ფინანსდებოდა, იგი ქალაქის დაქვემდებარებაში იყო. წელს ეს ვალდებულება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაეკისრა, ამდენად ერთი წლის მანძილზე ჩვენ გვეყოლება კონტრაქტორი დაწესებულებები, რომლებიც ამ პროგრამას განახორციელებენ.

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ამბულატორულ მომსახურებას. 0-დან 14-წლამდე ასაკის ბავშვთა და 65 წელს გადაცილებულ პირთა მომსახურება განსაკუთრებული იქნება. მათთვის სრულყოფილი და საკმაოდ მაღალი დონის პაკეტი იმოქმედებს. საუბარია პირველად ჯანდაცვაზე.

სამწუხაროდ, გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს ჩვენ პოლიკლინიკების დახურვას და ექიმების გათავისუფლებას ვაპირებთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც ერთი პოლიკლინიკა არ დაიხურება, ხოლო რაც შეეხება მედ-პერსონალს, მათი რაოდენობა თბილისში აბსოლუტურად ნორმალურია და ამაზე ნაკლები ექიმი არც შეიძლება პოლიკლინიკურ ქსელში იყოს. ამჟამად თბილისში 55 პოლიკლინიკაა, ჩვენი ვარაუდით, მათგან 35 სატანდერო პირობებს აუცილებლად დააკმაყოფილებს, ხოლო დანარჩენები მათი ქვეკონტრაქტორები იქნებიან. ქალაქში უკვე შეინიშნება პოლიკლინიკების გაერთიანების ტენდენციები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტენდერი თბილისის რაიონების მიხედვით ტარდება. ამდენად, იგი იმ ფაქტსაც გამორიცხავს, ერთ რაიონში რამდენიმე პოლიკლინიკამ გაიმარჯვოს, სხაგანკი, პროგრამაში მონაწილე ერთი კლინიკაც არ იყოს.

კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ და ალბათ გასაგებია, რომ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც ვზრუნავთ, არ გვინდა, გასასინჯად მისულ პაციენტს ექიმი ქუდით და ხელთათმანებით დახვდეს. პოლიკლინიკები სათანადო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ტენდერი კი მათ სტიმულს მისცემს, კლინიკებში ელემენტარული პირობები შექმნან".

განცხადება

თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სასადილოს (კაფეტერიის) მართვით ან იჯარით გაცემასთან დაკავშირებით

ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს კონკურსს თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის სასადილო ფართის იჯარით ან სასადილოს მართვის უფლების აღებით დაინტერესებულ იურიდიულ პირთა შორის.

1. დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა თავიანთი მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 1 - 7 მარტს 13:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამასხური.

2. იურიდიულ პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან კვალიფიკაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. კონკურსის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე გეგმა და პირობები, რომლითაც ისინი აპირებენ სასადილოს მართვას.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დოკუმენტაციის წარდგენამდე ნება ეძლევათ დაათვალიერონ საკონკურსე ფართი და ადგილზე მიიღონ დამატებითი ინფორმაცია.

5. იურიდიული პირი ვერ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-2 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ბესო ჯიქურაული, საკონტაქტო ტელეფონი - 98 82 14, 899 42 47 74;
ვალერი დადიანიძე, საკონტაქტო ტელეფონი - 98 82 14, 893 35 84 97.

განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისათვის საჭირო სამსახურებრივი ავტომანქანების შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს აპარატისათვის საჭირო სამსახურებრივი ავტომანქანების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა ხორციელდება შემდეგი პოზიციების (ლოტების) მიხედვით:

I ლოტი - 2 ცალი ზედა-საშუალო კლასის მსუბუქი ავტომანქანა:

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 6 ცილინდრი, არანაკლებ 2,4-3,0 ლიტრი, არანაკლებ 160-190 ცხენის ძალა; გადაცემათა კოლოფი -ავტომატური; სალონი - ტყავის; უსაფრთხოების მინიმუმ 4 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; განბაჟებული; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; სრული ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, სიგნალიზაცია, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი; ალუმინის დისკები, აუდიოსისტემა.

- 2 ცალი ზედა-საშუალო კლასის მსუბუქი ავტომანქანა:

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 6 ცილინდრი, არანაკლებ 2,4-3,0 ლიტრი, არანაკლებ 160-190 ცხენის ძალა. გადაცემათა კოლოფი - 5 საფეხურიანი მექანიკა; სალონი - ნაჭრის; უსაფრთხოების მინ. 4 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; სრული ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, სიგნალიზაცია, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი, ალუმინის დისკები; აუდიოსისტემა.

II ლოტი - 18 ცალი ქვედა-საშუალო კლასის მსუბუქი ავტომანქანა:

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 4 ცილინდრი, არანაკლებ 1,6-2,0 ლიტრი, არანაკლებ 110 ცხენის ძალა, გადაცემათა კოლოფი - 5 საფეხურიანი მექანიკა; სალონი - ნაჭრის, უსაფრთხოების მინ. 4 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; სრული ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, სიგნალიზაცია, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი, ალუმინის დისკები, აუდიოსისტემა.

- 7 ცალი კომპაქტ კლასის მსუბუქი ავტომანქანა:

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 4 ცილინდრი, არანაკლებ 1,4-1,6 ლიტრი, არანაკლებ 75 ცხენის ძალა. გადაცემათა კოლოფი - 5 საფეხურიანი მექანიკა; სალონი - ნაჭრის; უსაფრთხოების მინ. 1 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, გატაცების საწინააღმდეგო სისტემა, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 63 დღისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მარტის 10:00 სთ-დან **8 მარტის 17:00 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია

ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის სახით, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მითითებით;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს მონაწილეობის მსურველის სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

7. ტენდერში მონაწილეობისათვის დაიშვებიან მწარმოებლის ოფიციალური დილერები (დისტრიბუტორები), რაზედაც უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ცნობა, მინდობილობა, სერთიფიკატი ან სხვა).

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისად აღჭურვილი და ლიცენზირებული ავტოსატრანსპორტო საწარმო თბილისში, რომელშიც განხორციელდება ავტომანქანების გარანტიული მომსახურება (უნდა იყოს წარმოდგენილი ლიცენზიის დამოწმებული ასლი და ინფორმაცია საწარმოს შესახებ);

9. სასურველია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის სფეროში არსებული გამოცდილება.

10. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 10 მარტის 10:00 საათიდან 11 მარტის 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

11. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებული იქნება პრეფერენციული შეღავათი 15%-ის ფარგლებში.

12. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან ორი გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

13. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 995326 და გიორგი ბეჟიტაშვილი 933790, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

* უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

სატენდერო კომისია

განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტრესებულ პირს.

შესასყიდია:

დასახელება	მონაცემები	სასურველია მსგავსი
CPU	2.40Ghz/400/256K 478pin Box	Intel/Celeron
Motherboard	P4BP-MX	ASUS
Memory	DDR DIMM 184pin/ 256MB/ PC2700	Transcend
HDD	40 Gb 7200RMP	
Monitor	17" Flat /0,22/1024x768 85Hz	
LAN	Integrated 10/100	
VGA	Integrated 64MB	
Sound	Integrated	
FDD	FDD 3.5" 1.44MB	
CD Drive	CD-ROM 52x	
Power Supply	300w	ATX
UPS	600W	
Mouse	Optical +Eye PS/2	Genius/ Net scroll
Keyboard	KB-06 PS/2	Genius
Speaker	SP-Q06s	Genius
Cooler		Celeron titanum

■ 70 ცალი პერსონალური კომპიუტერი (P4) შემდეგი კონფიგურაციით:

■ **20** ცალი შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი. სასურველია hp 1010-ის მსგავსი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღის განმავლობაში. ტენდერში გამარჯვებულის მიერ კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება განხორციელება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მარტის 1000 საათიდან 8 მარტის 1700 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

a) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

b) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტნდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 10 მარტის 1000 საათიდან 14 მარტის 1700 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 99 53 26 და გიორგი ბეჟიტაშვილი 93 37 90, მისამართზე ქალაქი, თბილისი, თავისუფლების მოედანი N2 საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

სატენდერო კომისია

განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის საჭირო საწვავი მასალების შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის საჭირო საწვავი მასალების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონანილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდია: 95 000 ლიტრი საწვავი - ბენზინი პრემიუმი - აი-95.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საწვავი მასალების მიწოდება განხორციელება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე, შესაბამისი საწვავის ბარათებით. მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგური. სასურველია, რომ მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურები მდებარეობდეს ქალაქის ცენტრალურ რაიონებში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მარტის 1000 საათიდან 8 მარტის 1700 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, შეეძლებათ არა უგვიანეს 10 მარტის 1000 საათიდან 14 მარტის 1700 საათის ჩათვლით, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 995326 და გიორგი ბეჟიტაშვილი 933790, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2 საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

სატენდერო კომისია

იუსტიციის ახალ მინისტრს მძიმე მემკვიდრეობა ერგო

ახალმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ ახალი მინისტრები წარადგინა. უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ვიცე-პრემიერმა კოტე კემულარიამ იუსტიციის მინისტრის სავარძელი გუშინ მეორედ ჩაიბარა. "ვთვლი, რომ უწყება ერთი წლის განმავლობაში აბსოლუტურად სწორად ვითარდებოდა. არა მგონია, რაიმე სერიოზული საკადრო ცვლილებები დაგვჭირდეს," - განაცხადა იუსტიციის ახალმა მინისტრმა, რომელმაც გიორგი პაპუაშვილის მინისტრობის დროს "გამსხვილებული" სამინისტრო, ანუ, ის უწყება ჩაიბარა, სადაც სტრუქტურული რეფორმა, ფაქტობრივად, ჩატარებულია.

პრემიერ-მინისტრმა იუსტიციის მინისტრი წარადგინა.

თუმცა, იუსტიციის ახალ მინისტრს მაინც უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. საუბარია, პენიტენციურ სისტემაზე, რომლის ფეხზე დაყენებაც, რამდენიმე ახალი საპყრობილის აშენებას თუ არ ჩავთვლით, გიორგი პაპუაშვილის მინისტრობისას ვერ მოხერხდა. გიორგი პაპუაშვილის ინიციატივით, ამ სისტემაში მოსული რამდენიმეკაციანი გუნდი ამინდს ვერ ქმნიდა, რადგან ციხე საბჭოურ სისტემაში გამობრძმედილი კადრებით ჯერ კიდევ სავსეა. მეტიც, მათ სოლიდური თანამდებობები უკავიათ და სწორედ მათი, "ძველი კადრების" აქტიურობით იბლოკებოდა "ახალ სახეების" რევოლუციური მცდელობა - სისტემის გარდაქმნისკენ სვლა.

ფაქტია, პენიტენციური სისტემა რეფორმისა და საერთაშორისო სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორსაა. ციხეში კვლავ კორუფცია მეფობს, მას კვლავ "კანონიერი ქურდები" მართავენ, გროვდება "ობშიაკი" და პატიმრები კვლავ იხდიან არაოფიციალურ გადასახადებს. ციხეში "ქურდული ტრადიცია" დღესაც ხელშეუხებელია და მას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ის ზოგიერთი მაღალჩინოსანი მფარველობს, რომელთა სისტემიდან ჩამოშორებაც ყოფილმა მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლო, იმ მიზეზის გამო, რომ მათ "შავი სამყაროს" ლიდერებთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობები აკავშირებთ, რაც სოლიდური არაოფიციალური შემოსავლების გარდა, ხელშეუხებლობის გარანტიაცაა. ამიტომაც, მათთვის დარტყმის მიყენება, ფაქტობრივად, "ქურდული სამყაროს" დარტყმის ტოლფასია. სხვათა შორის, ამ მაღალჩინოსანთა მიერ შეკვეთილი და ე.წ კანონიერი ქურდების მიერ შესრულებული არაერთი მასშტაბური ბუნტი ციხეში მრავლად მომხდარა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ახალგაზრდა მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ძალზე კარგად იცოდა და ძველმა მინისტრმა მათ წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა. პენიტენციური სისტემის რეფორმისთვის მან სხვა გზა აირჩია - ახალი ციხეების მშენებლობა. მისი აზრით, ახალი ციხეების აშენება და პატიმართა გადანაწილება სწორედ იმის გარანტია იქნებოდა, რომ საპატიმროებში პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ პატიმართა ფენები მოიშლებოდა, რითიც, "კანონიერი ქურდებისა" და მათი პარტნიორი მაღალჩინოსნების საქმიანობას საფუძველი გამოეცლებოდა. თუმცა, გიორგი პაპუაშვილს ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა.

რაიმეს შეცვლის იმედით, "24 საათი" ამ სისტემაში არსებული სერიოზული პრობლემების შესახებ არა ერთხელ წერდა. სამწუხაროდ, უშედეგოდ. შეძლებს თუ არა ახალი მინისტრი "ძველი სახეების" ჩამოშორებას, შესაბამისად, საბჭოური სისტემის დანგრევას - ციხეში "ქურდული სამყაროს" ბატონობის მოშლასა და იქ სახელმწიფოს მმართველობის დამყარებას, ამას მისი საქმიანობა გვიჩვენებს. გუშინდელ წარდგენაზე ახალმა მინისტრმა განაცხადა, რომ იგი სერიოზულ საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს. არადა, პენიტენციური სისტემის დასალაგებლად კოტე კემულარიამ, პირველ რიგში, სწორედ სერიოზული საკადრო ცვლილებები უნდა განახორციელოს და ის სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან დაიწყოს. თუმცა, მინისტრისთვის გაგზავნილი ეს მესიჯი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს, სისტემის ახალ სახეებს ნამდვილად არ ეხება. არადა, დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ირაკლი წერეთელი, რომელიც ახლებური აზროვნებითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევა, სამწუხაროდ, ძველი კადრის მსხვერპლი უკვე გახდა.

24 საათი

ამფეთქებელი დაკავებულია

ლვოვის ქუჩაზე მდებარე, ამერიკელი დიპლომატის საცხოვრებელი სახლის ეზოში მომხდარი აფეთქება გახსნილია. შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, აფეთქების მომწყობები შსს-ს თანამშრომლებმა სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ რესტორანში დააკავეს.

ცოტა ხნის წინ ამერიკელი დიპლომატის სახლის ეზოში მომხდარი აფეთქების შესახებ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს იყო ტერაქტი, მეორე დღესვე უარყო შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და განაცხადა, რომ მომხდარი დანაშაულის თაობაზე მათ გააჩნდათ ოპერატიული ინფორმაცია და საქმის უახლოეს მომავალში გახსნის პირობაც დადო.

შს მინისტრმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე მომხდარი აფეთქების დეტალები გუშინ გაახმაურა. მისი ინფორმაციით, დანაშაული მიმართული იყო არა აშშ-ს საელჩოს თანამშრომლის, არამედ იქვე მცხოვრები ქართველი მეწარმის წინააღმდეგ. აფეთქება ფულის გამოძალვისთვის, დაშინების მიზნით განხორციელდა. შს მინისტრმა მეწარმის ვინაობა, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ დაასახელა. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, აფეთქების დასაშინებელი ობიექტი, რომელსაც ფულის გამოძალვას უპირებდნენ, გახლდათ ჯემალ ღვინიაშვილი, რომელიც სოლიდური ბიზნესითაა დაკავებული.

შს მინისტრის ინფორმაციით, აფეთქება ე.წ. "კანონიერი ქურდის" ზვიად პაპიაშვილის მიერ იყო ორგანიზებული. პაპიაშვილი უკვე ექვსი წელია, სასჯელს იხდის და მისი სახელი არაერთ დანაშაულთან იყო დაკავშირებული. ეს ის პაპიაშვილი გახლავთ, რომელიც მანქანების გატაცებებს ციხიდან გეგმავდა და ამ საქმიანობით დაკავებულ დაჯგუფებებს ორგანიზებას უკეთებდა. პაპიაშვილის თაობაზე სკანდალი კობა ნარჩემაშვილის შს მინისტრობის დროსაც ატყდა, ორთაჭალის ციხიდან ავჭალის კოლონიაში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გავლენა მაინც ვერ შეასუსტეს. მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას პაპიაშვილმა ციხის ბუნტის ორგანიზებით უპასუხა. სხვათა შორის, ზვიად პაპიაშვილის გავლენა ახლაც დიდია. მიუხედავად იმისა, რომ მისჯილ წლებს იგი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში უნდა იხდიდეს, მისი მფარველი მაღალჩინოსნების წყალობით, ის კოლონიიდან კვლავ ორთაჭალის ციხეში, ე.წ. "კრიტში" დააბრუნეს, რომლის მაყურებელიც, არაოფიციალური მმართველი ახლა სწორედ ის გახლავთ.

რაც შეეხება ღვინიაშვილის აფეთქების გამო დაკავებულებს. შს მინისტრის ინფორმაციით, პაპიაშვილის მიერ დაგეგმილ აფეთქებას ორგანიზებას უწევდა თემურ ქურდიანი, ხოლო უშუალოდ აფეთქების განხორციელებაში ეჭვმიტანილია დავით მღებრიშვილი. ქურდიანიცა და მღებრიშვილიც დაკავებული არიან.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, არსებობს მათი მამხილებელი საბუთები და აუდიო-ჩანაწერები, რომლებზე დაყრდნობითაც აღნიშნული დანაშაული გაიხსნა. კინოლოგიური სამსახურის ძაღლებმა დამნაშავეები სუნით ამოიცნეს.

თემურ ქურდიანი, რომელიც ფულის გამოძალვის მიზნით მოწყობილი აფეთქების ორგანიზატორადაა გამოცხადებული, ამ ბრალდებით ერთხელ უკვე იხდიდა სასჯელს. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ, იგი სოლიკო ხაბეიშვილის, გია გულუასა და გია ჭანტურიას მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით დააკავეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ორი წლის წინ, პრეზიდენტ შევარდნაძის შეწყალებით, იგი პატიმრობიდან გათავისუფდა. თემურ ქურდიანმა, რომელიც აცხადებდა, რომ 1995 წელს უდანაშაულოდ დააპატიმრეს, ცოტა ხნის წინ, მისი რეაბილიტაციის მოთხოვნით, სამართალდამცველ უწყებებს მიმართა და წლების წინ წაყენებული ბრალდებებისგან გამართლებას ითხოვდა. თემურ ქურდიანი ჯაბა იოსელიანის დაცვის წევრი არასდროს ყოფილა. ის საბურთალოზე მოქმედი ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების "კულინარიელების" ლიდერი გახლდათ და 1992-1995 წლებში საბურთალოს "მაკონტროლებლის" სტატუსით სარგებლობდა.

24 საათი

ხმაურიანი სასამართლო პროცესი სპეცრაზმის გაძლიერებული დაცვით

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში დიდი ხმაური და ხალხმრავლობა იყო ახალციხის რაიონული პოლიციისა და სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ახალციხე გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ახალციხის პოლიციისა და სასამართლოს შენობა მთელი დღის მანძილზე სპეცრაზმელების ალყაში იყო მოქცეული.

საქმე ისაა, რომ ახალციხის რაიონული სასამართლო გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის რექტორის მერაბ ბერიძისთვის პროკურატურის მიერ მოთხოვნილი წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხზე მსჯელობდა. თუმცა, ვიდრე სასამართლო პროცესი დაიწყებოდა, სიტუაცია იმ სტუდენტებისა და ლექტორის დაკავების ფაქტმა გაამწვავა, რომელებსაც სამართალდამცველები თანამდებობის უფლებამოსილების ბრალდებით დაკავებული რექტორის გათავისუფლების მოთხოვნით გამართული ფართომასშტაბიანი აქციის ორგანიზატორობას ედავებოდნენ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის 15 სტუდენტი დილით ახალციხის რაიონულ პოლიციაში დაიბარეს და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს. სამართალდამცველებმა სტუდენტები 173-ე მუხლის დარღვევისთვის ადმინისტრაციული წესით დააკავეს, რაც 30-დღიან პატიმრობას ითვალისწინებს, თუმცა, ისინი მოგვიანებით ხელწერილით გაათავისუფლეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა სტუდენტებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

"მათ კანონი დაარღვიეს, რადგან საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტეს, რის გამოც თბილისის, ახალციხისა და თურქეთის მიმართულებით მოძრაობა, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო. სტუდენტები კანონის სრული დაცვით დავაკავეთ და გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ერთ-ერთი მათგანი ნაცემია, სიმართლეს არ შეესაბამება," - ასე იმართლებდნენ გუშინ თავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

გუშინ დილითვე ცნობილი გახდა, რომ დაკავებულ რექტორს პოლიციის განყოფილებიდან არ გამოიყვანდნენ, მოსამართლე აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს სასამართლოში გადაწყვეტდა და ამ გადაწყვეტილებას ბრალდებულს პოლიციის განყოფილებაშივე გააცნობდნენ, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა და პოლიციის შენობასთან სტუდენტთა ფართომასშტაბიანი აქცია კვლავ გაიმართა. თბილისიდან ახალციხეში გაემგზავრნენ არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები, რომლებმაც ვითარების გარკვევა ადგილზე სცადეს. ახალციხეში გაემგზავრა სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც.

ატეხილი ხმაურის შემდეგ, როგორც იქნა, ბრალდებული პოლიციის შენობიდან სასამართლოში გადაიყვანეს, სადაც სპეცრაზმელები იყვნენ მობილიზებული. მიუხედავად იმისა, რომ კანონით, ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების გადაწყვეტილება საჯაროა და მოსამართლის გადაწყვეტილების მოსმენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია სასამართლო დარბაზში, გუშინ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში ამ მხრივაც პრობლემა შეიქმნა. ბრალდებულის ახლობლებისა და მხარდამჭერებისთვის მოსამართლის გადაწყვეტილება სპეცრაზმელების ალყაში, სასამართლოს შენობის გარეთ გახდა ცნობილი. მართლმსაჯულებამ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა. მერაბ ბერიძეს გაძლიერებული ბადრაგით თბილისში, ორთაჭალის იზოლატორში გადმოიყვანენ.

24 საათი

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შემდეგ, მოსამართლე თანამდებობიდან გათავისუფლდა

სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად, საოლქო სასამართლოს მოსამართლე პაატა ქობულაძე მოქალაქე ოგანიანისათვის წინასწარი პატიმრობის უკანონოდ შეფარდების გამო, ჯერ დისციპლინარულ პასუხისგებაში მიეცა, ხოლო შემდეგ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საქმე ისაა, რომ 2004 წლის 25 ივნისს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ზურაბ ოგანიანი, რომელსაც 27 ივნისს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა. სასამართლოს ბრძანება ამავე რაიონის შინაგან საქმეთა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა ნოდარ კაპანაძემ თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და ბრალდებულისთვის უფრო მკაცრი სასჯელი, კერძოდ, წინასწარი პატიმრობა მოითხოვა. არადა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაიშვება და გამომძიებელს მსგავსი სარჩელის შეტანის უფლება არა აქვს. მიუხედავად ამისა, მოსამართლე პაატა ქობულაძის ბრძანებით, ოგანიანს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა.

მომხდარ კანონდარღვევასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა 2004 წლის 29 სექტემბერს წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ხოლო ასლი გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ჯანაშიას გაეგზავნა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პასუხი არ მოსულა და 2005 წლის 12 იანვარს, ბატონ პ.კუბლაშვილს კიდევ ერთი წერილი გაეგზავნა. სახალხო დამცველის აპარატმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის 29 სექტემბერს გაგზავნილ წერილზე პასუხი ოთხი თვის შემდეგ, 28 იანვარს მიიღო და გაირკვა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 18 ოქტომბრის N2/214-04 გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე პაატა ქობულაძე მიეცა დისციპლინარულ პასუხისგებაში, ხოლო საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2004 წლის 1 დეკემბრის N1/6-04 გადაწყვეტილებით, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ასევე თბილისში მეტროს ყველაზე ჩამოთვლილ საგზაურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ვაკე);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ავაზნის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ავტოფაბრიკის 45 "სოფმაშის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

მოკლედ

ეჭვმიტანილები საცხოვრებელი სახლის სხვენში დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ დილით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზემო კახათში, დამნაშავეთა ოთხკაციანი ჯგუფი დააკავეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ჯგუფის წევრები ავტომანქანების გატაცებაში არიან ეჭვმიტანილები.

სოფელ კახათში მცხოვრები მოსიების ოჯახის ავტოფარეხში პოლიციამ თბილისიდან გატაცებული ორი უცხოური მარკის ავტომანქანას მიაგნო. ეჭვმიტანილები სამართალდამცველებმა ამავე ოჯახის საცხოვრებელი სახლის სხვენში იპოვეს. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი მერაბ გერგაია აცხადებს, ეჭვმიტანილებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა, ოპერატიულად მიღებული ზომების შედეგად, დამნაშავეებმა გაქცევა მაინც ვერ შეძლეს.

"გარდა იმისა, რომ მოსიების სახლის ავტოფარეხიდან თბილისიდან გატაცებული ავტომანქანები ამოვიღეთ, დაკავებულ ეჭვმიტანილებს დანაშაულებრივი ქმედების მამხილებელი ნივთებიც აღმოაჩნდათ. მათგან ამოღებულია ეგრეთ წოდებული ატმიჩკები, მანქანების სანომრე ნიშნები, დიდი რაოდენობით ამერიკული დოლარები და ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა. შესაძლოა, სწორედ ამ ჯგუფის წევრები მონაწილეობენ სამეგრელოს რეგიონის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ჩადენილ დანაშაულებში. გამოძიება ყველაფერს დაადგენს, დაკავებულებთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, სავარაუდოდ, მათ მიერ ჩადენილი რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულიც ამოტივტივდება," - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი. გუშინვე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ კიდევ ერთი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგადაც სენაკში 50 კილოგრამი ტროტილი ამოიღეს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით რუსული წარმოების კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანისთვის ფინანსურმა პოლიციამ დააკავა სენაკის მკვიდრი ზაზა ბესელია. კონტრაბანდული სიგარეტის ღირებულება, დაახლოებით, 5 ათასამდე ლარია. ზაზა ბესელია გადაყვანილია ზუგდიდის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მესტიის რაიონის ყოფილი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე რეგიონული სასაზღვრო სამმართველო "მესტიის" მესაზღვრეებმა საბრძოლო მასალა აღმოაჩინეს; კერძოდ: ერთ რპგ-7 ტიპის 40-მმ-იანი ყუმბარომტყორცნი, სამი კომპლექტი პგ7-ლ ტიპის ყუმბარმტყორცნის ჭურვი რეაქტიული გამშვებით და თოთხმეტი ასეთივე ჭურვი გაშვების გარეშე, ექვსი რკგ-3მ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა კაფსულის გარეშე, ერთი ყუმბართმტყორცნი "მუხა" ვპ-18. საბრძოლო მასალა საზღვრის დაცვის "მესტიის" რეგიონული სამმართველოს შეიარაღების საწყობშია გადატანილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. წყალტუბოს შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანებში მცხოვრები, 25 წლის გოჩა ნუცუბიძე, რომლის სახლიდანაც ამოიღეს ავტომატ "აკმ"-ის 28 ვაზნა და 510 გრამი "ტროტილი." **მედიანიუსი**

ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო
წარმომადგენლის თანამდებობაზე.

აუცილებელი მოთხოვნები

ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის
უფლების მქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და
გასაუბრების საფუძველზე.
დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია
(CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.
ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge

დასავლური ღირებულებები სახელმწიფო სამსახურში

სოფო ჩხაიძე

დასავლურ ღირებულებებს ნაზიარები და დასავლურ განათლებამიღებული ახალგაზრდების ჩართვა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში ის მიზანი გახლავთ, რომლის მისაღწევადაც საქართველოს ხელისუფლებამ ორგანიზებული სვლა დაიწყო. პროფესიონალი ახალგაზრდა კადრების მომზადება საჯარო სამსახურში დასასაქმებლად ამ მიზნის მიღწევის გზაზე გადადგმული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ამ ნაბიჯის გადადგმის ინიციატივით გამოდის საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი, რომელმაც ჯერ კიდევ ნოემბერში გამოაცხადა იმ პროგრამის განხორციელების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა იურისტებს 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში საშუალება მიეცემათ, სწავლა ან სამეცნიერო მუშაობა ევროკავშირის ქვეყნების ან ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში გააგრძელონ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი ახალგაზრდების უცხოეთში სწავლებას სახელმწიფო დააფინანსებს. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების ეს ინიციატივა და რა შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისათვის ეს წამოწყება, ამის შესახებ გვესაუბრებიან პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორი კოტე კუბლაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკა რურუა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის რექტორი ლევან იზორია და თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი გია ხუბუა.

"მრგვალი მაგიდა" გაზეთ "24 საათის" რედაქციაში.

გიორგი ბასილაძე ფოტო

კოტე კუბლაშვილი: განვითარების და რეფორმების ფონდმა, ახალგაზრდა იურისტების დასავლეთის უნივერსიტეტებში სწავლისა და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად გაგზავნის შესახებ პროგრამა, ჯერ კიდევ 2004 წლის ნოემბერში გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფონდი არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს, მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა საჯარო მოხელისათვის დროებით სახელფასო დანამატის გაცემა, საჯარო სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ჩემი აზრით, ყველა ესენი უფერულდება კიდეც ამ უკანასკნელთან შედარებით. ეს პროგრამა გათვლილია მომავალზე, რადგან იმ მომავალ თაობებს ეხება, რომლებიც ძალიან სერიოზულ განათლებას მიიღებენ საზღვარგარეთ - ევროპისა და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში, და საქართველოში დაბრუნებულები, საჯარო სამსახურში დასაქმდებიან. შესაბამისად, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს პროექტი საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს, მის შესახებ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა გაიგოს, რადგან იმ კონკურსის დროს, რომელსაც ფონდი, სავარაუდოდ, ზაფხულში, საზღვარგარეთ გასამგზავრებელთა შესარჩევად ჩაატარებს, არჩევანი ძალიან დიდი უნდა იყოს. უნდა შეირჩნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები, მაღალი ინტელექტის მქონე ახალგაზრდები, რომელთა სწავლების დაფინანსებასაც სახელმწიფო იტვირთებს. ჯერჯერობით არ გვაქვს დიდი თანხა, რომ მართლაც სერიოზული ფონი შევქმნათ, მაგრამ დასაწყისისთვის, ვფიქრობ, საკმარისია. საუბარია 300 ათას ამერიკულ დოლარზე. შესაძლებელია, ამას კიდევ დაემატოს, თუ დონორები ან ადგილობრივი ბიზნესმენები თანხებს გაიღებენ, ან სახელმწიფო გარკვეული თანხების მობილიზებას შეძლებს.

- რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ საზღვარგარეთ სწავლის მსურველი ახალგაზრდა იურისტები, რომ ამ პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა?

კოტე კუბლაშვილი: პროგრამა უკვე გამოქვეყნდა, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ პირობებს გაეცნონ, აგრეთვე, რამდენიმე ვებ-გვერდზე. მე მხოლოდ რამდენიმე ძირითად მომენტს აღვნიშნავ: კონკურსში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ 30 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული ან საერთაშორისო სამართლის განათლება და, ცხადია, შესაბამისად - დიპლომი. ამასთან, მათ უნდა წარმოადგინონ სარეკომენდაციო წერილი და, რაც მთავარია, უნდა ჰქონდეთ უცხოეთის იმ უნივერსიტეტიდან, რომელშიც მოღვაწეობას აპირებენ, სწავლის ან მუშაობის დაწყების შესახებ აბსოლუტური თანხმობა. აი, ასეთი ახალგაზრდებისთვის იქნება კარი ღია ამ პროგრამაში.

- როგორც ცნობილია, მსგავსი პროგრამები საქართველოში აქვთ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. რა განსხვავებაა თქვენ მიერ გამოცხადებულ პროგრამასა და იმ პროგრამებს შორის, რომლებიც, უკვე წლებია, არსებობს?

კოტე კუბლაშვილი: საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ამ კუთხით ბევრი უცხოური ორგანიზაცია და ფონდი მუშაობს. ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ ამით ისარგებლა და საზღვარგარეთ გაემგზავრა. მათ შორის, მეც ერთ-ერთი გერმანული ფონდის დახმარებით მომეცა საშუალება, განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმეღო. მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ინიციატივით გამოდის სახელმწიფო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ახალგაზრდებს სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელი თანხებით და შემდეგ უკვე, როდესაც საქართველოში დაბრუნდებიან, განათლების შესაბამისი საჯარო სამსახურით - ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი.

- თქვენ, ყველა ჩვენს სტუმარს, იურიდიული განათლება საზღვარგარეთ გაქვთ მიღებული. მაინც, რა მნიშვნელობა აქვს ქართველი იურისტებისთვის საზღვარგარეთ განათლების მიღებას?

ნიკა რურუა: განათლების მიღება ცოტა უცნაური ტერმინია, განათლების პროცესი ხომ ცხოვრების ბოლომდე გრძელდება. ის, რასაც კონკრეტული პროგრამა იძლევა განვითარებისა და რეფორმების ფონდის საშუალებით, არის იმ ბაზის შექმნის შესაძლებლობა, რომელზეც შეიძლება კონკრეტულმა ადამიანებმა თავისი მომავალი პროფესიული კარიერა ააშენონ. მინდა ხაზი გავუსვა იმასაც, რომ ეს არ არის სახელმწიფოს მხრიდან ქველმოქმედება, ეს არის ძალიან პრაგმატული ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა როგორც ამ პროგრამაში მონაწილე ადამიანების, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ ინიციატივის საფუძველზე დაიწყება იმ ფენის შექმნა, რომელიც იმუშავებს სახელმწიფო სამსახურში და აქამდე არარსებულ სახელმწიფო მოხელეთა საზოგადოებას შექმნის.

არავისთვის არის საიდუმლო, რომ საქართველოში ძალიან მავნე ტრადიციაა - როგორც წესი, იცვლება თუ არა ამა თუ იმ უწყებაში ხელმძღვანელი პირი, ის ცვლის მასთან ერთად ბიუროკრატიას. წესით კი, რაციონალურად მართულ ქვეყანაში ასე არ უნდა ხდებოდეს. წლების მანძილზე შესაბამის უნარ-ჩვევებჩამოყალიბებულ, სახელმწიფო ჩინოვნიკთა ინსტიტუტისადმი შესაბამისი მიდგომაა საჭირო.

ის, რის გაკეთებასაც ჩვენ ახლა ვიწყებთ, სხვა ქვეყნებში აპრობირებულია. მოვიყვანოთ თუნდაც იაპონიის მაგალითი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის დროსაც სერიოზული დარტყმები მიიღო, შეარჩია სამი ათასი სტუდენტი, მიავლინა ევროპასა და ამერიკაში, ძირითადად, სამი დარგის შესასწავლად: ეს იყო ბიზნესი, კანონი და საბანკო საქმე. გასაოცარი ის არის, რომ სამი ათასივე უკან დაბრუნდა. არადა, მათთან დადებულ შეთანხმებაში არ იყო ჩადებული მუხლი, რომელიც მათ დაბრუნებას მოითხოვდა. სწორედ ესენი გახლდნენ ის ადამიანები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი ტრანსნაციონალური ორგანიზაციების შექმნაში.

საქართველო იურისტების მომზადებით იწყებს. მინდა გითხრათ, რომ ის დარგი, რასაც იურისტები ემსახურებიან, სახელმწიფოს მშენებლობაში ერთ-ერთი მთავარი ბლოკის ფუნქციას ასრულებს. ამიტომაც სახელმწიფომ თავისი პოლიტიკური ნების გამოხატვისას აქცენტები სწორად შეარჩია, რაც ნამდვილად მისასალმებელია და მინდა მოვუწოდო ყველას, ყურადღება მიაქციოს ამ უნიკალურ ინიციატივას.

ლევან იზორია: ამ ინიციატივის მნიშვნელობაზე არაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ ვფიქრობ, ცოტა დაგვიანებულიც კია. როდესაც სახელმწიფო განვითარების, ჩამოყალიბების გზაზეა და განსაკუთრებულ აქცენტებს დასავლურ ღირებულებებზე აკეთებს, პირველივე აქცენტს სწორედ განათლებაზე უნდა მოდიოდეს. დემოკრატიულ სტრუქტურებში ინტეგრაცია არ არის ხელოვნური პროცესი, ეს არის ცნობიერების შეცვლის, დასავლურ კულტურასთან ინტეგრაციის პროცესი და, აქედან გამომდინარე, განათლების საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა იყოს სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში. ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ ეს ინიციატივა სახელმწიფოსგან მოდის, რომ ეს არის სახელმწიფოს დაკვეთა. ამიტომაც, აპრიორად უნდა იყოს აღებული წინაპირობა, რომლის თანახმადაც, ვინც კი სახელმწიფოსგან მიიღებს დაფინანსებას და კონკრეტული დაკვეთის საფუძველზე გაემგზავრება სასწავლებლად, უნდა უპირობოდ დაბრუნდეს საქართველოში, სახელმწიფოს ხელშეწყობით მიღებული ცოდნა და გამოცდილება სხვებსაც უნდა გაუზიაროს და ქვეყნის აღმშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანოს.

დასავლეთმა პრობლემების მოსაგვარებელი ყველაზე რაციონალური საშუალებები გამონახა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაბალანსებულია კერძო და საჯარო ინტერესები. ანუ დასავლეთი საზოგადოების ინტერესებს ცალსახად არ უდგება, როგორც ამას კომუნისტური რეჟიმი აკეთებდა, და არც კერძო ინტერესებს, როგორც ეს ტურბოკაპიტალისტურ ქვეყნებში ხდებოდა საუკუნის წინ. დასავლეთი ამას ყველაფერს უყურებს დაბალანსებულად, რომ ეფექტი ყველასთვის სასურველი იყოს. საქართველოს, პირველ რიგში, სწორედ ამის სწავლა სჭირდება, ხოლო როდესაც ეფექტური მიდგომის მექანიზმს გამოვიმუშავებთ, შედეგიც თავისთავად დადგება. ამის ერთ-ერთი წინაპირობა კი მმართველობის სისტემის დახვეწა გახლავთ, რაც უნდა ისწავლონ კიდეც იქ წარგზავნილმა პირებმა.

ახლაც, როცა საქართველოში ახალი მთავრობა ყალიბდება, დღის წესრიგში დგას ისეთი კადრების, ისეთი საჯარო მოხელეების დასაქმების აუცილებლობა, რომელთა მოქმედებაც სწრაფ, ეფექტურ შედეგზე იქნება გათვლილი და არა ხელოვნურ რეფორმებზე. იმ ხალხისგან კი, ვინც ფონდის მიერ გამოცხადებულ პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას, სწორედ ახალ მიდგომებს, ახალ ფილოსოფიას, ახალ კონცეფციას დაველოდებით, რომელიც ნაწილი იქნება იმ დიდი სტრატეგიის, რომელსაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ჰქვია. თითოეული ელემენტი, ამ კანდიდატების სახით, ამ სტრატეგიის ფარგლებში ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული. მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვთქვა, რომ ამ პროგრამის განხორციელება მოხდება და რომ ამ იდეის სათავეში სახელმწიფო დგას. ამ ნაბიჯის მნიშვნელობას ჩვენ უკეთ გავაცნობიერებთ ერთი წლის შემდეგ, როცა ეს ხალხი საქართველოში დაბრუნდება და ქვეყნის სამსახურში ჩადგება.

გია ხუბუა: ფონდის ეს ინიციატივა უაღრესად დროულია. ჩვენი ქვეყნის განვითარებამ დაგვანახა, რომ აშკარად არის დისპროპორცია, ერთი მხრივ, დასავლურ სტანდარტებზე ორიენტირებული ქართული კანონმდებლობის რეფორმების ტემპსა და, მეორე მხრივ, იურიდიული აზროვნების დასავლურ ყაიდაზე რეფორმირების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართველი იურისტი დასავლურ სტანდარტებზე ორიენტირებული ქართული კანონმდებლობის ლაბირინთებში გაკვლევას ისევ მოძველებული მეთოდებით ცდილობს. უეჭველია, გაცილებით მარტივია, შეცვალო კანონმდებლობა, ვიდრე შეცვალო აზროვნების წესი. ამიტომ მინდა ვთქვა, რომ ბევრი, დღეს საქართველოში არსებული პრობლემა განათლების, კერძოდ, იურიდიული განათლების სფეროში არსებულ ხარვეზებს უკავშირდება. ამიტომ სახელმწიფოს მიერ წამოყენებული ინიციატივა, თავისი მნიშვნელობით, შეუძლებელია გადაჭარბებულად შეფასდეს. არაფერი შეიძლება იყოს იმაზე მომგებიანი, ვიდრე სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროში ჩადებული ინვესტიცია, რადგან აქ დახარჯული თითოეული თეთრი, უკუგების თვალსაზრისით, ისეთ მოგებას იძლევა, რომლის შეფასებაც ფულადი ერთეულით შეუძლებელია. ის ხალხი, რომელსაც ფონდი საშუალებას მისცემს, განათლება დასავლეთში მიიღოს, საქართველოში, პირველ რიგში, შრომის განსაკუთრებულ კულტურას შემოიტანს, რასაც საქართველოში ვერსად ისწავლი, ვერც ერთ ბიბლიოთეკაში, ვერც ერთ ნიგნში ვერ ამოიკითხავ. იმ გამოცდილებას ვერაფერი შეცვლის, რასაც ეს ახალგაზრდა ხალხი დასავლეთის უნივერსიტეტებში სწავლისას მიიღებს. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს პროგრამა ქართული სახელმწიფოს სახელით განხორციელდება. არც ის ფსიქოლოგიური მომენტია უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ ამ ახალგაზრდა ხალხს გაუჩნდება პერსპექტივის განცდა, ისინი მიხვდებიან, რომ სჭირდებიან ქვეყანას, ხალხს. გულახდილად თუ ვიტყვით, ელიტარული იურისტების დეფიციტი საქართველოში მართლაც არსებობს და პრობლემური ისიც გახლავთ, რომ საზღვარგარეთ განათლებამიღებულ ადამიანებზე აქამდე მოთხოვნაც ნაკლებად იყო. ბოლო პერიოდამდე საჯარო სამსახური ისედაც არაპრესტიჟული გახლდათ და ასეთი ადამიანები, ძირითადად, კერძო სექტორში იყვნენ დასაქმებული. ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ორიენტაცია აღებულია საჯარო სამსახურზე. ცხადია, ჩვენ იმ ხალხს ხელწერილს ვერ ჩამოვართმევთ, რომ, როცა ჩამოვლენ, აუცილებლად საჯარო სამსახურში დასაქმდებიან, მაგრამ მთავარია, რომ სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობის საშუალება მიეცემათ და შემდეგ ექნებათ უფლება და საშუალება, იქ მიღებული ცოდნა სხვებს გაუზიარონ.

- და მაინც, ამ პროგრამის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ საზღვარგარეთ ცოდნამიღებული კადრების სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებაში მდგომარეობს. თუმცა, ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო, გარდა ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნისა. კერძოდ, რა მოტივაციას და გარანტიებს შეუქმნის მათ სახელმწიფო, რომ ისინი საჯარო სამსახურში მიიზიდოს.

კოტე კუბლაშვილი: ცხადია, განათლების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფა სასურველ შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს, თუ ქვეყანა განვითარდება და რეფორმების მიმდინარეობის ტემპი არ დაეცემა. სხვანაირად ეს პროგრამა მომავალზე გათვლილ შედეგს ვერ მოგვცემს. გამოვყოფ ორ ძირითად პროცესს - განათლების სისტემის რეფორმას და საჯარო სამსახურის რეფორმას. ერთიც და მეორეც უკვე დაწყებულია. შედარებით უკეთ დაიწყო განვითარება განათლების რეფორმამ, თუმცა, კვლავაც ბევრია გასაკეთებელი. რაც შეეხება საჯარო სამსახურის რეფორმას, წელს შეიქმნება მისი განხორციელების საფუძველი და უახლოეს მომავალში მისი განხორციელებაც დაიწყება. საჯარო სამსახურისთვის უნდა შეიქმნას ერთიანი, ვუწოდოთ ამას კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეთა რანგირებას, ბიუჯეტიდან მისაღებ ხელფასს, სოციალურ გარანტიებს და, აგრეთვე, იმის გარანტიებს, რომ პოლიტიკური ნიშნით, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან დაკავშირებით პროფესიონალთა სამსახურიდან გათავისუფლება არ მოხდება. ეს მართლაც ძალზე მავნე პრაქტიკაა, რომელიც ძირს უთხრის საჯარო სამსახურის მნიშვნელობას. თუ ეს რეფორმა განხორციელდება, და მჯერა, რომ განხორციელდება, რადგან ამ რეფორმით დაინტერესებულია როგორც ჩვენი ფონდი, ასევე არაერთი უცხოელი დონორი. ამ დონორებმა ჩვენს ფონდს უკვე გადმოურიცხეს თანხები საჯარო მოხელეთა სახელფასო დანამატების გაცემის უზრუნველსაყოფად. მათი მიზანი კი, საბოლოო ჯამში, სწორედ საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმა, ისეთი ეფექტური სამთავრობო და მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც შევსებული იქნება შესაბამისი ცოდნისა და ანაზღაურების მქონე ადამიანებით. ამ კოდექსის ჩამოყალიბებაზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრს და ახლა მთავარია, რომ ეს ტემპი დაგდებული არ იქნეს. რაც შეეხება განათლების, კერძოდ, იურიდიული განათლების რეფორმას. თუ განათლების რეფორმის კვალდაკვალ არ შეიცვალა იურიდიული განათლების სისტემა და ის დასავლურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი არ იქნა, მაშინ ჩვენი პროგრამა ამოვარდნილი იქნება საერთო კონსტექსტიდან. იმედს მაძლევს იურიდიულ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილი კომისია, რომელმაც საბოლოო ჯამში, იურიდიული განათლების კონცეფცია უნდა დადოს.

ლევან იზორია: სულ ცოტა ხნის წინანდელისგან განსხვავებით, ბოლო ხანებში შეიქმნა სახელმწიფო სამსახურში დასაქმების მოტივაცია. ერთი წლის წინ, როდესაც მე გერმანიიდან ჩამოვედი, მქონდა რამდენიმე შემოთავაზება სახელმწიფო სტრუქტურებიდან, მაგრამ სრულიად გააზრებულად ვამჯობინე კერძო სტრუქტურაში მუშაობა, და არა მხოლოდ მაღალი ანაზღაურების გამო. როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა პოლიტიკური ნება, არ გეძლეოდა საკუთარი ინიციატივების განხორციელების საშუალება, სახელმწიფო სამსახურში ყოფნას ნამდვილად აზრი ეკარგებოდა. მაგრამ ახლა სიტუაცია ძირეულად შეცვლილია. მოტივაცია, ერთ მხრივ, უკვე არსებობს. იდეების განხორციელების შესაძლებლობა გაჩნდა. ახლა ძალზე მნიშვნელოვანია სახელფასო უზრუნველყოფა. მაგალითად, პოლიციის აკადემიაში უცხოეთში განათლებამიღებული 10-მდე ადამიანი, რომელსაც, ჩემი არ იყოს, მანამდე არასოდეს გასჩენია სურვილი, პოლიციის აკადემიაში ემუშავა, ახლა იქ მოღვაწეობს. მათი ხელფასი დაახლოებით 700-800 ლარს შეადგენს. და საერთოდ, ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ფონდის ცალკეული ინიციატივა, ეს უნდა გადაიზარდოს სახელმწიფო პროგრამაში. ხელისუფლება უნდა გამოვიდეს კონკრეტული პროგრამით, კონკრეტული ბიუჯეტი უნდა გამოიყოს ამ პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ამით კი ახალგაზრდებში გაიზრდება მოტივაცია. ამასთან, ამ პროგრამით გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს ვალდებულება არა მხოლოდ იმისა, რომ ახალგაზრდებს ცოდნის მისაღებად გაგზავნის, არამედ ისიც, რომ აქ ჩამოსულებს დაასაქმებს და ნორმალური ხელფასითაც უზრუნველყოფს. როდესაც სახელმწიფო გამოვა პროგრამით, რომლის მიზანი საჯარო მოხელეთა, და არა მხოლოდ იურისტების, აღზრდა იქნება, მაშინ ფონდის ინიციატივა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას მიიღებს.

გია ხუბუა: ჩვენს ქვეყანას ჰქონდა დასავლური ორიენტაცია და არ ჰყავდა დასავლური ტიპის პოლიტიკოსები, ანუ დასავლური ორიენტაცია დეკლარირებული იყო არადასავლური ტიპის პოლიტიკოსების მიერ. დღეს უკვე საქართველოში პოლიტიკურ ამინდს დასავლური ტიპის პოლიტიკოსები ქმნიან და მათ მიერ წამოწყებულმა რეფორმებმა თავისი დინამიკა უკვე შეიძინა. ამ დინამიკას თავისი ლოგიკა აქვს, მათი გაჩერება შეუძლებელია. იგი მოითხოვს შესაბამის ადამიანურ რესურსებსაც. ის ხალხი, რომელიც დაინახავს პერსპექტივას სახელმწიფო სამსახურში, როდესაც დაინახავს, რომ სახელმწიფო სამსახური მას თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს, ის არც დაფიქრდება და მიღებულ ცოდნას სწორედ ამ ასპარეზზე გამოიყენებს.

დაბოლოს, დავამატებ - ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ეს არ იყოს ერთჯერადი ინიციატივა.

ნიკა რურუა: არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ეს არის რაღაც მოკლევადიანი გამოსავალი, რომელიც შეიძლება, ჩაენაცვლოს ჩვენში განათლების რეფორმას, მაგრამ რადგანაც ჩვენი ქვეყანა იმყოფება განვითარების და წინსვლის დაჩქარებულ ტემპებში და ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევები საკმაოდ სერიოზულია, ლოდინი იმისა, თუ როდის გახდება ჩვენი უნივერსიტეტები ევროპის დონის, ჩვენს ინტერესებში არ შედის. ასეთი ინიციატივები მხოლოდ დაეხმარება განათლების რეფორმას, რომელიც დაიწყო და საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. ეს არის პირველი ნაბიჯი და შემიძლია ვთქვა, საუკეთესო ინვესტიცია. ერთი საკმაოდ ჭკვიანი და დაფასებული ადამიანი ამბობდა - "დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა თვითმმართველობის სისტემა, რომელიც ეფუძნება განათლებას." ანუ ის კეთილდღეობა, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიას მოაქვს, ეფუძნება განათლებულ ადამიანებს, რომლებიც ერთ ენაზე ლაპარაკობენ, გააჩნიათ ერთი ფასეულობები. ვგულისხმობ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პიროვნული თავისუფლებები, სახელმწიფოს და და პიროვნების ურთიერთობა. ჩვენში ჯერ ასეთი ფასეულობები არ არსებობს. ამიტომ, იმ წრის ჩამოყალიბება, რომლის წარმომადგენლებიც წავლენ, გაეცნობიან დასავლური ცივილიზაციის, განათლების მადლს იგრძნობენ, უკვე ჩამოსულები მცდელობას არ დააკლებენ, რომ ჩვენი ქვეყანაც ცივილიზებული ქვეყნების ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდეს.

ლევან იზორია: ჩვენი საუბრისას დამებადა იდეა, რომ იქნებ სახელმწიფომ ამ პროგრამის განხორციელების პარალელურად ითავოს იმ ადამიანების მოძიება და შეკრება, რომლებმაც უკვე მიიღეს ცოდნა უცხოეთში. ანუ სახელმწიფო გამოვიდეს ინიციატივით, რომ უკვე არსებული რესურსები გამოიყენოს და ამ ხალხს გარკვეული დასაქმების წინადადებები შესთავაზოს. ეს კომპლექსური საკითხია, როცა სახელმწიფო ავლენს ნებას, სახელმწიფოს მშენებლობაში ჩართოს დასავლურ ღირებულებებზე აღზრდილი, დასავლური განათლებამიღებული ადამიანები, და პარალელურად, ასეთი ადამიანების მომზადებას ხელს უწყობს.

ნიკა რურუა: ჩვენს საუბართან დაკავშირებით ერთი გამონათქვამი მინდა მოვიყვანო, რომელიც მოცემულ სიტუაციასთან, ჩემი აზრით, პირდაპირ კავშირშია. შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა, რიგით მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი ამბობდა: "მე უნდა ვისწავლო კანონი, ომი და პოლიტიკა, იმისათვის, რომ ჩემს შვილებს ჰქონდეთ საშუალება, ისწავლონ არქიტექტურა, ინჟინერია, ფიზიკა და სხვა მეცნიერებები. მათ უნდა ისწავლონ არქიტექტურა, ფიზიკა და სხვა მეცნიერებები, რომ მათ შვილებს ჰქონდეთ უფლება, ისწავლონ პოეზია, მუსიკა და ა.შ." ჩვენ დღეს ვიმყოფებით სახელმწიფოს ჩამოყალიბების ემბრიონულ პოზიციაში, როდესაც აქცენტი უნდა გავაკეთოთ კანონზე, პოლიტიკაზე, სამხედრო საქმეზე და ეს ინიციატივა ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯია.

დაინტერესებულ პირებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის მიერ გამოცხადებული პროგრამის შესახებ ინფორმაციას შეუძლიათ გაეცნონ ვებ-გვერდებზე:

www.drf.org.ge, www.jobs.ge, www.gyla.ge

შემდგომი ინფორმაციისთვის და განაცხადის ფორმებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართზე:

განვითარებისა და რეფორმების ფონდი. ჭანტურიას ქ.12, თბილისი 0108 საქართველო

ტელ: 996723, 995923, 997582(ფაქსი)

ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge

ირინა სულავა

ქართული სიმღერა ევროპამდე გაიჭიმა

B2

შვარცნეგერის წელიწადი

B3

თომას გრავესენი - ცივი ლივერპულიდან თბილ მადრიდში

B4

მას ისტორიამ სულ სხვა მისია არგუნა

გიორგი კალანდია
დადიანების სასახლეთა
გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე

15 თებერვალს ზუგდიდის დადიანების სასახლეებში უჩვეულო პრეზენტაცია გაიმართა: მუზეუმის დირექტორმა კახა ფარცვანიამ ჟურნალისტებს ნახევარი საათით სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის უნიკალური საწერი მაგიდა წარუდგინა. იგი ბაროკოს სტილშია შერულებული და სამეგრელოს მთავრების სამუშაო ოთახის გარნიტურიდან ერთადერთი ექსპონატია. საარქივო ცნობების მიხედვით, მაგიდა, გადარჩენის მიზნით 1921 წელს მუზეუმის პირველმა დირექტორმა აკაკი ჭანტურიამ ურმით ზუგდიდის სასახლეში გადაიტანა. 1946 წელს კი ექსპონატი აღმასკომმა მუზეუმს უკანონოდ ჩამოართვა და თეატრს გადასცა, ნივთის საგანძურში დაბრუნება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის გიგი უგულავას უშუალო ჩარევის შემდეგ მოხდა. სასახლეში საუკუნის წინ დაწყებული ჟამი შეკრებისა კვლავ განახლდა.

აკაკი ჭანტურია

ნიკო დადიანის სასახლე

ზუგდიდის დადიანების სასახლეებში მუზეუმის დაარსება მენშევიკებს კაბინეტურ ოცნებად მიაჩნდათ, თუმცა ამ მიზნის მიღწევა ბოლშევიკებმა შეძლეს.

ზუგდიდის მუზეუმი, რომელსაც სამეგრელოს მუზეუმი ეწოდა, ადგილობრივი ხელისუფლების ანუ სამაზრო რევკომის ინიციატივით, ფაქტობრივად, 1921 წლის 1 მაისს გაიხსნა. ამ საქმის განსახორციელებლად სამაზრო რევკომმა აკაკი ჭანტურია მოიწვია.

პიროვნება, რომელიც იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობისა და ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გახლდათ. იგი 1881 წლის 12 თებერვალს სოფელ ჩქვალერში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება აკაკიმ ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. მას ეს სასწავლებელი წარჩინებით დაუმთავრებია და უფლება ჰქონდა უგამოცდოდ თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩარიცხულიყო, თუმცა აკაკის სულ სხვა მიზნები ჰქონდა. 1902 წელს ჭანტურია დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება, სავარაუდოდ მას ამ საქმეში როტშილდის ქარხანაში მომუშავე ერთ-ერთი ინგლისელი დაეხმარა, რომელთანაც აკაკი მეგობრობდა. ინგლისელმა მას ლონდონში სარეკომენდაციო წერილიც გაატანა.

"ლონდონში ყოფნის დროს დაამზადა თვითნაკეთი ჩონგური - ნათქვამია ერთ მოგონებაში - რომელზედაც უკრავდა და დაამღერებდა. მისი ნათქვამიდან ვიცი, რომ ხშირად გამოსულა ხალხურ შემოქმედების საღამოებზე ლონდონში, იქ სხვადსხვა ეროვნების წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება გამოსულიყვნენ თავიანთი ხელოვნების საჩვენებლად. ინგლისიდან დაბრუნებულმა აკაკიმ ჩამოიტანა ნაპოლეონის ფოტოსურათი ჩარჩოში ჩასმული... რომელიც მან მიიღო ჯილდოდ ერთ საღამოზე ჩონგურზე შესრულებული მეგრული სიმღერისათვის".

ჭანტურიამ ლონდონში უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ამ პერიოდშივე, როგორც თავისუფალმა მსმენელმა, შეისწავლა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, კარტოგრაფია, სამუზეუმო საქმე, ფილოლოგია, ფოლკლორი და ხელოვნება, მონაწილეობდა ბრიტანეთის მუზეუმის სამეცნიერო-საძიებო ექსპედიციებსა და ტრადიციულ შემოქმედებით დათვალიერებებში.

სწორედ ამ დროს უნდა ემოგზაურა მას მსოფლიოს გარშემო. მოგზაურობა გემით მომხდარა და სავარაუდოდ, ჭანტურია ლონდონის გეოლოგიურ ექსპედიციას ახლდა თან. პირად ანკეტაში ჩამოთვლილია ქვეყნები, სადაც მეცნიერი ყოფილა: "ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აზია, არქიპელაგი, ინდოეთი, არაბეთი, პალესტინა ცეცხლოვანი მიწა".

რომელ წელს დაიწყო ჭანტურიამ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა და ზუსტად რამდენ ხანს გაგრძელდა იგი, ჩვენთვის არაა ცნობილი. თავად ბატონ აკაკის პირად ნამსახურობის ბარათში მოგზაურობის დროდ უცხოეთში ყოფნის პერიოდი, ანუ ზოგადი თარიღი 1904-1920 წლები აქვს მითითებული.

ასეა თუ ისე, ერთი რამ დანამდვილებით ცხადია - აკაკი ჭანტურია იყო პირველი ქართველი, ვინც მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.

1916 წელს იგი სწავლობს ლონდონის ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში და სამხატვრო კოლეჯში; 1917 წელს - ლონდონის აკადემიის სენატში, ფიზიოლოგიის კოლეგიაში; 1919 წელს კი დიდი ბრიტანეთის სამეფო კოლეგიაში, სადაც მას ბაკალავრის სამეცნიერო წოდება მიუღია. იმავე წელს ცოდნის მისაღებად ჭანტურია ამერიკაში გაემგზავრა, იგი იქ ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში ბარეტის კოლეგიაში სწავლობდა.

როგორც ჩანს, ჭანტურიასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობა ცდილობდა. მეცნიერს საგანგებოდ შეხვედრია ქვეყნის მეთაური ნოე ჟორდანია და რამდენიმესაათიანი საუბრის შემდეგ ევროპასა და ამერიკაში განათლებამიღებული მეცნიერისათვის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი შეუთავაზებია. ბატონმა აკაკიმ წინადადებაზე უარი თქვა. მას ისტორიამ სულ სხვა მისია არგუნა - ჭანტურიას მიზანი მუზეუმის დაარსება იყო... ბედის ირონიის გამო, ამ მისიის შესრულება მეცნიერს ბოლშევიკების დროს მოუწია. ტერორისა და განუკითხაობის ხანაში, ეროვნული საგანძურის გადასარჩენად მან ეკლიანი გზის გაკვალვა დაიწყო.

აკაკი ჭანტურიას წინაშე ურთულესი ამოცანები იდგა, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, სამეგრელოს მთავრების სხვადასხვა სასახლეებში დავანებული ისტორიული საუნჯის მოძიება და ზუგდიდში გადატანა იყო. დადიანების უმდიდრესი ქონება ზუგდიდის გარდა ჭკადუაშში და სალხინოში, პრინც მიურატის სასახლეში იყო დაცული.

მთელ ეპოპეად იქცა სალხინოს ფრანგული უნიკალური განძის გადარჩენა. პარტიული მუშაკები მის დატაცებას ყველა მეთოდით ცდილობდნენ. სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ს. მამულიამ მუზეუმის დირექტორი სასახლეში რამდენჯერმე არ შეუშვა. დალუქული ოთახებიც გახსნა და განძის რა ნაწილი დაიკარგა, უცნობია. მოგვიანებით მამულია დაჟინებით მოითხოვდა, რომ ჭანტურიას დადიანების ავეჯის ნაწილი აღმასკომისათვის გადაეცა, თუმცა უშედეგოდ - მეცნიერმა ტიტანური შრომისა და ენერგიის საფასურად 4465 ნივთი ურმებით ზუგდიდში ჩაიტანა. ბოლშევიზმის კლანჭებიდან დახსნილ ექსპონატთა შორის იყო ნაპოლეონ ბონაპარტეს ნიღაბი და ჟაკ ლუი დავიდის მიხედვით შესრულებული იმპერატორის პორტრეტის ასლი.

მაშინ როცა უკვე განძეულობის მნიშვნელოვანი ნაწილი ზუგდიდში იყო თავმოყრილი, აკაკი ჭანტურიას ახალი და კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობების გადალახვა ელოდა. უპირველესი მათ შორის ფართობის საკითხი იყო. სამეგრელოს მუზეუმს, ფაქტია, რომ არსებობისათვის საგამოფენო დარბაზები ესაჭიროებოდა, მაგრამ ეს დარბაზები ორივე სასახლეში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს უკვე დაკავებული ჰქონდა.

1922 წლის 10 მარტს ზუგდიდის რევკომს შემდეგი შინაარსის ბრძანება მიუვიდა: "სსრ რევოლუციური კომიტეტის დადგენილების თანახმად, ზუგდიდში არსდება "სამეგრელოს მუზეუმი" დედოფლის სასახლეში, ამიტომ ზუგდიდის რევკომს წინადადება ეძლევა ერთი კვირის განმავლობაში სრულიად გაანთავისუფლოს ზემოაღნიშნული დედოფლის სასახლე სხვა დაწესებულებიდან და გადასცეს მუზეუმს ამხ. ა. კ. ჭანტურიას ხელწერილის ქვეშ ინვენტარითურთ. აგრეთვე გევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ ამხანაგ ჭანტურიას სასახლეებიდან გატანილი სამუზეუმო ქონების უკან დაბრუნებაში, სადაც და ვისგანაც არ უნდა იყოს წაღებული. სასახლე და ქონება, აგრეთვე ბაღი სასახლის გარშემო გამოცხადებულია ხელშეუხებლად და უნდა გადაეცეს მუზეუმის გამგეს მოსავლელად და თვალყურის საგდებად. ბაღში ხეების აჩეხა ან მისი სხვანაირად დასახიჩრება სასტიკად აკრძალულია და დამნაშავე დაისჯება რევოლუციური დროის კანონით. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს რევკომს."

თბილისიდან მიღებულ მითითებას ზუგდიდის რევკომი ზერელედ შეხვდა და მოთხოვნების გაჭიანურება დაიწყო, მუზეუმს ეკატერინე დედოფლის სასახლის ნაცვლად ნიკო დადიანის სასახლის სამი ოთახი დაუთმეს. ამას დაემატა კიდევ ერთი პრობლემა, ზუგდიდის დადიანისეული სასახლეებიდან პარტიულმა მუშაკებმა საკუთარ სახლებსა და სამუშაო ოთახებში ქონების გაზიდვა დაიწყეს. ამ მხრივ, წითელი პარტოკრატიის თავაშვებულობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. 1924 წლისათვის სასახლიდან ბოლშევიკების სახლებსა და სამსახურებში ჩამორიგებული ნივთების რაოდენობა 1568 ერთეულს აღწევდა, მათ შორის იყო უნიკალური ავეჯი, ჭურჭელი და მრავალი სხვა. მაგალითად, რევკომის თავმჯდომარეს აკაკი ქავთარაძეს წაუღია და უკან არ დაუბრუნებია 72 ნივთი, მათ შორის ვენაში დამზადებული ავეჯი, სკამი ჯიხვის ფეხიანი, დადიანის საწერი მაგიდები, სავარძლები, ბროლისა და ფაიფურის ჭურჭელი, მასვე 1922 წლის 19 აგვისტოს სასახლიდან დავით დადიანის სერვიზი მიუთვისებია. პარტკომის მდივან გრიგორი როგავას კი სახლში 6 ნივთი გადაუტანია, პარტკომის თავმჯდომარეს 31 ნივთი გაუზიდავს, მათ შორის ბანქოს სათამაშო მაგიდა მაუდით გადაკრული, 4 ტყავის სავარძელი, ფორტეპიანო, ოქროთი მოვარყებული სარკეები. ვინმე ერასტი როდონაიას 197 ნივთი რგებია და ა.შ.

ამ პრობლემას ძალიან მალე კიდევ ერთი უბედურება დაემატა, 1924 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის ფინსახკომმა ზუგდიდის დედოფლის სასახლეში დაცული გაძეძულობა, როგორც გასაყიდი ნივთები, სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა - მოგვიანებით გაირკვა, რომ ფინსახკომის ეს ქმედება ზუგდიდიდის აღმასკომის მიერ იყო ინიცირებული. აკაკი ჭანტურია აღნიშნული მოვლენის აღსაკვეთად თბილისს რამდენჯერმე ეწვია, სხვადასხვა უწყებაში გააგზავნა უამრავი საპროტესტო წერილი. მეცნიერის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, აღმასკომის დუქანმა ვაჭრობის დროს გასაყიდ ექსპონატთა ნუსხაში ვერ შეიტანა დადიანების უნიკალური ნივთების დიდი ნაწილი. გასხვისებას გადაურჩა ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი, ნაპოლეონის ნიღაბი და ანდრია დადიანის ავეჯი.

სულ მალე პარტოკრატია სხვა რამეზეც ალაპარაკდა, კერძოდ ზუგდიდის მუზეუმის სრულ გაუქმებაზე და იქ დარჩენილი განძეულობის თბილისში გადატანაზე. ამას დაემატა ისიც, რომ 1924 წელს ზუგდიდში იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ რიკოვმა, მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში შესულს დადიანების ქონების დანახვისას შემდეგი სიტყვები უთქვამს: "Какая большая лавка посуд". ეს თბილისისათვის მითითება იყო და ამიტომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა 1924 წლის 23 ოქტომბერს ცაკში წარადგინა სამეგრელოს მუზეუმის გაუქმებისა და მისი დედაქალაქში გადატანის პროექტი.

ახალი ეპოპეა დაიწყო. ჭანტურიას კვლავ სხვადასხვა უწყებებში წერილების წერა, ცენტრში პარტიული მუშაკების გადარწმუნება და კომისარიატებში მოხსენებების გაკეთება უწევს. დირექტორმა მოახერხა და მუზეუმი არ გაუქმებინა.

საოცარია ამ ადამიანის დაუღალავი ენერგია, საქმისადმი თავდადება და მიზნის მისაღწევად ბრძოლა, მაშინ როცა აღმასკომი ნივთებს საჯაროდ ყიდდა, სახალხო კომისარიატი კი მუზეუმის გაუქმების პროექტს წერდა. აკაკი ახალ ნივთებს აგროვებდა, მას 13 ნოემბერს მუზეუმში გადაუტანია ზუგდიდის მაზრის სამხედრო არქივი, მოგვიანებით ვერცხლით მოჭედილი ანტიკური მაგიდის ფეხი, რახტი და სამკერდული, 19 დეკემბერს შეუსყიდია მურზაყან დადეშქელიანის თოფი. მთელი წლის განმავლობაში მუზეუმს 200 ახალი ნივთი შეჰმატებია.

1935 წლისათვის სამეგრელოს მუზეუმში დაცული ექსპონატების რაოდენობა უკვე 35 ათასს აღწევდა. იმავე წელს სოფელ ჭკადუაშში მცხოვრებმა გლეხმა სიძველეთსაცავს შოთა რუსთაველის უნიკალური ქანდაკება გადასცა, რომელმაც მან მიწის თხრის დროს იპოვნა. ახალ ექსპონატთა შორის იყო ე.წ "ცრემლის ჭურჭელი", ირანის შაჰის მეცხრე საუკუნის დიდი ხმალი, რომელიღაცა ქართველი მეფისათვის საჩუქრად გადაცემული. აპოლონის ბერძნული ბრინჯაოს ქანდაკება ძვ. წელთაღრიცხვის 4 საუკუნით დათარიღებული.

ეროვნული ისტორიის პოპულარიზაცია ქართველ ბოლშევიკებს არ მოსწონდათ, ამიტომ 30-იანი წლებიდან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჭანტურიასთან ბრძოლის ახალი და ნაცადი მეთოდი გამოძებნა. იგი არსებული წყობის მოწინააღმდეგედ გამოაცხადეს - მუზეუმს კი "კონტრრევოლუციის ბუდე" უწოდეს. კომუნისტების წარმოდგენით დადიანების სასახლეში სოციალისტური გმირების, საბჭოთების ლიდერებისა და ბელადების პორტრეტები უნდა ყოფილიყო გამოფენილი.

აკაკი ჭანტურიას აშკარა დევნა 1937 წლიდან დაიწყო, ფინსახკომის რევიზია, შემდეგ საყვედური, მუზეუმის დალუქვა, გასაღებების ჩამორთმევა, ანონიმური წერილები და თანამშრომელთა დაბეზღებები.... ყველა ეს სიბინძურე ჭანტურიას ერთბაშად თავზე დაატყდა. 29 ივლისს გაზეთმა კომუნისტმა პირველ გვერდზე შემდეგი შინაარსის ცნობა გამოაქვეყნა: "ზუგდიდის რაიკომის პლენუმში ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ბიუროს ზუგდიდის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა მოხსნა რაიკომის პირველი მდივნობიდან ხალხის მტერი, თვალთმაქცი ტროცკისტი ი. გვასალია". ეს გვასალია მოგვიანებით დახვრიტეს. იგი ისეთივე ჩვეულებრივი საბჭოთა ფუნქციონერი იყო, როგორც დანარჩენი სხვა, უბრალოდ, მაშინ მან თამაშის წესები ვერ გაიგო და სკამისათვის ბრძოლაში უფრო ძლიერმა აჯობა. გვასალია არც სამეგრელოს მუზეუმს სწყალობდა, არც დადიანების მემკვიდრეობას და მით უფრო არც აკაკი ჭანტურიას. თუმცა, მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ზუგდიდში ხალხის მტრის ვინაობა "გარკვეული" იყო, ახლა გვასალიას მომხრეებთან ბრძოლის ლოზუნგით სხვების მოშორებაც შეიძლებოდა..... ასეთი სხვა აკაკი ჭანტურია აღმოჩნდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიულ მუშაკებთან ერთად მუზეუმის თანამშრომლებიც ჩაებნენ, მათ შორის ვინმე შალვა შენგელი და ილია გოგია ლიდერობდნენ. ორივე თავის დროზე სამუშაოდ მუზეუმში აკაკი ჭანტურიამ მიიყვანა, დააკვალიანა და გზას დააყენა, მათ ღვაწლმოსილ მეცნიერს ამაგი თავისებურად დაუფასეს - უამრავი "ანონიმკები" უწერეს. სანაცვლოდ ორივემ თანამდებობები მიიღო.... რიგ-რიგობით ისინი ჭანტურიას შემდეგ დირექტორები გახდნენ. ჭანტურია კი მის მიერ დაარსებული მუზეუმიდან გააძევეს. ეს გადაწყვეტილება მუზეუმის თანამშრომელთა საერთო კრებაზე მიიღეს. კრების ოქმის მიხედვით ლონდონის აკადემიის კურსდამთავრებულ ჭანტურიას რეაქციონერობა და კონტრრევოლუციონერობა ედებოდა ბრალად. შეთითხნილი ბრალდებებით მეცნიერს ბოლშევიკური აქტივი სასტიკად გაუსწორდა, მას მუზეუმი დაატოვებინეს, დაატოვებინეს ისე, რომ კუთვნილი ხელფასიდან კაპიკიც არ მისცეს. ერთ-ერთი ნათესავი იგონებს: "ჭანტურიას ცუდი ეკონომიკური პირობები შეექმნა, მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა. მოსავლელად დარჩა ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი. ასეთ პირობებში მეცნიერული მუშაობა ძალიან ძნელი იყო. განზრახული ქონდა შეედგინა სამეგრელოს არქეოლოგიური რუკა, დაწყებული ჰქონდა მუშაობა მეგრულ-ქართულ ლექსიკონზე.

დადიანების სასახლეში აკაკი ჭანტურიას ეპოქა დასრულდა, დაიწყო სოციალისტური შეჯიბრების ხანა, ხანა, რომელსაც შეგროვებული საგანძურის არნახული ძარცვა-რბევა მოჰყვა. უნიკალური ექსპოზიცია დაშალეს და იგი ლენინ-სტალინის პორტრეტებით, ჩაის მკრეფავთა მიღწევების სტენდებით შეცვალეს.

მეცნიერის არქივში შემორჩენილია ერთი პატარა ბარათი, რომლის წაკითხვისას ხვდები, თუ რა დიდი შემოქმედებითი და ფიზიკური ენერგია დასჭირდა სამეგრელოს მთავრების უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენას. ბარათში ჭანტურიას ლამაზი კალიგრაფიით წერია:

"სალხინოში საგანძურის ჩამოსატანად ვიყავი ხუთჯერ, მთლიანად დავიარე ზუგდიდის და სენაკის მაზრა, 11-ჯერ ვიყავი თბილისში, ზოგჯერ თვეობით, უმეტესად ვწოლილვარ იატაკზე, ექსპონატების გადასარჩენად სამჯერ ჩამოვიყვანე სახელმწიფო კომისია, პირველ წლებში არ მყოლია დამხმარე, ამიტომ მთელი მუზეუმის საქმეს ვაკეთებდი მე, არასოდეს მყოლია მდივანი, ბევრჯერ დარაჯისა და დამლაგებლის მოვალეობასაც ვასრულებდი, ჩემი ხელით დავამზადე ვიტრინები, ფეხით დავდიოდი გამოკვლევებსა და არქეოლოგიურ გათხრებზე, უმეტეს შემთხვევაში არ ამიღია დღიური, 11 წელი არ მისარგებლია შვებულებით, ჩემი საკუთარი ფული დამიხარჯია უამრავჯერ, სულ ბოლოს 36 გირვანქა სტერლინგის შესაბამისი საბჭოთა მანეთი".

დადიანების სასახლეში ახალი ერა დაიწყო, უძველესი დარბაზები დამკვრელური კოლმეურნეობების, "სასახელო" კომისრებისა და ჩეკისტების სტენდებს უნდა დასთმობოდა... ჭანტურიას მუზეუმიდან წასვლის შემდეგ ეროვნული საგანძურის არნახული განადგურება გაჩაღდა. ბოლშევიკურ ვაკხანალიას ბოლო მხოლოდ 1990 წელს მოეღო, მაშინ როცა საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული მთავრობა მოვიდა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თბილისისი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ჯუზეპე ვერდი
"აიდა"
(ოპერა ოთხ მოქმედებად)
დირიჟორი: ზაზა აზმაიფარაშვილი
რეჟისორი: დავით საყვარელიძე
მხატვარი: პოლინა რუდჩიკი
დამდგმელი ქორეოგრაფი: ირაკლი შენგელია
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
ჰაროლდ პინტერი
“ღალატი”
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
"ტელე(მ)ისტერია"
ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

სამეფო უბნის თეატრი
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
ავტორი და რეჟისრი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ;
ფასი: 3-5 ლარი.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

რუსთაველი
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 11:30; 14:00; 16:30; 19:00; 21:30 სთ.

ამირანი
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
რუსუდან ბერიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (მხატვრული ქსოვილები)

TMS
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ეროვნული გალერეა
იზა მღებრიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

ძველი გალერეა
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა)

თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

ორნამენტი
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

ჰობი
I დარბაზი
ნუგზარ ნათენაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

II დარბაზი
თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა

თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი
პლაკატებისა და მხატვრული ფოტოს გამოფენა
(პროექტ - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების
პრევენცია ახალგაზრდებს შორის" - ფარგლებში)

ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ

გვირაბი
Phil Thompson aka Moonface (London, UK)
დას: 22:00 სთ.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲡᲝᲪᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ

ᲓᲔᲓᲐ-ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲒᲕᲔᲫᲐᲮᲘᲡ

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

როცა მეორე მსოფლიო ომის დაწყება გაიგო, ყველაფერი გადადო და სულ მალე შექმნა პლაკატი, რომელიც ანტიფაშისტური კოალიციის მთავარ დროშად იქცა. წითელ სამოსელსა და თავსაფარში გამოწყობილი დედისა და ქალის განზოგადებული სახე, წარწერით "დედა-სამშობლო გვეძახის!" მთელს საბჭოთა კავშირს მოედო და უფრო შორსაც წავიდა, ყველგან სადაც ფაშიზმს ებრძოდნენ იგი წინა პლანზე ფრიალებდა. სწორედ ეს, ყველასათვის კარგად ცნობილი პლაკატი განათავსა გალერეა "კოპალამ" საკუთარი ახალი გამოფენის აფიშასა და ექსპოზიციის ცენტრში. გუშინ საღამოს "კოპალაში" ირაკლი თოიძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

ᲕᲐᲮᲝ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ

თოიძის სოცარტი - დიდი ოსტატობა, ხაზი, ხელი და გრძნობა.

ირაკლი თოიძის გამოფენა, მხატვრის ასი წლისთავს მიეძღვნა. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ფაშიზმზე გამარჯვებიდან სამოცი წლისთავს დაემთხვა. გალერეაში სხვა ნამუშევრებთან ერთად წამყვანი ადგილი მაინც სამამულო ომის თემატიკაზე შექმნის ნამუშევრებს უჭირავს. გამოფენა, სადაც თოიძეების დიდმა ოჯახმა მოიყარა თავი, გალერეა "კოპალას" და მოსე თოიძის სახლ-მუზეუმის ინიციატივით შედგა და დამთვალიერებელს მეტად საინტერესო ექსპოზიციას სთავაზობს: სამყაროს, რომლითაც საბჭოურ საზოგადოებას, მით უფრო ხელოვანთ უნდა ესაზრდოვათ, იმ შინაგან ბუნებასა და ემოციურ მუხტს, რომლითაც მთელი საბჭოთა კავშირი ფაშიზმს ებრძოდა და საკუთარ იდეოლოგიას ამკვიდრებდა და აძლიერებდა.

სოცრეალისტური ხელოვნება საბჭოური იდეოლოგიის ძლიერ იარაღად იქცა, ამიტომაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ყველაფერი რასაც ოდნავი "სიწითლე" შეჰპარვოდა, ნიველირებული დარჩა, ხელოვნების მოყვარულ-შემფასებელმაც იმ დროის ხელოვნებას კარი მოუკეტა. მაგრამ თვალების დახუჭვით, ქანდაკებარელიეფების ჩამოხსნით, წარსული რეალობის წაშლა ხომ შეუძლებელია, ისიც ფაქტია, რომ სოცრეალიზმის ხელოვნების წიაღში მრავალი მხატვრულად ფასეული რამ შექმნილა და ბევრი ნიჭიერი შემოქმედი მოღვაწეობდა. აღსანიშნავია ის, რომ დღეს სოცრეალისტურ ხელოვნებას არა როგორც მოვლენას, თანაც მეტად საინტერესოს, არამედ ერთფეროვან და ფასეულობადაკარგულ ხელოვნებად აღვიქვამთ, არადა, შესაძლოა, თუ კარგად დავუკვირდებით და ღრმადაც ჩავიხედავთ ამ მოვლენაში, ბევრი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი აღმოვაჩინოთ ჩვენი უახლესი წარსულის ხელოვნებიდან და მრავალ დღესდღეობით დასმულ კითხვასაც გავცეთ პასუხი.

სოცარტის დიდოსტატი, მედროშე მხატვარი, გამოფენის გახსნაზე გამომსვლელთა აზრით, დიდი ჰუმანისტი იყო; მხატვარი, რომლის შემოქმედებაშიც მთავარი ადგილი მუდამ ადამიანს ეკავა. იგი იმ თაობას ეკუთვნოდა, ვინც მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში იცხოვრა და იმ შემოქმედთა რიგს, ვისაც საკუთარი პოზიცია საკუთარი ხელოვნებით უნდა ეჩვენებინა. მაგრამ ირაკლი თოიძე ამ თვალსაზრისით არ ყოფილა ერთ-ერთი, მან დაიწყო პირველმა ხელოვნებით ფაშისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა, მან ერთ-ერთმა პირველმა მოუწოდა საკუთარი ტილოებით თანამემამულეებს გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

"ირაკლი არის უდიდესი ჰუმანისტი მხატვარი, მას ძალიან უყვარდა ადამიანები, მთელი თავისი ნიჭი მან მათდამი უზარმაზარ სიყვარულში ჩადო. მას განურჩევლად უყვარდა რუსი, ქართველი, სომეხი. ის პიროვნულად დაუპირისპირდა ვერმახტის იდეოლოგიურ მანქანებს თავისი პლაკატებით. ფაშიზმი გახლდათ იდეოლოგია, იდეოლოგიაზე გამარჯვება შეუძლებელი გახლავთ და რომ არა ირაკლი და სხვანი, რომლებიც საკუთარი შემოქმედებით დაუკავშირდნენ ფაშიზმს, მასზე გამარჯვება ვერ მოხდებოდა. ირაკლი, როგორც სოც-არტის წარმომადგენელი, სოციალური პროტესტის გამოხატვის დიდოსტატი გახლდათ. თუმცა, ის პირველ რიგში დიდი მხატვარი, ფერმწერი, ღრმა პორტრეტისტია, ამ საოცარმა ნიჭმა მას საშუალება მისცა ფაშიზმისადმი იმ პროტესტის გამოხატვისა, რაც გააკეთა სოცრეალიზმის საშუალებით. ირაკლი არა მარტო ამ მიმდინარეობის წარმომადგენელია, არამედ მისი ავტორი და ნოვატორია. იგი სოცარტის ნამდვილი ავანგარდისტია." - სწორედ დავით ამირეჯიბის, ირაკლი თოიძის ნათესავის, ამ სიტყვებით გაიხსნა გამოფენა.

ექსპოზიცია აარერთ პორტრეტს, კომპოზიციასა და სოციალურ თუ საომარ თემაზე შექმნილ ნამუშევარს მოიცავს. "ინტერნაციონალი", "პარიზის კომუნა", "მუშები ლენინის ძეგლთან", "მიწისძვრა სასომხეთში", "თავისუფლება ვიეტნამს", "პირველი მაისი", სოლიკო ვირსალაძის, კოკა იგნატოვის, ლია სტურუას და სხვათა პორტრეტები და დანარჩენი ფანქარში, ზეთში თუ პასტელში შესრულებული ნახატები კარგად გვიჩვენებს მხატვრის ოსტატობასა და მოქნილ ხელს. მის დაუღალავ ბუნებას, შინაგან დინამიკასა და თითქმის ყველგან ჩადებულ ძლიერ ემოციურ მუხტს.

"დღევანდელი საზოგადოებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის ბევრი რამ ისეთი უცნობია, რაც წარმოადგენს ქართული სახვითი ხელოვნების ძირებს და სათავეებს. მათ შორის ირაკლი თოიძის შემოქმედებას. მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება შევაჩერო, თუ რას წარმოადგენდა ფერმწერი ირაკლი თოიძე, ამისთვის საკმარისია, მოვიგონოთ ხელოვნების მუზეუმში არსებული შურა თოიძის პორტრეტი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები, რაზეც მთელი თაობები გავიზარდეთ. აქ წარმოდგენილი "ქალი ხის ჩრდილში" - უმაღლესი რანგის ფერწერაა, ესაა ის უმაღლესი პროფესიონალიზმი, რომელიც ბატონ ირაკლის აძლევდა იმის უფლებას, რომ ის ყოფილიყო სოცარტის სათავეში. ოთხჯერ სტალინური პრემიის ლაურეატი. ეს უბრალოდ საქმე არაა. ასეთი რამ მხოლოდ სტალინის პორტრეტის დახატვისთვის არ ხდებოდა. მას ჰქონდა უდიდესი სიღრმე და დონე, რაც მის წარმატებას განაპირობებდა. ეს ადამიანი იყო მატარებელი თავისი დროისთვის დამახასიათებელი ყველა ნოვაციისა და სიახლისა. მართალია, ძალიან ძნელია წარმოიდგინო ნოვაცია საბჭოთა სახელმწიფოში, მაგრამ... ის იყო სოციალური შეკვეთის მატარებელი, თუმცა ამ შეკვეთას ხშირად ემთხვეოდა მხატვრის არაორდინარული ნიჭი, ამიტომ დაიპყრო მაშინ მისმა პლაკატმა "დედა-სამშობლო გვეძახის" ყველა სივრცე, ამიტომ შეაღწია მან ყველას მეხსიერებაში. იგი პირდაპირ დაუპირისპირდა იმ იდეოლოგიურ მანქანას, რასაც ფაშიზმი ერქვა."- გვითხრა მხატვარმა თემურ გოცაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ სოცრეალისტური ხელოვნება ძლიერ ასოცირებას ახდენს წარსულ მოვლენებთან, საერთოდ უახლეს ისტორიასთან, მიუხედავად იმისა, რომ მრავალთათვის იგი გუშინდელი დღეა, იმ პერიოდის ხელოვნება დღესაც, შესაძლოა, ბევრისთვის საინტერესო იყოს, მრავალი ფაქტორის გამო. პირველი იმიტომ, რომ დღევანდელობაში უკეთ გაერკვე, უბრალოდ, იცოდე რას ვქმნიდით, რითი ვტკბებოდით, რაზე ვფიქრობდით გუშინ, მეორე იმიტომ, რომ ხელოვნების ნიმუშს შინაარსის გარდა ფორმა აქვს და მისი ფორმის ხასიათი, მისი რაობა შეიძლება გაინტერესებდეს და სხვა მრავალი. ერთი მნიშვნელოვანი რამ კიდევ მსურს აღვნიშნო. გუშინ გალერეა "კოპალაში" მისულნი, ყველა სხვაგვარად აღიქვამდა იმას, რასაც უყურებდა. მრავალთათვის მოგონებები გაცოცხლდა, გალერეის კედლებზე წარსულის სახეები აღმოაჩინა, ახალგაზრდები კი ნახატებში გაგონილ, მონათხრობ სიუჟეტებს "კითხულობდნენ" და მეტწილად მხოლოდ მათ მხატვრულ ღირებულებებზე მსჯელობდნენ. შესაძლოა, დღეს სოცარტის ღრმა შესწავლა და შეფასება არ ხდება, თუმცა ეს ალბათ მომავლის საქმეა. როგორც თემურ გოცაძემ აღნიშნა, მოვა თაობა, რომელიც ამ ხელოვნებას ისტორიული მოვლენებისგან შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად აღიქვამს და მათ წინაშე ირაკლი თოიძის გაშიშვლებული შემოქმედება, დიდი ოსტატობა, ხაზი, ხელი და გრძნობა დარჩება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲘᲭᲘᲛᲐ

ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

წელიწადში ორი - 15-15- კონცერტიანი ტურნე 2002 წლიდან საფრანგეთში, - ის ძირითადია, რაც ანსამბლ "სიმს" საფრანგეთთან აკავშირებს. "ეჭვიც არ შემპარვია, რომ ჩვენი თანამშრომლობა - მათი პროფესიონალიზმისა და ერთგულების გამო, კომერციულადაც წარმატებული იქნებოდა", - ამბობს ფრანგი იმპრესარიო, სააგენტო NS Organization-ის თბილისში სტუმრად მყოფი ხელმძღვანელი სერჟ პულენი, რომელიც თბილისთან საქმიან კონტაქტებს აფართოებს.

ᲒᲝᲒᲘᲩᲐ ᲑᲐᲯᲐᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

უკვე მივეჩვიეთ, რომ ჩვენს შემსრულებლებსა თუ მუსიკალურ კოლექტივებს საზღვარგარეთ უკეთესად იცნობენ, ვიდრე სამშობლოში. ყოველ შემთხვევაში, საკონცერტო გარემო მათთვის იქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩვენთან. თბილისში წლების განმავლობაში გადაულახავი პრობლემაა კონცერტების გასამართავად აუცილებელი ფინანსების მოძიება. მუსიკოსებს ფული არა აქვთ, ისინი კი, ვინც კონცერტების ორგანიზებით უნდა იყვნენ დაკავებული, საერთოდ საკითხავია, გვყავს თუ არა? საუბარია იმპრესარიოებზე - ჩვენთან ხომ ამა თუ იმ შემსრულებელის ან კოლექტივებისთვის კონცერტების გამართვაზე მათივე პროდიუსერები ზრუნავენ. აქედან გამომდინარე, ჩვენს საკონცერტო დარბაზებშიც მათი გამოსვლები იგეგმება და იმართება, ვისაც ფული აქვს, ისიც იმდენი, ფონოგრამულ კონცერტს რომ ეყოს... ამ დროს იმპრესარიოები ევროპაში სულაც არ სხედან გულხელდაკრეფილები და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ეძებენ და პოულობენ კიდეც მათთვის შესაფერის, ღირსეულ პარტნიორებს.

ალბათ, ბევრს ახსოვს ანსამბლი "სიმი". თავიდან "ტრიოს" სახით არსებობდა. მას შემდეგ კი, რაც "ანსამბლმა" გზა გაიკვლია ევროპაში, ჩვენთან კონცერტები აღარ გაუმართავს. სამაგიეროდ, დატვირთული საკონცერტო გრაფიკი აქვს საფრანგეთში; და მეტიც - ეს გრაფიკი 2005 და 2006 წლის ნახევრამდეა შედგენილი.

ყველაფერი ცხრა წლის წინათ დაიწყო, როდესაც საფრანგეთში საქართველოს მაშინდელმა ელჩმა გოჩა ჩოგოვაძემ ანსამბლი "სიმი" საფრანგეთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიიწვია. კონცერტს ესწრებოდა სორბონის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. მათ ქართველი მომღერლები უნივერსიტეტის იუბილეზე მიიპატიჟეს. "ორნაწილიანი კონცერტის ნახევარი ჩვენ დაგვითმეს, მეორე - პარიზის სიმფონიურ ორკესტრს. მაშინ შეგვეშინდა ასეთი "დაპირისპირების", - იხსენებს ანსამბლის ერთ-ერთი წევრი რეზო გელაშვილი. სწორედ ეს კონცერტი იქცა "ანსამბლის" ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად. ქართული "სიმით" დაინტერესდნენ გამოცდილი იმპრესარიოები, მათ შორის ოცწლიანი გამოცდილების მქონე სააგენტო NS Organization-ის ხელმძღვანელი სერჟ პულენიც.

NS Organization-ს საფრანგეთში ორი ოფისი აქვს: პარიზსა და საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ლილში. სააგენტო საფრანგეთის მასშტაბით მართავს საშობაო კონცერტებს, პარალელურად თანამშრომლობს სხვადასხვა მუსიკალური ჟანრისა და ქვეყნის წარმომადგენლებთან. NS Organization-თან შემოქმედებითი კავშირი აქვს საფრანგეთში პოპულარულ, ლეგენდარული "ძმები ბლუზების" ფრანგულ ანალოგთან, რომელსაც ასევე ჰქვია - "ძმები ბლუზები"; სააგენტო თანამშრომლობს ასევე საფრანგეთში მოღვაწე ელისო ვირსალაძესთან, გერმანიაში ჯაზ-პიანისტ ლეონიდ ჩიჟიკსა და ცნობილ ფრანგ კლასიკურ შემსრულებელთან მიშელ სონისთან.

ქართული ანსამბლის მეგობრობა ფრანგ იმპრესარიოსთან კონტრაქტის გაფორმებამდე ექვს წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა ურთიერთობა, რასაც თავად იმპრესარიო ამგვარად ხსნის: "სხვა ქართულ ანსამბლებსაც მოვუსმინე, მაგრამ ერთგულება და მეგობრობა, რაც "სიმს" ახასიათებს, გადამწყვეტი აღმოჩნდა არჩევანისას. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ჩვენი თანამშრომლობა - მათი პროფესიონალიზმისა და ერთგულების გამო, კომერციულადაც წარმატებული იქნებოდა". ვიდრე პულენი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, "სიმი" საფრანგეთში გამართულ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობდა; სერჟ პულენიც ჩამოდიოდა საქართველოში, რომელთანაც კიდევ ერთი ანსამბლი "მერანი" აკავშირებდა. ევროპაში გასვლას ანსამბლ "სიმის" რეპერტუარის ფოლკლორული ნამუშევრებით გამდიდრება მოჰყვა (მანამდე "სიმი" ძირითადად ქალაქურ სიმღერებს ასრულებდა); გაიზარდა ანსამბლის შემადგენლობაც - ტრიოდ ჩამოყალიბებულ "სიმს" დღეისათვის რვა წევრი ჰყავს; ანსამბლს დღემდე გამოშვებული აქვს ორი ალბომი - 1995 და 2003 წლებში. მუსიკოსები მესამე ჩანაწერის გამოშვებას შემოდგომისთვის ვარაუდობენ, თუმცა ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, გამოჩნდება თუ არა დამფინანსებელი.

მას შემდეგ, რაც "სიმმა" ფრანგ იმპრესარიოსთან გააფორმა კონტრაქტი, ქართველი მომღერლები საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში წელიწადში ორ საკონცერტო ტურნეს მართავენ - 15-15 გამოსვლით. როგორც ანსამბლის წევრები ამბობენ, წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მსმენელის ინტერესი ქართული ფოლკლორის მიმართ, რასაც დიდი სამსახური გაუწია ანსამბლმა "ერისიონმა". ასეთი შედეგის ფონზე, "სიმსა" და პულენს შორის გაფორმებული კონტრაქტი გაგრძელდა. ამჟამად დაგეგმილია 2005 წლის ზაფხულისა და შემოდგომის (ანსამბლ "მერანთან" ერთად), ასევე 2006 წლის საგაზაფხულო საკონცერტო ტურნეები (საგალობლებისა და ლირიკული სიმღერების რეპერტუარით). თუმცა, სერჟ პულენის თბილისში სტუმრობისას კიდევ რამდენიმე საინტერესო პერსპექტივა გამოჩნდა. ამჟამად "სიმი" "შეფარებულია" მარჯანიშვილის თეატრში, სადაც, როგორც ცნობილია, თბილისის ბიგ-ბენდი მუშაობს. ამ ორი კოლექტივის ერთ ჭერქვეშ არსებობამ საინტერესო და სასარგებლო იდეა მოამწიფა. "1989 წელს, ქართული ფოლკლორისა და ჯაზის შერწყმა ჯიმი სმიტის სტუმრობისას მოხდა; შემდეგ ასეთივე მცდელობა ჰქონდა ჯო ზავინულის. ახლა გვინდა, ორმა ქართულმა კოლექტივმა გაიკეთოს იგივე", - ამბობს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი გაიოზ კანდელაკი, რომელიც სწორედ ამ და სხვა საინტერესო (ეს იდეები ჯერ ახლად ჩასახულია, ამიტომ ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია) თემებზე სასაუბროდ შეხვდა თბილისში სერჟ პულენს. გეგმები კიდევ ბევრია. პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, "სიმმა" საფრანგეთსა და საქართველოშიც გამართოს კონცერტები, საიდანაც შემოსული თანხა საქართველოში მიუსაფარ ბავშვებს მოხმარდება. ასევე, ჩაფიქრებულია ერთობლივი გამოსვლა პაატა ბურჭულაძესთან ერთად. რაც შეეხება "სიმისა" და თბილისის ბიგ-ბენდის თანამშრომლობას, ამის შედეგი, შესაძლოა, თბილისის მორიგ საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე ვიხილოთ და მოვისმინოთ.

შვარცნეგერის წელიწადი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

სულ რაღაც ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტერმინატორი კალიფორნიის გუბერნატორი გახდა. რა მოუტანა ამ ერთმა წელიწადმა არნოლდ შვარცნეგერს? უდავოა, რომ იგი ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკური ფიგურა გახდა, რესპუბლიკური პარტიის ვარსკვლავი. ეს მთელი სიცხადით გამოჩნდა რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე, რომელზეც ბუში პრეზიდენტობის კანდიდატად აირჩიეს. ყრილობაზე გამომსვლელთა შორის შვარცნეგერი ნამდვილად მთავარი ჰიტი გახლდათ. მისი სიტყვა ხშირად წყდებოდა აპლოდისმენტებით, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, ვიდრე თავად პრეზიდენტ ბუშის გამოსვლა. მაგრამ რა იყო ასეთი საინტერესო მის სიტყვაში? რა და, ეს არ იყო პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერი ლობისტის სიტყვა, ეს უფრო პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის სიტყვას ჰგავდა, ანუ შვარცნეგერი ლობირებდა არა იმდენად ბუშს, რამდენადაც საკუთარ თავს.

მაინც რა იყო შვარცნეგერის გამოსვლის დედააზრი? მის სიტყვას წითელ ხაზად გასდევდა აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანისთვის ყველა გზა ხსნილია, ყველაზე მაღალ მწვერვალამდე - თეთრ სახლამდე მიმავალიც კი. მაგალითად კი საკუთარი თავი მოჰყავდა - "უბრალო ბიჭი ავსტრიის სოფლიდან", რომელიც სუპერკინოვარსკვლავი, მერე კი კალიფორნიის შტატის გუბერნატორი გახდა. თავად ეს თემა არც ისე შეეფერებოდა ყრილობის ატმოსფეროს, რადგანაც პრეზიდენტი ბუში სულაც არ გახლავთ "უბრალო ბიჭი ამერიკული სოფლიდან", ის ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური და ფინანსური დინასტიის წარმომადგენელი გახლავთ. ასე რომ, შვარცნეგერი უფრო საკუთარ კარიერაზე აკეთებდა აქცენტს, ვიდრე პრეზიდენტისაზე.

წინასაარჩევნო ბრძოლის მიმდინარეობისასაც შვარცნეგერს განსაკუთრებული პოზიცია ეკავა. ის არ დაჰყვებოდა პრეზიდენტ ბუშს მთელს ამერიკაში მოგზაურობისას, მხოლოდ კალიფორნიით და განსაკუთრებულ მოვლენებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა. ის ბუშის მძიმე არტილერიის როლს ასრულებდა და მხოლოდ მაშინ გამოჰყავდათ, როცა დემოკრატი კერი თავისი მძიმე არტილერიის - ქლინტონის დახმარებას მიმართავდა. შვარცნეგერის შეზღუდული მისია წინასაარჩევნო კამპანიაში პოლიტიკოსთა მხრიდან ორგვარ ახსნას ჰპოვებდა. ერთნი ამბობდნენ, რომ შვარცნეგერის მუდმივი თანხლების წინააღმდეგი თავად ჯორჯ ბუში იყო, რომ ყოფილ ტერმინატორს იგი არ დაეჩრდილა. მეორენი კი მიიჩნევდნენ, რომ ეს თავად შვარცნეგერის სურვილი იყო, რომელსაც მაინცდამაინც არ სურდა ბუშის გვერდით ხშირი გაელვება და ცდილობდა უფრო მეტად დამოუკიდებელი პოზიცია დაეკავებინა. მაგრამ ამ ინტერპრეტაციებს, რომლებიც გარეგნულად სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგოა, საერთო საფუძველი აქვთ - რესპუბლიკურ პარტიაში შვარცნეგერის განსაკუთრებული ადგილი.

როდესაც შვარცნეგერი დაჟინებით იმეორებს, რომ "ავსტრიული სოფლიდან გამოსული უბრალო ბიჭის" წინაშე ყველა გზა ხსნილია და სახელისუფლებო მწვერვალზე მის აღმასვლას საზღვარი არ აქვს, ის, ცხადია, გულისხმობს, რომ სრულიად არ გამორიცხავს პრეზიდენტის ტიტულსაც. შვარცნეგერსა და თეთრ სახლს შორის ახლა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია დგას. კონსტიტუციის თანახმად, შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც დაბადებულია ამ ქვეყანაში. აი, შვარცნეგერი კი ავსტრიაში დაიბადა. თავად იგი ამ ფაქტს სულაც არ მიიჩნევს სერიოზულ დაბრკოლებად და ამისთვის საკმაო საფუძველიც გააჩნია. საქმე ის გახლავთ, რომ შეერთებული შტატების კონგრესში სულ უფრო მწიფდება აზრი, რომ საჭიროა კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც საშუალებას მისცემს სხვა ქვეყანაში დაბადებულ შეერთებული შტატების მოქალაქეს დაიკავოს უმაღლესი აღმასრულებელი პოსტი. შესაბამისი კანონპროექტი უკვე შეტანილიც კია სენატში. მისი ავტორი სენატორი ორინ ჰეტჩი გახლავთ. არავისთვის გახლავთ საიდუმლო, რომ ჰეტჩის კანონპროექტი შვარცნეგერის განიერ მხრებზეა "აჭრილი". რასაკვირველია, ჰეტჩის კანონპროექტი ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების დინამიკა მეტყველებს იმაზე, რომ ამ კანონპროექტს დიდი შანსები აქვს.

მკითხველი იტყვის - ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ როგორ გამოიჩინა არნოლდ შვარცნეგერმა თავი კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე? კალიფორნია განსაკუთრებული შტატია. რომ წარმოიდგინოთ, რომ კალიფორნია ცალკე ქვეყანაა, ის თავისი ეკონომიკური მონაცემებით მსოფლიოს მეხუთე სახელმწიფო იქნებოდა და მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს, იაპონიას, ჩინეთსა და გერმანიას თუ ჩამოუვარდებოდა. მეტიც, კალიფორნიას ამერკის მომავალსაც უწოდებენ იმ თვალსაზრისით, რომ ეს შტატი ერთგვარი ექსპერიმენტების ლაბორატორიაა მთელი ქვეყნისთვის. ზოგიერთები კი მიიჩნევენ, რომ კალიფორნია წინ უსწრებს ქვეყანას სულ ცოტა ნახევარი საუკუნით. და აი, სწორედ ასეთი შტატის გუბერნატორი გახდა არნოლდ შვარცნეგერი.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში შვარცნეგერი გაიმარჯვებდა. სამაგიეროდ, ბევრი ეჭვობდა, რომ ყოფილი ბოდიბილდერი, ანუ კულტურისტი და ძალზედ სპეციფიკური კინომსახიობი შეძლებდა ერთი ხელის მოსმით პოლიტიკოსად და სახელმწიფო მოღვაწედ, ამერიკის ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული შტატის მმართველად ჩამოყალიბებას. მაგრამ შვარცნეგერმა, შეიძლება ითქვას, პირველი ნაბიჯებითვე დაამტკიცა, რომ გუბერნატორობის ტვირთი მისთვის მძიმე სულაც არ არის. ეს კი არც ისე ადვილი გახლდათ - მან ხომ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. დეფიციტური ბიუჯეტი საკმაოდ მძიმედ აწვა შტატის ეკონომიკას. შტატის მოსახლეობა კი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ არაკანონიერ ლტოვილთა დიდი ნაკადი შტატის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებს დესტაბილიზაციას უქადდა.

შვარცნეგერის გაქანება უკვე გუნდის შერჩევისას გამოვლინდა. საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კი შეგვიძლია მოვიყვანოთ. თავის ეკონომიკურ მრჩეველად მან მულტიმილიარდერი, ბილ გეიტსის შემდეგ ამერიკის ყველაზე მდიდარი ადამიანი ბეფეტი დანიშნა. ფორმულა, რომელსაც გუბერნატორი შვარცნეგერი მისდევს, ასე გამოიყურება: ფისკალური კონსერვატიზმი და სოციალური დემოკრატია. რას ნიშნავს ეს ფორმულა? ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით, შვარცნეგერი რესპუბლიკელების კლასიკური პოლიტიკის გამტარებელია. ის მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევს სამეწარმეო საქმიანობას, რომელშიც შტატის ხელისუფლების ჩარევა მინიმუმამდე დაჰყავს. ფინანსების სფეროში შვარცნეგერი მემკვიდრეობით მიღებული დეფიციტის შემცირებას ცდილობს და ამას ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროების გარკვეული შევიწროებით ახერხებს. მაგრამ ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიც აბორტების თავისუფლება, ერთსქესიანი ქორწინებები ან ადამიანის ემბრიონის ექსპერიმენტებისთვის გამოყენებაა, შვარცნეგერი ლიბერალურად არის განწყობილი. ტყუილად კი არ ეჭვობს რესპუბლიკელების კონსერვატული ფრთა, რომ ის ფარული დემოკრატია, მით უმეტეს, რომ მისი მეუღლე, შტატის პირველი ქალბატონი პრეზიდენტ კენედის ძმისშვილი. შვარცნეგერი კონსერვატორია საემიგრაციო პოლიტიკაშიც. ის ცდილობს, გაამკაცროს ის წესები, რომელთა მიხედვითაც უკანონო ემიგრანტები კანონიერები ხდებიან, კანონიერები კი შეერთებულ შტატებში მუდმივად ცხოვრების უფლებას და მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას იღებენ. მაგრამ ამის პარალელურად, შვარცნეგერი ცდილობს, გააუმჯობესოს იმ ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლების მდგომარეობა, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ კალიფორნიაში. ასე რომ, ფისკალური კონსერვატორი და სოციალური ლიბერალი შვარცნეგერი მხარდაჭერას იპოვებს, როგორც რესპუბლიკელ ისე დემოკრატ კალიფორნიელებს შორის. ეს მდგომარეობა კი კარგად ჩანს შვარცნეგერისა და შტატის კონგრესის ურთიერთობიდანაც. რესპუბლიკელი გუბერნატორი ადვილად პოულობს საერთო ენას დემოკრატების კონგრესთან, რაც, რასაკვირველია, დადებითად აისახება კალიფორნიაზე. ზოგიერთი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ შვარცნეგერის ასეთი პოლიტიკა, კიდევ უფრო რეალურს ხდის პერსპექტივას, რომ ის შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად მოგვევლინოს. პრეზიდენტად, რომელსაც შეეძლება ხალხს უთხრას, რომ გახლეჩილი ქვეყანა გააერთიანა და, რომ ერთი რომელიმე პარტიის კი არა, საერთო სახალხო პრეზიდენტია. ასე რომ, კალიფორნიის გუბერნატორის რანგში შვარცნეგერის მოღვაწეობას ბევრი განიხილავს, როგორც მომავალზე გათვლილ "ლაბორატორიულ ექსპერიმენტს".

ამჟამად შვარცნეგერის მდგომარეობას ხუმრობით ასე ხატავენ: "შვარცნეგერისთვის უფრო ადვილია გახდეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ვიდრე ჰოლივუდისთვის - იპოვოს ახალი ტერმინატორი". თუმცა, ამ ხუმრობაში სიმართლეც ბევრია.

ლაშა ბუღაძის სვეტი

ქეთევან იგნატოვას გვერდისმაგვარი - „გულახდილად"

ნუ, აი, რა ვიცი...

გუშინ ჩემი ბავშვობის მეგობრის შვილთაშვილის ქორწილში ვიყავი.

რაღაც ულამაზესები, უსიმპათიურესები და უდახვეწილესები იყვნენ...

და მიუხედავად იმისა, რომ სიძე თერთმეტი წლისაა, ხოლო პატარძალი ცხრა წლის, ქორწილი მაინც, რო იტყვიან, დიდური გამოვიდა.

ერთადერთი, რამაც ძალიან აღმაშფოთა, ეს თბილისის მერის, ზურაბ ჭიაბერაშვილის მოსვლა იყო.

ხალხო, გამაგებინეთ, რატომ უნდა ჰყავდეს თბილისს ისეთი მერი, რომელსაც ასეთი მეჩხერი კბილები აქვს?!

ხო გინახავთ, როგორც იცინის ხოლმე?.. ნუ, საშინელებაა რაღაც!

თან ცოტა გოიმიცაა!

კიდევ კარგი, ქორწილში ჩემი მეორე ბავშვობის მეგობარი, ნიკუშა შენგელაიაც იყო - ჩემი თაობის ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი ადამიანი - თორემ, ბავშვებს ეს ბედნიერი დღე ნამდვილად ჩაეშლებოდათ!

ყოფილიყო თბილისის მერი ნიკუშა!

ვინაა, ხალხო, ეს ჭიაბერაშვილი, გამაგებინეთ?!

ქორწილი მართლაც ჩაიშლებოდა, ჩემი რიგით ასმეთვრამეტე ბავშვობის მეგობარი, დათო გომართელი რომ არ მოსულიყო და ბავშვები რომ არ გაერთო...

დათომ, რაც არ უნდა ცუდად იმღეროს, მაინც მეყვარება... ისე კი, გულწრფელად რო ვთქვა, მართლა რაღაც საშინლად მღერის... ან რა ხმა აქვს, ან რა აცვია, ან რას ჰგავს საერთოდ!

ჭიაბერაშვილი კი ააცეკვა, მაგრამ ამას ცეკვა არ ერქვა - ისე იწლანბოდა, ისე იწლაწებოდა, რო აი, სირცხვილისაგან სად წავსულიყავი, არ ვიცოდი.

თან, შიგადაშიგ, ამას ყვიროდა ხოლმე: "ეს საათი პრეზიდენტმა მაჩუქაააა!" - გოიმი რა, მართლა...

კიდევ კარგი, მერე ნიკუშამაც იცეკვა, შენგელაიამ, თორემ ქორწილი უკვე მართლა ჩაშლის პირას იყო...

რატომღაც ყველას შავები ეცვა. ამან, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანა.

ხო შეიძლება, ხალხო, რო გვეცვას სადა, მაგრამ არა შავი ტანსაცმელი?!

ისე, სხვას რას ვერჩი, იქ თაკო ჩარკვიანი მოვიდა გამოწყობილი?! - მე ასეთი არაფერი მინახავს... ნუ, უქაჯესი რაღაც!

თავზე, მამამისს რომ ქუდი ახურავს ხოლმე, ის ეხურა; ეცვა კაბად გადაკეთებული ჩოხა და ლოყებზე ბორჯღალო ეხატა...

გოგო, ვინ გასწავლა ასე ჩაცმა? ერთი ნორმალური მრჩეველი მაინც როგორ ვერ მოძებნე შენს დაქალებში?

გაოგნებული უყურებდა ნიკუშა, ესო ვინააო.

მერე მომადგა ეს ქაჯების მეფე - ჭიაბერაშვილი, უნდა გეცეკვოთო.

ამას უყურეთ-მეთქი რა, რეებს ბედავს!

იმდენი მეხვეწა, იმდენი მეხვეწა, ბოლოს შემეცოდა და დავთანხმდი, ამ დროს სამი თავით მაღალი ვარ მასზე...

ამასობაში, გომართელს გული შეუწუხდა, წნევა დაუვარდა... ისე, არცაა გასაკვირი, რასაც ეგ შრომობს!

ძაან უჭერს ტყავის შარვალიც - ისე აქვს შემოტკეცილი, რო სუნთქვა უჭირს... ჰგონია, რო უხდება...

ძლივს მოვიშორე ჭიაბერაშვილი, მერე ბავშვებსაც - სიძე-პატარძალს - ძილი მოერიათ და როცა ყველა გავისტუმრეთ, მართლა მაგრა მოვილხინეთ.

შემდეგ ნომერში, ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობრების ფოტო უნდა დავბეჭდო - უკლებლივ ყველასი...

ბოლო-ბოლო, იცოდეს ხალხმა!

რო ნიშნავთ ყველგან ამ ქაჯებს, გახსოვდეთ, რომ ამ ქალაქში, ღვთის მადლით, ბევრი დახვეწილი, გემოვნებიანი და ტაქტიანი ადამიანი ცხოვრობს!

და მათგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ცხადია, ნიკუშაა შენგელაია!

ათეული

კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით

წიგნი	ავტორი	გამომცემლობა	რეიტინგი
ლაშა ბუღაძე	"ბოლო ზარი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	6.8
ამერი	"სამი გოჭი"	"გია ქარჩხაძის გამომცემლობა"	2.4
დავით დეფი გოგიბედაშვილი	"ჩემმა ტყუპისცალმა მიპოვის"	"სიესტა"	2.4
პაულო კოელიო	"ალქიმიკოსი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.4
აკა მორჩილაძე	"მოგზაურობა ყარაბაღში"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	2.4
ჯონათან სვიფტის მიხედვით	"გულივერის მოგზაურობა"	"ლიტერა"	2.4
მზია სურგულაძე	"საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის"	"ლიტერა"	2.4
პლუტარქეს მიხედვით	"ალექსანდრე მაკედონელი"	"ლიტერა"	2
ჯოან როულინგი	"პარი პოტერი და აზკაბანის ტყვე"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.6
პაულო კოელიო	"იერუსალიმი წუთი"	"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"	1.6

ყვავილი

ნინო ტიკარაძე

თანამედროვე ქორწილი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში

როგორც ჩანს, მადრიდის "რეალის" ბრაზილიელ ლეგიონერს რონალდოს თავისუფალი ცხოვრება მაინცდამაინც არ იზიდავს. ერთი ოჯახის დანგრევა ვერ მოასწრო, რომ მეორეზე დაიწყო ფიქრი. თუმცა, უღელში შებმის გადაწყვეტილების მისაღებად დიდხანს არ უფიქრია. მან პარიზში შანტიის ციხესიმაგრეში ბრაზილიელ მოდელზე დანიელა ჩიკარელიზე დაიწერა ჯვარი. დამეთანხმებით, ამ დღის აღსანიშნავად ჩვენმა "რომეომ" ფრიად ორიგინალურ ადგილზე შეაჩერა არჩევანი - შუა საუკუნეების ციხესიმაგრე, სადაც არც ცეკვა-სიმღერა შეიძლება და არც მოწევა. მხოლოდ მოკრძალებული მოლხენა (თუ შეიძლება ამას მოლხენა ეწოდოს).

სხვათა შორის, ციხესიმაგრის რედაქციაში საგულდაგულოდაა გასაიდუმლოებული თანხა, რომელიც რონალდომ მის დასაქირავებლად გადაიხადა. თუმცა, შანტიის საიტზე მოცემულია ტარიფები, რომლის თანახმადაც ერთი საღამო 20 ათასი ევრო ღირს. თუ პარკის იჯარით აღება გინდათ, მაშინ კიდევ 27,5 ათასის გადახდა მოგიწევთ. ამაში არ შედის პერსონალის მომსახურების, ასევე საჭმელ-სასმელის გადასახადი.

ახლა ისევ ქორწილს დავუბრუნდეთ. გასაკვირი არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ციხესიმაგრეს ბრაზილიის დროშით ხელდამშვენებული უამრავი გულშემატკივარი მიაწყდა. მოკლედ, ისეთი ამბავი იყო, ნეფეპატარძალი იძულებული გახდა, დარბაზში უკანა კარით შეპარულიყო.

250 სტუმარს შორის რონალდოს რეალელ თანაგუნდელებს დევიდ ბექჰემს, ზინედინ ზიდანსა და რაულსაც ელოდნენ, მაგრამ ცუნამით დაზარალებულთა დასახმარებლად ბარსელონაში გამართული საქველმოქმედო მატჩის გამო მათ შორიდან მოუხდათ მეგობრის სიხარულის გაზიარება.

ვერ ვიტყვი, რომ ქორწილმა კარგად ჩაიარა. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით დაუდგენელ მიზეზთა გამო ფეხბურთელმა ფეხის თითის ტრავმა მიიღო, თან, როგორც ჩანს, სერიოზული, რადგან ამბობენ, ტრავმის გამო ფეხბურთელი გუნდს "ატლეტიკოსთან" მატჩში ვერ დაეხმარებაო (შეხვედრა დღეს გაიმართება).

"რეალის" ექიმი აცხადებს, რომ "დაზარალებული" ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს.

ჩვენც ლოდინის მეტი რაღა დაგვრჩენია?

რომანტიკოსები ფეხბურთელებს შორისაც უნდა ვეძებოთ

ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ფორვარდის უეინ რუნის ცხოვრება განსაკუთრებული გამჭვირვალობით გამოირჩევა. ჟურნალისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ თვით უმნიშვნელო დეტალებიც კი არ დარჩეთ შეუმჩნეველი და, რაც მთავარია, დროულად მიაწოდონ მკითხველს.

ჰოდა, ერთი წყვილი წინდაც კი ვერ უყიდიათ რუნისა და მის რჩეულს კოლინ მაკლაფლინს ისე, რომ მეორე დღეს, ჟურნალისტთა დიდი მეცადინეობით, ჟურნალ-გაზეთები "მნიშვნელოვანი მოვლენის" ამსახველი ფოტოებით არ აჭრელდეს.

როგორც ჩანს, ჩვენი გმირი ასეთ კირკიტსაც შეეჩვია და მაინცდამაინც აღარ აპროტესტებს.

ასეც უნდა იყოს. იტალიელ ფეხბურთელს კრისტიან ვიერის ყოველი მეორე გამოცემა "დონ ჟუანს" უწოდებს. ფორვარდი კი ამ ფაქტს ძალიანაც შეეგუა.

რა შუაში იყო ვიერი? რუნიზე, მის ცხოვრებაზე გიყვებოდით.

და მაინც, რჩება ისეთი ამბებიც, რომელმაც საზოგადოება შეიძლება გააკვირვოს. ასე, მაგალითად, აღმოჩენად იქცა ინგლისელი ფეხბურთელის რომანტიკული ბუნება. "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "მანჩეტსერ სიტის" თამაშის დამთავრებისთანავე (შეხვედრა, რომელშიც რუნის გუნდმა სძლია მოწინააღმდეგეს (2:0), 13 თებერვალს გაიმართა) უეინმა ხელი ჩაჰკიდა კოლინს და ლონდონის მიმართულებით რომანტიკული გასეირნება მოუწყო. 300-კილომეტრიანი მოგზაურობა რუნის 15 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

ვნახოთ, რით გაგვაკვირვებს ჩვენი დაკვირვების ობიექტი ახლო მომავალში.

სტრიპტიზი ფეხბურთელის შესრულებით

ცნობილი ფაქტია: ბურთის გატანა იმდენად ემოციურს ხდის თავად ფეხბურთელს (გულშემატკივრებზე აღარაფერს ვამბობ), რომ იმ მომენტში საკუთარ ქმედებას ნაკლებად აკონტროლებს. ამიტომაც გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოწინააღმდეგის კარის აღებით გამოწვეულ სიხარულს ყველა (კარის ამღებ ფეხბურთელზე მაქვს საუბარი) სხვადასხვანაირად, თან ცოტა უცნაურადაც რომ აღნიშნავს. ზოგი ტრიბუნებზე არბის და ცეკვას იწყებს, ზოგიც სალტოს აკეთებს. აი, იტალიაში კი ამ დროს იხდიან. რას? ფულს არა, ტანსაცმელს. სად? პირდაპირ მოედანზე.

12 თებერვალს იტალიის ჩემპიონატზე "ლაციოსა" და "ატალანტას" მატჩის დროს მეტად საინტერესო და სასაცილო ამბავი მოხდა. მატჩი ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, თუმცა, მატჩი "ლაციომ" მოიგო. რა თქმა უნდა, გამარჯვება ყველას გაუხარდა. თუმცა, გახარებაც არის და გახარებაც. "ლაციოს" ფეხბურთელი ლივერანი ამ მხრივ ყველაზე ორიგინალური აღმოჩნდა. გულშემატკივრების თვალწინ სტრიპტიზის ჩატარება არ დაიწყო? თან, უკვე გახდილ ტანსაცმელს პირდაპირ ტრიბუნებზე ისროდა. ფეხბურთელმა სანახაობა მაშინ შეწყვიტა, როცა ქვედა საცვლის ამარა დარჩა. ბევრს ეხვეწნენ, ბოლო აკორდზეც არ ეთქვა უარი, მაგრამ გულშემატკივრების თხოვნას ყური არ ათხოვა, მოედანი დინჯად დატოვა და ნელი ნაბიჯით გაეშურა გასახდელისკენ.

მოდი და ამის შემდეგ ამტკიცე, ფეხბურთელები ექსტრავაგანტურები არ არიანო. იტალია ხომ ლიდერია ამ მხრივ. ამიტომაცაა, მატჩების დროს ტრიბუნებზე მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სიმრავლე რომ შეინიშნება.

კარგი იქნება, ლივერანის მაგალითს სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებმაც მიბაძონ. აბა, მაშინ ნახეთ კონკურენცია.

ღვინო დალია, მაგრამ არ შეერგო

ოთხშაბათს ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "ლივერპულის" მცველის ჯიმი კარაგერის მამა დააპატიმრეს. "The Daily Post"-ის ცნობით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გერი კარაგერი ტრიბუნებზე საკუთარ ადგილს დაეძებდა ბირმინგემის "ვილა პარკის" სტადიონზე, სადაც ინგლისისა და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი მიმდინარეობდა. მამას შვილის თამაშზე დასწრება უნდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცოტა მეტი დალია, ამიტომ დიდი ხმაურით ცდილობდა მაყურებლებში გზით გაკვლევას, თუმცა, დანიშნულების ადგილამდე მისვლა ვერ მოასწო - პოლიციის განყოფილებისკენ გააქანეს. მალე გამოუშვეს, მაგრამ სასტიკად კი დასაჯეს. ადამიანს, რომელსაც შვილი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი ჰყავს, ექვსი წლით აუკრძალეს ფეხბურთის მატჩებზე დასწრება.

ასე რომ, ჯიმი კარაგერს 2011 წლამდე მამის გულშემატკივრობის გარეშე მოუწევს თამაში. მაშინ ფეხბურთელი 33 წლის იქნება.

ბოლოს და ბოლოს, მოისვენა

ოდესღაც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მარტინა ჰინგისმა, რომელმაც ტრავის გამო ჩოგბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, შვება ფეხბურთელთან დაახლოებით იპოვა. ფეხბურთელი კი, რომელზე გათხოვებასაც ჰინგისი ახლო მომავალში გეგმავს, ლონდონის "არსენალის" მცველი სოლ კემპბელი გახლავთ.

რამდენიმე ხნის წინათ ჩოგბურთელმა კორტებზე დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ პირველივე მატჩის დროს კრახი განიცადა. აი, მაშინ კი საკუთარი თავი დაარწმუნა, კორტებისკენ აღარ გაეხედა.

ახლა ჰინგისი, როგორც თავად ამბობს, დასვენებაში "კაიფს იჭერს" და თავს იმდენად კარგად გრძნობს, რომ დიდ სპორტში დაბრუნების არანაირი სურვილი არა აქვს. სრული ბედნიერებისთვის გვერდით საყვარელი მამაკაციც ჰყავს. თუმცა, აქ ერთი პრობლემაა. კემპბელის გადატვირთული გრაფიკის გამო წყვილი ერთმანეთს მაინცდამაინც ხშირად ვერ ნახულობს.

ფეხბურთი

უხვგოლიანი ტური

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამომ" განახლებულ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ზამთრის არდადეგები დასრულდა და საქართველოშიც განახლდა ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატი. თუმცა, გუშინდელი მატჩებიდან და მათი შედეგებიდან გამომდინარე, სიტყვა "განახლდა" ცოტათი ხმამაღლაა ნათქვამი. ტურში მხოლოდ ორი გოლი გავიდა. არდადეგებმა, სატრანსფერო ციებცხელებამ, უამინდობამ, სეზონის დასაწყისისათვის დამახასიათებელმა არასათანადო სპორტულმა ფორმამ და სხვა სუბიექტურმა თუ ობიექტუმრა მიზეზებმა თავისი დაღი დაასვა როგორც თამაშების ხარისხს, ისე შედეგიანობას.

ტური კი იმით გამოირჩა, რომ ორხელისუფლებიანობა მოიშალა და თბილისის "დინამო" სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში. "დინამომ" აუტსაიდერ ბოლნისის "სიონს" უმასპინძლა და, მართალია, მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში, მაგრამ ამისთვის გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდა. გეგუჩაძის გუნდმა მთელი თამაში შეტევებში გაატარა, მაგრამ მხოლოდ მატჩის მინურულს, კერძოდ, 74-ე წუთზე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა. ეს გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა, ლევან მელქაძემ გააკეთა. გოლამდე და გოლის შემდეგაც, დინამოელებს არაერთხელ შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ ფორტუნამ თავი ზურგი აქცია. ყველაზე დასამახსოვრებელი ორი სტანდარტული სიტუაცია იყო. ორჯერვე საჯარიმო დარტყმა "დინამოში" დაბრუნებულმა გოჩა ჯამარაულმა ითავა და საკმაოდ მაღალ დონეზეც შეასრულა. მისი პირველი დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ხარიხამ მოიგერია, ხოლო მეორედ სტუმართა მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სტადიონის გაზონი საშინელ მდგომარეობაში იყო. საჯარიმოები კი ისე იყო ატალახებული, რომ სტადიონის მომსახურე პერსონალს ორივე კარის წინ ნახერხის დაყრა მოუხდა. ასეთი პირობები შეტევაში თამაშს გვარიანად აფერხებდა და ის, რომ "სიონი" საპატიო ანგარიშით დამარცხდა ჩემპიონატის გამოკვეთილ ფავორიტთან, ატალახებული მოედნის დამსახურებაცაა. "დინამოს" თამაშს ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალს ბრაზილიიდან მოწვეული ფეხბურთელები. 25 წლის "გრემიოს" მეკარე ჯონათან კუნეგატო, "კორინთიანსის" ფეხბურთელები, 20 წლის მცველი რენატო რობეირო ალვეში და 23 წლის თავდამსხმელი რაფაელ სანტოს სილვა უახლოეს დღეებში გააფორმებენ კონტრაქტს ქართულ კლუბთან. მათ თან ახლავთ ფიზმომზადების მწვრთნელი რიკარდო როშა, რომელიც "დინამოში" იმუშავებს.

"დინამოს" მთავარმა კონკურენტმა ქუთაისის "ტორპედომ" თბილისის "ლოკომოტივს" უმასპინძლა. თამაში მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. ქუთაისელებს რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ვერ მოახერხეს, თუმცა, საკუთარი კარიც მშრალად შეინახეს. საბოლოოდ მატჩი მაინც ლოგიკური შედეგით - 0:0 დასრულდა.

ტურის მეორე გოლი გავიდა ზესტაფონში, სადაც ადგილობრივმა "ზესტაფონმა" თბილისის "თბილისი" მიიღო. მართალია, არსებული სატურნირო მდგომარეობა ზესტაფონელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლის თეორიულ შანსსაც არ უტოვებს, მაგრამ გუშინდელმა თამაშმაც ცხადყო, რომ ეს გუნდი ქართული საკლუბო ფეხბურთის აშკარა ლიდერად ყალიბდება. ოთხი დღის წინ "ზესტაფონმა" საქართველოს თასის გათამაშებიდან "დინამო" გამოთიშა, გუშინ კი სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე მყოფი "თბილისიც" დაამარცხა. შეხვედრის ერთადერთი გოლი, რომელიც მასპინძელთა ნახევარმცველის თურმანიძის ანგარიშზეა, მე-3 წუთზე გავიდა.

მე-19 ტური

დინამო (თბ) - სიონი	1:0
ზესტაფონი - თბილისი	1:0
ტორპედო - ლოკომოტივი	0:0
დილა - დინამო (ბთ)	0:0
კოლხეთი - ვიტ ჯორჯია	0:0

დინამო (თბ)	19	13	3	3	41-19	42
ტორპედო	19	11	7	1	32-11	40
თბილისი	19	10	4	5	38-23	34
ვიტ ჯორჯია	19	8	5	6	30-25	29
ლოკომოტივი	19	7	8	4	26-17	29
დინამო (ბთ)	19	6	6	7	22-16	24
ზესტაფონი	19	7	1	11	17-36	22
კოლხეთი	19	5	5	9	17-24	20
სიონი	19	4	2	13	15-42	14
დილა	19	2	3	14	13-38	9

თომას გრავესენი - ცივი ლივერპულიდან თბილ მადრიდში

თომას გრავესენი
დაიბადა 1976 წლის 11 მარტს
სიმაღლე: 183სმ
წონა: 85 კგ
ნახევარმცველი
კლუბები: "ვეილე" (ვეილე, დანია; 1994-98); "ჰამბურგი" (ჰამბურგი, გერმანია; 1998-2001); "ევერტონი" (ლივერპული, ინგლისი; 2001-04); "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი; 2005
დანიის ნაკრებში ჩატარებულ 52 თამაშში გაიტანა 5 გოლი.

ერთი თვეც არაა, რაც დანიელი ნახევარმცველი თომას გრავესენი ინგლისის პრემიერლიგის კლუბ "ევერტონიდან" ესპანეთის ოცდაცხრაგზის ჩემპიონ მადრიდის "რეალში" გადაბარგდა.

სკანდინავიელმა, რომელმაც გასული წლის შემოდგომით ეროვნული ნაკრების ღირსება თბილისშიც დაიცვა, პირველი მადრიდული გოლის გატანაც მოასწრო, თუმცა, მთავარი ისაა, რომ ესპანელი ჟურნალისტები თავისი უშუალობით და თბილი ხასიათით მოხიბლა. პირენეელები, გრავესენის ფიზიკური აღნაგობის შემხედვარე, მასში ჯალათს უფრო ხედავდნენ...

ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, პოპულარულ ესპანურ გაზეთ "ას"-ში გამოქვეყნდა.

- გამარჯობა!

- გამარჯობა. როგორ ბრძანდებით *(თომასი გამართული ესპანურით გვპასუხობს)*

- გმადლობთ, კარგად. თომას, როდის ჩავწერთ ინტერვიუს თავიდან ბოლომდე ესპანურად?

- აბა, რა გითხრათ, მგონი, ერთ თვეში მზად ვიქნები.

- რამდენი ენა იცი?

- დანიური, გერმანული და ინგლისური. დედაჩემის გამო ვისწავლე - სავაჭრო კომპანიაში მუშაობს და ჩვენც გვთხოვდა ამ ენების დაუფლებას. სხვათა შორის, მირჩია, ესპანური გაზეთები ყოველდღე მეყიდა, ენის ათვისებაში დაგეხმარებაო...

- ესპანეთში პირველად ხარ?

- დიახ. 16 წლიდან ხეირიანად არ დამისვენია - საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ დანიის სხვადასხვა ნაკრებში მეძახდნენ და... თუმცა, ერთხელ ვალენსიაში ვიყავი, მაგრამ გავლით. არასდროს დამავიწყდება ესპანური მზე!

- სიმართლე გითხრა, "რეალში" შენი გადმოსვლის შემდეგ მადრიდში ცოტა აცივდა. სიცივე თან ხომ არ ჩამოიტანე?

- რას ამბობთ, ეს რა სიცივეა?! თქვენ დანია და ლივერპული უნდა ნახოთ!

- თითქმის თვეა, რაც "რეალის" ფეხბურთელი ხარ. მოდი, პირველი შთაბეჭდილებები გაგვიზიარე.

- ერთი რამ უმალ გავითავისე: მადრიდი საფეხბურთო ქალაქია! მაგრამ, ამას გარდა, აქ შესანიშნავი მუზეუმებია. ვიცი, რომ თქვენ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იბრძვით. იცით, მარტში კორიდაზე ვაპირებ წასვლას, გულით მინდა, ხარისა და ადამიანის ორთაბრძოლა ვნახო.

- მარტში სან-ისიდროს დღესასწაულია... რაულიც თან წაიყვანე. თუ ვინმეს უყვარს კორიდა, უპირველესად მას.

- ვნახოთ. თუ წამომყვა, კორიდის ნიუანსებში უკეთ გავერკვევი. მისი დარი მეგზური მისწრება იქნება!

- ცოტა უცნაური ხომ არაა, დანიელი ფეხბურთელი ესპანურ კლუბში ბრაზილიელმა მწვრთნელმა რომ მიგიწვია?

- უცნაურია, მაგრამ ცხოვრება ხომ უცნაურობებითაა სავსე. ვერაფერით წარმოვიდგენდი, თუ "რეალში" აღმოვჩნდებოდი. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მარტივად მოხდა - კლუბს სჭირდებოდა ფეხბურთელი, რომელიც მის კონკრეტულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. საბედნიეროდ, მე მისაღები კანდიდატურა აღმოვჩნდი.

- ტრანსფერმა ხომ არ შეგაშინა?

- არა. უბრალოდ, "ევერტონში" ვთამაშობდი და იქ სულ სხვა სამყაროში ვიყავი... "რეალის" მატჩებს მხოლოდ ტელევიზიით ვადევნებდი თვალს. უცნაური სწორედ ესაა - აქ მოხვედრაზე არათუ არ მიოცნებია, არც მიფიქრია.

- ბუნებრივია, "რეალზე" გარკვეული წარმოდგენა გქონდათ. ნანახმა გაგაოცათ თუ ის იხილეთ, რასაც ფიქრობდით?

- ვიცოდი, რაც იყო "რეალი", მაგრამ მაინც გავოცდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდია უძლიერესი ფეხბურთელებით!

- საუკეთესო უძახე და ახალ წლამდე ვარსკვლავებს ვერ ეთამაშებოდნენ...

- ეგ არაფერია. ყველა ძლიერ გუნდს აქვს ჩავარდნა, თუმცა, "რეალის" დარი კლუბების სიდიადე ისაა, რომ მათი კრიზისი რამდენიმე თვეზე დიდხანს არ გრძელდება.

- შენ კლოდ მაკელელეს შემცვლელად მოგიაზრებენ. თუ გითხრეს ამის შესახებ?

- რა თქმა უნდა! მარტო მაკელელეთი არ შემოფარგლულან, გერმანელი ული შტილიკეც გაიხსენეს.

- მერე?

- სიმართლე გითხრათ, ჩვენს შორის უდიდესი სხვაობაა. ისინი სხვა ფორმაციის "რეალში" თამაშობდნენ, მე კი მხოლოდ ახლა მოვედი კლუბში. კლოდ მაკელელე, ორი აზრი არაა, შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ, ჩემი აზრით, ის უფრო ჩამშლელია და, ჩემგან განსხვავებით, ნაკლებად ევალება შეტევის წამოწყება. მე კი მომწონს მეტოქის კარისკენ გალაშქრება, გოლების გატანა. აქ გადმოსვლამდე პრემიერლიგაში ხუთი გოლის გატანა მოვასწარი, თუმცა, აქ ისეთი მგეზელები დამხვდნენ, სჯობს, ეს საქმე მათ მივანდო... რაულს, რონალდოს, ოუენს პირველი და მეორე გოლების გატანას ვაცლი, მე კი, ჯანდაბას, მეოთხე, მეხუთე გოლს გავიტან. ეს საქმეს ნაღდად არ გააფუჭებს.

- რა შეგიძლია თქვა რაულზე?

- მას ყოველთვის ორი ფეხბურთელი დარაჯობს და მისგან ყოველ მატჩში დუბლს ელიან. ათი წელია უმაღლეს დონეზე თამაშობს. ის დიდებული კაპიტანია!

- რისი მოგების შანსი აქვს "რეალს" მიმდინარე სეზონში?

- ორივე ტურნირის, სადაც კი ასპარეზობს - ჩემპიონთა ლიგას და პრემიერადივიზიონს ვგულისხმობ.

- საიდან ასეთი თვითრწმენა?

- ჩემმა ახალმა თანაგუნდელებმა ერთი რამ უმალ ამიხსნეს - რადგან ჩემპიონატში ლიდერს ჩამოვრჩებით და ლიგაშიც ფავორიტად აღარ მივიჩნევით, მხოლოდ კონკრეტული თამაშის მოგებაზე ვფიქრობთ და არა ზოგადად ტურნირზე. ასე კონცენტრაცია გვიადვილდებაო. როგორც ჩანს, მიგნება ამართლებს - ახალი წლის შემდეგ "რეალი" სულ იგებს და იგებს.

- ვინაა თქვენი კერპი?

- მიქაელ ლაუდრუპი და პეტერ შმეიხელი. ჩემი აზრით, ესენი უდიდესი დანიელი ფეხბურთელები არიან!

- ჯონ ლაურიდსენმა, "ესპანიოლისა" და "მალაგას" ყოფილმა დანიელმა ლეგიონერმა მითხრა, გრავესენი "რეალისთვის" ზედგამოჭრილია, ერთმანეთს ავსებენო...

- ჯონი კარგად მახსოვს, ჩინებული ფეხბურთელი იყო, ტექნიკური... რაც შეეხება მის ნათქვამს, ოპტიმისტი ვარ და იმედია, სრულად გავამართლებ იმედებს. პირველ ყოვლისა, მსურს ყველა მიხვდეს, რომ სულაც არ ვარ აგრესიული, გულჩათხრობილი, ბოროტი... რატომღაც ჩემზე ასე ფიქრობენ, არადა, ვინც კარგად მიცნობს, მერწმუნეთ, სხვას გეტყვით. ბავშვობიდან იმას ვცდილობ, მშვიდად ვიცხოვრო და მცირე გაუგებრობაშიც არ მოვხვდე...

- ამბობენ, "რეალს" ხოსე ანტონო რეიესის გადაბირება სურსო. ისიც თქვენსავით პრემიერლიგაში თამაშობს...

- მეც გავიგე ამის შესახებ, თუმცა, მეტი არაფერი ვიცი. რეიესი კარგი მოთამაშეა, ტექნიკური, სწრაფი, მაგრამ დანარჩენი კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. მთავარია გუნდი შეიკრას. თუ ასე არ მოხდა, წარმატებას ვერ მივაღწევთ. საჭიროა თუ არა საამისოდ რეიესი, ვერაფერს გეტყვით.

- ვანდერლეი ლუშემბურგოზე რა აზრის ხართ, სხვა თუ არაფერი, თქვენი ტრანსფერი მისი ინიციატივით განხორციელდა.

- პირდაპირ გეტყვით - აღფრთოვანებული ვარ მისი ხასიათით!

- და ფლორენტინო პერესი?

- მას ძალიან ვაფასებ, სიტყვის კაცია! იცით, რა მომწონს "რეალში"? აქ ყველა ბედნიერია და მიმაჩნია, რომ ეს სინიორ ფლორენტინოს მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. როცა ფეხბურთელი მხოლოდ კარგად თამაშზე ფიქრობს, მერწმუნეთ, გამარჯვებები არ დააგვიანებს.

- რამდენიმე დღის წინ რონალდომ იქორწინა. თქვენც ხომ არ აპირებთ დაოჯახებას?

- არა, რას ამბობთ! მე მეგობარი გოგონაც არ მყავს!

- "რეალის" ფეხბურთელებიდან ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება?

- ყველამ, მაგრამ განსაკუთრებით სანტიაგო სოლარიმ.

- სოლარიმ? რატომ?

- ჩემთვის ის ნამდვილი აღმოჩენაა! ჩინებული ადამიანია!

- უცნაურია, აქამდე ასეთი განსაზღვრება მხოლოდ რომან აბრამოვიჩის შესახებ გავიგე. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მიმდინარე სეზონში "რეალის" უპირველესი მეტოქე არა "ბარსელონა", არამედ აბრამოვიჩის "ჩელსია"?

- რუსი ოლიგარქის ფულს გულისხმობთ?

- დიახ. "ბარსელონა" "რეალს" მხოლოდ ესპანეთში უწევს მეტოქეობას, მსოფლიო არენაზე კი, ალბათ, "რეალი" და "ჩელსი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ასე არაა?

- მგონი, "ჩელსი" "რეალს" კარგა ხანს ვერ შეედრება. ავტორიტეტს დამსახურება უნდა, საამისოდ კი წლებია საჭირო. სახელს ფულით ვერ იყიდი.

მოამზადა
ლაშა გელაშვილმა

ოლიმპიზმი

ოლიმპიური თამაშებისთვის რბოლის გასაღები

სოლტ-ლეიკ-სიტის თამაშების სკანდალის შემდეგ ოლიმპიური რგოლები იწმინდება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელთა ნებისმიერი უარყოფითი გამოხმაურება იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოსურნე პრეტენდენტი ქალაქი ოლიმპიურ დედაქალაქად ყოფნის შესაძლებლობის შანსს ჰკარგავს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შემფასებელთა გამოხმაურება საუკეთესო იქნება, ნიშნავს კი ეს ყოველივე იმას, რომ სხვა პრეტენდენტ ქალაქებს შორის სწორედ ის გაიმარჯვებს?

რამდენიმე კვირის განმავლობაში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებისთვის მებრძოლი ქალაქები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ საკუთარი განაცხადი განიმტკიცონ. ხოლო ივნისში, როდესაც შემფასებელთა მოხსენება გამოქვეყნდება და სურათიც მეტ-ნაკლებად გამოიკვეთება, გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც იტყვიან: კარს მომდგარი კენჭისყრა ჩვეულებრივი ფორმალობაა. ისტორია გვიჩვენებს: ფავორიტები ხშირად არ იმარჯვებენ.

ყველას მიაჩნდა, რომ 1996 წელს თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღდგენის ასწლოვან იუბილეზე, ოლიმპიურ თამაშებს ათენი უმასპინძლებდა, მაგრამ... გამარჯვება ატლანტას დარჩა, ქალაქს, რომელზეც ფსონს ნაკლებად თუ ჩადიოდნენ (მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ატლანტას "კოკა-კოლას" გამო ხვდა ასეთი პატივიო. საქმე ისაა, რომ "კოკა-კოლა" ოლიმპიური მოძრაობის ოფიციალური გამაგრილებელი სასმელი და ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორია, ხოლო მისი შტაბბინა ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაშია.-რედ.).

მართალია, საბერძნეთის დედაქალაქი მაინც გახდა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი, მაგრამ 2004 წელს, მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ ეს პატივი რომს დარჩებოდა. ფაქტობრივად, იგივე სურათი იყო ოთხი წლით ადრეც, როდესაც სპორტსმენებსა და მაღალჩინოსან დამკვირვებელ ლობისტებს ეგონათ, რომ ჩინეთის დიდ კედელზე გაისეირნებდნენ, მაგრამ "ოლიმპიადა-2000" პეკინის ნაცვლად სამხრეთ ნახევარსფეროს - სიდნეის ეწვია.

ამ პაექრობაში საბოლოო სიტყვა რჩება არა იმას, თუ ვისზე რაა შავით თეთრზე დაწერილი, არამედ უფრო იმას, თუ სადაა დადებითი განწყობის საერთო ატმოსფერო, სამართლიანობა და, რა თქმა უნდა, ის, თუ ვისი ჯერია.

გარდა ამისა, სოლტ ლეიკ სიტისთვის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის გამო, რამაც მოგვიანებით ხმათა მოსყიდვის გამო სკანდალი გამოიწვია, ოლიმპიურ მოძრაობაში ბევრი რამ შეიცვალა. უფრო სწორად, შეიცვალა კანდიდატ ქალაქთა შერჩევის მექანიზმი - კანდიდატ ქალაქთა წარმომადგენლებსა და სოკ-ის წევრთა ურთიერთობა მკაცრად კონტროლდება. ხანდახან ეს სიმკაცრე იქამდეც კი მიდის, რომ მეტოქე ქალაქებს ერთმანეთთან მეტოქობის უნარიც კი აღარ რჩებათ.

ადრე თამაშების მასპინძლობაზე განცხადების შემტანი ქალაქები დახმარებისთვის რეგულარულად "კონსულტანტებსაც" მიმართავდნენ - ხმის უფლების მქონე სოკ-ის 120 წევრზე (ან მეტზე) დაწერილებით დოსიეს ადგენდნენ, მათ შორის პრეფერენციის სრულ ჩამონათვალსაც - სექსუალურით დაწყებული და კულინარიულით დამთავრებული. მაგალითად, ყავას შაქრით მიირთმევენ თუ უშაქროდ.

ოლიმპიადის მაძიებლები ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ ლობირებისთვის შესაბამისი კლიმატი შეექმნათ. იმ შემთხვევაში, თუ სოკ-ის წევრს უყვარდა ფეხბურთი, იგი სტადიონზე მიჰყავდათ; თუ რომელიმე განსაკუთრებული ჯიშის ძაღლი უყვარდა, უგზავნიდნენ ლეკვს...

ამასთან დაკავშირებით ცნობილია ერთი ამბავი: 1992 წლის თამაშების მასპინძლის გარკვევამდე ერთ-ერთმა ადამიანმა, რომელიც იმავე სასტუმროში დაბინავდა, სადაც სოკ-ის წევრები ცხოვრობდნენ, სასტუმროს ადმინისტრაციასთან დაიჩივლა: საწოლს ვერ ვუახლოვდებიო.

დადგინდა, რომ მავანის ოთახი შეცდომით ოლიმპიადის მასპინძლობის მოსურნეთა მიერ საჩუქრებით ყოფილა გამოტენილი.

მსგავსი ფაქტები მხოლოდ სოლტ ლეიკ სიტის თამაშების შემდეგ შეწყდა. ამჟამად თეორიულად ყველაფერი თანაბარ პირობებშია. პრეტენდენტებს უფლება აღარა აქვთ, შეხვდნენ სოკ-ის მოხელეებს.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ რომელიმე სასტუმროს ბარში ზიხართ, იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ, გასაგრილებლად მათაც ბარში ჩამოსვლა მოინდომეს (თქვენი დაპატიჟების გარეშე) და თავადვე იხდიან სასმელისთვის გაწეულ თანხას, მაშინ აღბათ წესების დარღვევაში არ დაგადანაშაულებენ.

წერილის ავტორი ბი-ბი-სის ჟურნალისტი გორდონ ფარკუჰარი ეჭვობს, რომ ამგვარი უნებლიე შეხვედრების დიდი ალბათობა არსებობს.

"საკუთარი დაკვირვებებიდან ვიცი, რომ კარგ ლობისტს დიდი ნებისყოფა სჭირდება".

ქალი ან მამაკაცი (ავტორი ამა თუ იმ პრეტენდენტი ქალაქის წარმომადგენლებს გულისხმობს) ვალდებულია, მუდმივად იმუშაოს საკუთარ კონტაქტებთან. არ უნდა ეშინოდეთ ცივი მიღებებისა თუ შესაძლო უგულებელყოფის. უბრალოდ, უნდა ჰქონდეთ მოქნილობა და უნიკალური ფოტომეხსიერების უნარი.

წესების ფარგლებში მკაცრად მუშაობაა საჭირო და ამის მერე შეძლებთ კიდეც შეხვდეთ სოკ-ის მოხელეებს და გამოსტყუოთ ის, თუ როგორ მიმდინარეობს შერჩევის (კანდიდატი ქალაქების) პროცესი.

უეჭველია, სოკ-ის წევრთა შორის არიან ისეთები, რომლებსაც ქალაქებში ოდინდელი ვიზიტების გახსენება სურთ. მათ სწამთ, რომ შთაბეჭდილების შესაქმნელად და დასკვნების გამოსატანად პრეტენდენტი ქალაქის საკუთარი თვალით ხილვაა საჭირო და არა დასტა-დასტა ტექნიკურ საბუთებში ქექვა, რომლის წაკითხვას თუ გაცნობას მათ სთავაზობენ.

შემიძლია დავიფიცო, რომ ბევრი მათგანი (ავტორი სოკ-ის წევრებს გულისხმობს) მანამ გამოიტანს განაჩენს, სანამ მათ მაგიდაზე ორი 600-გვერდიანი ტომი აღმოჩნდება.

აქედან გამომდინარე, სოკ-ის წევრთა უმეტესობა იქამდე მიდის, რომ ძირითად მარცვალს თავიდანვე მიაგნოს.

მაგრამ ეგეცაა: მარცვლის გაზომვა, აწონვა თუ აღწერა ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით არ შეიძლება.

ასე რომ, სოკ-ის ხმის უფლების მქონე წევრები, ბოლოს და ბოლოს, თავადვე გამოიტანენ დასკვნას, რაც მხოლოდ ნაწილობრივ იქნება გაპირობებული შემფასებელთა კომისიის მიერ.

თუმცა, კიდევ სხვა უამრავ ფაქტორსაც მიიღებენ მხედველობაში. გარდა ამისა, ისინი მშვენივრად აცნობიერებენ, რომ კენჭისყრა ფარულად მიმდინარეობს. ასე რომ, არავინ არასდროს არავის არ ჰკითხავს, თუ რითი ხელმძღვანელობდა საკუთარ არჩევანში.

TV-სპორტი

შაბათი. 19 თებერვალი

НТВ+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "რომა" - "რეალი"
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მონაკო" - "ლიონი"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 "FUTBOL MUNDIAL"
16:40 "საფეხბურთო კლუბი"
17:20 ლიბერტადორესის თასი. "ბოლივარი" (ბოლივია) - "სანტოსი" (ბრაზილია)
19:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. "სტრასბური" - პსჟ. პირდაპირი ტრანსლაცია
21:05 თავისუფალი დარტყმა
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
21:55 "ფუტბოლისტიკა"
23:55 იტალიის ჩემპიონატი. "უდინეზე" - "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 თავისუფალი დარტყმა
00:35 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ბორუსია". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+ПЛЮС

10:00, 13:10, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 22:30 "ქრონიკა"
10:25 მძლეოსნობა. ინგლისის დიდი პრიზი
13:25 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები აშშ-ში
13:55 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
14:25 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. სუპერგიგანტი
14:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. სუპერგიგანტი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი შვედეთში. მეოთხე ნაწილი
16:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
17:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში
19:15 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Festival on Ice"
20:15 კალათბურთი. "ვარსკვლავური უიკ-ენდი". NBA-ს ახალბედათა მატჩი. შესვენებისას (21:00) - პრესცენტრი
22:35 სახვალიო ტელეპროგრამა
22:45 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
00:15 ახალი ამბები
00:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ვაჟები. დაშვება
01:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. სუპერგიგანტი
02:30 02:30-დან 04:25-მდე შესვენება
04:25 კალათბურთი. "ვარსკვლავური უიკ-ენდი". NBA-ს ვარსკვლავთა შოუ. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
11:00 ბობსლეი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ორკაციანი. ვაჟები
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
13:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. დაშვება. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ბელგიაში. ნახევარფინალი
20:45 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. ნახევარფინალები
22:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მებრძოლთა კლუბი

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ ქრონსპორდების ამოხსნა?

გიყვართ ინგელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უშასრა

სადისკვალიფიკაციო კრიტერიუმი "რუსთავი 2" არ არის ეკრანებული, გაცდენილი, ბოლოდან ან არა მონაწილეობა. ინგლისურენოვანი გამოცემები "სუსტი რგოლი". თითეული მონაწილის ინფორმაციული, დისკვალიფიკაციის გამოცემის კრიტერიუმები. ამ ანკეტის შესავსებ თქვენ თანხმობთ ინგლისურენოვანი გამოცემის "სუსტი რგოლი" ნებასა და ინფორმაციას.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სადისკვალიფიკაციო კრიტერიუმი "რუსთავი 2" / ინგლისურენოვანი გამოცემა "სუსტი რგოლი" / ვაჟა-ფშაველა 45, 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, ვაცხადებ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსადეგია უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

სახელი _____ მისამართი _____
გვარი _____
ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____
სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დაეხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

თბილისის სკოლებს ტურები შეესივნენ

გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა რამდენიმე საშუალო სკოლის გათავისუფლებული, მოხსნილი დირექტორები და მათ გარშემო ატეხილი ხმაური იყო. სამწუხაროდ, ყოველგვარი სკანდალებისა და სპეკულაციის გარეშე თანამდებობა მხოლოდ ერთი-ორმა სკოლის დირექტორმა დატოვა. ნაწილმა კი საკუთარი, ისეთი სახე გამოავლინა, რომლის დანახვა, მე პირადად, ძალიან არ მინდოდა. საკუთარი სკამის დაკარგვის პოლიტიზირება, იაფფასიანი სპეკულაცია, მასწავლებლების, მშობლებისა და თვით მოსწავლეების აბუნტებაც კი, ქუჩაში გამოყვანა და ბრტყელ-ბრტყელი ლოზუნგებით მოწოდება, - ეს ის მოქმედებებია, რომლებიც, ჩემი აზრით, სკოლის დირექტორს სრულებით არ უხდება.

ნებისმიერი, ოდნავ ხმაურიანი, არასასიამოვნო ინციდენტის პოლიტიზირებისთვის, სპეკულირებისთვის, საკუთარ ინტერესებში გამოყენებისთვის მუდამ მზადყოფნაში მყოფი "წინ საქართველო" და ლეიბორისტები კი ნამდვილი ტურებივით თუ ჰიენებივით შეესივნენ სკოლის კიბეებს და ამით, ჩემი აზრით, იქ მყოფ ბავშვებს საფრთხე შეუქმნეს. ან არ უკბინოს რომელიმემ, ან რამე არ ატკინოს, არ დაუშავოს! ნუთუ ამ ბავშვების მშობლები არ ღელავენ?

უცნაური და აუხსნელია, რომ წლების განმავლობაში საშუალო სკოლის დირექტორად მომუშავე პიროვნებას საკუთარ ღირსებასა და თავმოყვარეობაზე მეტად ბავშვებისათვის ასეთი სარისკო ტურებისა და ჰიენების გარემოცვა ურჩევნია. ამით ხომ სკოლის დირექტორისთვის შეუფერებელ იმიჯს საზოგადოების თვალში საბოლოოდ იმკვიდრებს.

მე მინდა ვიცოდე ჩემი ქალაქის სახე

რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით გავიგე, რომ ახალი აეროპორტის პროექტისა და მშენებლობის ტენდერი გამოცხადდა. ასევე ტელევიზორით თვალი მოვკარი ტენდერის სამად სამი მონაწილიდან ერთ-ერთის, არქიტექტორ გოგა ბერიძის პროექტს, რომელიც მას ადრე ჰქონია გაკეთებული და ვენეციის ბიენალეზე გატანილი. სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი ბერიძისთვის კონკურსის სრულიად ალოგიკურ-არეალურ ოცდღიან ვადაში ჩაჯდომა. მეორე კონკურსანტი გარდაცვლილი ოთარ თუხარელის ვაჟია, რომელსაც სამოციან წლებში მამის მიერ შესრულებული აეროპორტის პროექტი აქვს გამოტანილი. არც თუხარელის და არც მესამე კონკურსანტის, უცნობი გერმანელების პროექტის შესახებ მიახლოებითაც არავის არა გვაქვს წარმოდგენა. არადა, გარდა იმისა, რომ პირადად მე ძალიან მაინტერესებს სამოციანი წლების იდეა დღეს როგორ გამოიყურება და რას გვთავაზობენ გერმანელები, საზოგადოებისთვისაც საინტერესო იქნება, იცოდეს, რის აშენებას აპირებენ. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება პატარა, თუნდაც რამდენიმედღიანი გამოფენის მოწყობა. რატომ არ არის ტენდერის ჟიურიში ერთი არქიტექტორიც კი შეყვანილი. როდემდე შეიძლება თბილისის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ბედი და ფორმა საზოგადოებისგან სრულიად ფარულ-მალულად წყდებოდეს. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ტენდერს ოდნავ რეალური ვადები ჰქონოდა და მასში არა სამ, არამედ ბევრად მეტ ქართველ ან უცხოელ არქიტექტორსა თუ სამშენებლო კომპანიას მიეღო მონაწილეობა. ეგება ტენდერი მაშინ უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და შედეგიანი ყოფილიყო.

გამაგებინეთ, რატომ ვჩქარობთ, ვაფუჩეჩებთ, ვმალავთ და შედეგად კი საყოველთაო კრიტიკის ობიექტებს ვაშენებთ?

არადიპლომატიური აზრი

არც დიპლომატი ვარ და არც დიპლომატიის ენა მეხერხება. ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულობისა და ნახევარტონების გარეშე მარტივად და გასაგებად ვიტყვი, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალთან არმისვლაში, მე პირადად, რუსეთის დიპლომატიისთვის ასეთი არადამახასიათებელი, პრიმიტიული, პიროვნული აღიარება დავინახე. აღიარება იმისა, რომ აფხაზეთში ათასობით ქართველი მებრძოლის დაღუპვაში სწორედ რუსეთია დამნაშავე. ისევე როგორც რიგითი მკვლელისთვის, რუსეთის მაღალჩინოსნისთვისაც ძნელია საკუთარი ქვეყნის პოლიტიკის მსხვერპლის საფლავზე აუღელვებელი სახით მისვლა და პროტოკოლური გვირგვინის მიტანა. ეტყობა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ეს ის ზეამოცანა, ზეგამოცდა იყო, რომელსაც მან თავი აარიდა, საკუთარი სახის მიმიკის ცვლილებაზე კონტროლის დაკარგვის შეეშინდა.

რას იზამ, ძნელია უზარმაზარი, აგრესიული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრობისა და ელემენტარული ადამიანობის შეთავსება.

"ქუჩის ბიჭები" + ... + მინისტრი = ?

ამ ამოცანაზე პასუხის გაცემას თქვენ მოგანდობთ. რაც გნებავთ, ის ჩაწერეთ. მე კი გეტყვით, რომ ვინაიდან არც მაღალჩინოსნის ცოლი ვარ, არც სიმღერაზე გამაჩნია რაიმე პრეტენზია და არც ესტრადის ქუჩის ბიჭებს არ ვემეგობრები, ამ პატარა წერილის დაწერის ერთადერთი მოტივი ჩემი გულწრფელი გაკვირვებაა. ვერაფრით ვხვდები, სრული სერიოზულობით, პროდიუსერებითა და პრესკონფერენციებით, მძლავრი მეუღლის ავტორიტეტის გაშარჟება და ბორჯომპარკში ყოველწლიური დასვენებისას გაცნობილი ბორჯომელი ქუჩის ბიჭების საკამათო შემოქმედების თანამონაწილეობა რატომ უნდა მოგინდეს?! მაღალჩინოსანთა ცოლების მოღვაწეობის ფართო ასპარეზი არსებობს და უმეტესად იგი ქველმოქმედებით და არა საზოგადოების გაცინებით, ნერვების აშლით, ან გემოვნების გაფუჭებით განისაზღვრება.

საინტერესოა, ამ ზაფხულს ბათუმის "ბუნგალოში" შესვლა რომ მოვინდომოთ, VIP ლოჟებში დასაჯდომად ისევ 150 ლარი უნდა გადავიხადოთ და თან ქუჩის ბიჭების+... ახალი "ჰიტი" უნდა მოვისმინოთ?

გასეირნება სამარშრუტო ტაქსით

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა წერილში, რომელიც თბილისის დღევანდელ რეალობას ეხება, ქალაქში არსებული სამარშრუტო ტაქსების წარმოუდგენელ რაოდენობაზე, მათ მიერ მოძრაობის ელემენტარული წესების დარღვევაზე და სამომავლოდ მათი რაოდენობის შემცირებაზე ვლაპარაკობ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ "მარშრუტკით" მგზავრობა მიყვარს. ჯერ ერთი, მათი მოძრაობის მარშრუტი იმდენად ზუსტად, მოხერხებულად არის გათვლილი, რომ, ფაქტობრივად, თბილისის არც ერთი ისეთი ქუჩა არ არსებობს, სადაც კონკრეტული ნომრის "მარშრუტკა" არ მიდიოდეს. მეორეც, სამარშრუტო ტაქსის ღირებულება უმეტესად სრულიად შეესაბამება ჩემს ფინანსურ შესაძლებლობებს. მესამე და მთავარი კი ის არის, რომ "მარშრუტკაში" ვერთობი. რითი? აი, ახლა სწორედ ამის მოყოლას ვაპირებ.

ერთი-ორი დღის წინ გაზეთ "24 საათის" რედაქციიდან, რომელიც მეტრო "დელისთან" მდებარეობს, გამოვედი. უკვე კარგად შებინდებული იყო. იმ კუთხისკენ წავედი, სადაც ვაკე-ვერა-რუსთაველის გამზირისკენ მიმავალი სამარშრუტო ტაქსები დგანან და მგზავრებს ელოდებიან. ცოტათი თემას მინდა გადავუხვიო, მაგრამ მეტრო "დელისის" მიმდებარე ტერიტორიის უყურადღებოდ დატოვება არაფრით შემიძლია. ვინ თქვა, რომ თბილისში გარევაჭრობა მოსპეს? თუმცა, რატომ მიკვირს? ყველაფერში ასეა. ერთი-ორი დღე ჟურნალისტების თანდასწრებით რაღაცას წამოიწყებენ, მაქსიმალურ პოპულარიზაციას მიაღწევენ, PR-ს გაიკეთებენ და მერე ბოლომდე არმიყვანილს, შუა გზაზე მიატოვებენ და კვლავ ახალს და კვლავ ჟურნალისტების თანდასწრებით წამოიწყებენ. ასე იყო ცენტრალურ პროსპექტებზე დამონტაჟებულ გიგანტურ სარეკლამო ბილბორდებზე, ნაგავზე, ჯიხურებზე და გარევაჭრობაზეც. მეტრო "დელისთან", შიგნით თუ გარეთ, რა არ იყიდება, სულო და გულო. მეტროს შესასვლელის კიბეები საყოფაცხოვრებო ნაწარმს უკავია. ნაფტანილიდან დანყებული, ნათურებითა და ტუალეტის ქაღალდით დამთავრებული, ყველაფერი კიბეებზეა მიმობნეული. გარეთ ქუჩაში კი არჩევანი თევზიდან იწყება და ერთ ლარად თორმეტი ლიმონით მთავრდება. პურის, ეგზოტიკური ხილის, ყველის, მწვანილისა და ბოსტნეულის, მჟავეების რიგები, რომელთა შორის, როგორც ნამდვილ ლაბირინთში, კოჭამდე გაურკვეველი წარმოშობისა და შემადგენლობის შავი ფერის ბლანტ ტალახში გინევს ლავირება. თან მობილიზებული უნდა იყო, რომ პირველ რიგში ფეხი არ მოგისრიალდეს და ღორივით შავ ტალახში არ ჩაწვე და მეორე, რომ ხელჩანთა ვინმემ არ წაგართვას. ჩანთის პოტენციურ წამართმევთა მთელი ჯარია "დელისთან" მობილიზებული, თუმცა, ისევე როგორც ყველა ასაკისა და რჯულის საკმაოდ აქტიური მათხოვრები. ჩემი აზრით, ის, რაც "დელისთან" ხდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთ სიტყვას - კლოაკას შეესაბამება. მიახლოებითაც არ მინდა იმის წარმოდგენა, თუ რა ხდება გარეუბნების მეტროს სადგურებთან. "დელისი", ასე თუ ისე, ქალაქის ცენტრია და სხვაგან რაღა იქნება!



როგორც იქნა, ესოდენ "კოლორიტული" ტერიტორია ჩავიარე, არც დავვარდი, არც ამოვიგანგლე, არც ჩანთა გავატანე ვინმეს, ერთ ლარად თოთხმეტი ლიმონი ვიყიდე (არ შევვაჭრებივარ, თვითონ დამიკლო) და ოთხი ნომერი სამარშრუტო ტაქსების სადგომს მივაღწიე. ნეტავი ვის ეკუთვნის დღეს ეს რეისი? იმავე ჩრდილოვან მფლობელს, ვისაც რევოლუციამდე, თუ ვინმე ახალმა დაითრია? თუმცა, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს. გრძელ რიგში მდგომ მანქანებიდან პირველში ჩავჯექი და არ ვიცი რატომ, რა დამემართა. რატომღაც ისეთი სისულელე ვიკითხე, რაც მშვენივრად ვიცოდი და მძღოლის მომენტალური უხეში პასუხიც დავიმსახურე: "უკაცრავად, ლენინის მოედანზე მიდის?" ვიცოდი, რომ მიდის და ან გარდაცვლილი ბებიაჩემივით როდის იყო ქუჩებსა და მოედნებს ყოფილი სახელწოდებებით ვიხსენიებდი? "ლენინის მოედანზე არა, მოსკოვში, მავზოლეუმთან ხომ არ გინდა!" ბედი არ გინდა, ასეთი სისულელე დამემართა და თანაც სახელმწიფო დამოუკიდებლობის შეგრძნებითა და საბჭოეთისადმი ზიზღით გამსჭვალულ მძღოლთან, რომელსაც მანქანის მთელი სალონის წინა ნაწილი საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი პორტრეტებითა და დასაწეპებელი დროშებით ჰქონდა დეკორირებულ-მორთული. ერთადერთი, რაც დაბნეულობისა და საკუთარი იდიოტიზმისგან თავში მომაფიქრდა, ლოზუნგური ფრაზა "გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს" იყო. მძღოლმა გამარჯვებული სახით გადმომხედა, გამოვასწორეო იფიქრა, ვიღაცა უხილავი, სადღაც მიმავალი ინსტრუქტორის ასევე უხილავი სიგნალი მიიღო, მანქანა დაქოქა, მუსიკა ჩართო და ვირტუოზული მანევრით რიგიდან გამოვიდა. ვინც "მარშრუტკით" ხშირად მგზავრობს, დამეთანხმება, რომ ქალაქის ტრანსპორტის ამ სახეობას განსაკუთრებული, მხოლოდ მისეული მუსიკალური გაფორმება ახლავს. ამჯერად არა მძღოლის საყვარელი სიმღერებისგან შემდგარი კასეტა იყო ჩართული, არამედ რადიო "არ დაიდარდო", რომელიც, მე მგონი, იმ კასეტაზეც უარესი უნდა იყოს. მსგავსი მუსიკალური მიქსისა და რადიოწამყვანის ტექსტის წარმოდგენაც კი ძნელია. ავარულ-ავლაბრულ-ქურდულ-რეპული რეპერტუარი გაურკვეველი პროვინციის კილოს მქონე ტექსტითა და ისეთი ხუმრობებით იყო გაჯერებული, რომელთა მოსმენისას არც გეცინება, არც გეტირება, უბრალოდ, გერიდება, გრცხვენია. ოღონდ რისი, არ ვიცი. ამბიციებისგან გასულელებული, კრიტიკისადმი აგრესიული ჩვენი ესტრადის "ვარსკვლავები" ამ სამარშრუტო ტაქსში უნდა ჩასვა და თავიდან ბოლომდე საკუთარი რეპერტუარი იძულებით მოასმენინო. ეგება, ამ სიტუაციაში მაინც დაინახონ საკუთარი შემოქმედების რეალური სურათი. ასევე ძალიან კარგი და შედეგიანი იქნებოდა, მთავრობის წევრებიც რომ ოდესმე სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობდნენ. აი, სად მოისმენდნენ თავიანთი მოღვაწეობის, მართლაც რომ კონსტრუქციულ კრიტიკას. აბა, პარლამენტში რას ისმენენ? რაღაც გალოკილ, აწონ-დაწონილ, დასაშვების ფარგლებში, ფსევდოოპოზიციურ, ყალბ პოპულიზმს. სულ მიკვირს, აჭარის ახლანდელი ლიდერი ვარშალომიძე, - რამდენი ტელევიზორი ჩავრთე, იმდენი ავტობუსში ზის და როგორ დავიჯერო, რომ ავტობუსში თავისთვის ხეირიანს ვერაფერს ისმენს? თუმცა, მერაბიშვილმაც კი იმგზავრა მეტროთი, მაგრამ მგონი დიდი დასკვნები ვერც მაგან გამოიტანა. ეტყობა, ავტობუსს და მეტროს თავისი სპეციფიკა აქვს. სამარშრუტო ტაქსი კი შეუღლამაზებელი სიმართლის გასაგებად, მენდეთ, საუკეთესო ტრანსპორტია. მე პირადად, ისევ და ისევ სააკაშვილის იმედი მაქვს, რომელიც მართალია, ნებისმიერ "რაფში" ადვილად ვერ დაეტევა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთ დღესაც კაბინეტიდან მოწყდება, "მარშრუტკას" აახტება, ქალაქში გაისეირნებს და თან ხალხს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით გაესაუბრება. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტი ვარშალომიძესთან ან მერაბიშვილთან შედარებით ბევრად უფრო კომუნიკაბელური ადამიანია. სამარშრუტო ტაქსების, ამ შემთხვევაში კი იმ კონკრეტული ნომერი ოთხის მგზავრები რაღაზე აღარ ლაპარაკობენ - ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, მართალია გაორმაგებულ, მაგრამ მაინც აბსურდულ პენსიაზე, რელიგიაზე, განათლების რეფორმაზე, სტალინის რკინის ხელის ნოსტალგიაზე, შევარდნაძის დაუსჯელობის უსამართლობაზე, სიგარეტის ფასებზე, მარშრუტკების რაოდენობის შემცირების "სახიფათო" პერსპექტივაზე, უმუშევრობაზე, პატრულზე, თურქეთიდან შემოტანილი საქონლის სავარაუდო გაძვირებაზე, მექრთამეობაზე, მექრთამეობაზე და ისევ მექრთამეობაზე, ოღონდ ბიუროკრატიული აპარატის ყველაზე დაბალ რგოლებში. თუმცა, ასევე მგზავრების ლოგიკით, დაბალი რგოლიდან ძაფი აუცილებლად ზემოთ უნდა ადიოდეს. აი, თუ სად ზემოთ, ეს ოთხ ნომერ მარშრუტკაში არავის დაუზუსტებია. ყველა მსგავსი ვარაუდის ფინალური ფრაზა - "ეხ, მიშამ არ იცის, თორემ"... იყო.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ვაკის ეკლესიას მივუახლოვდით და ჩემთვის სრულიად გაუგებარი, ამ ბოლო დროს მოგონილი წესის შესაბამისად სამარშრუტო ტაქსის ყველა მგზავრმა და რაც მთავარია, მძღოლმაც, პირჯვარი სამჯერ გადაიწერეს. არ ვიცი, რომელი უფრო სწორია, სამარშრუტო ტაქსში მჯდომმა ეკლესიის ჩავლისას პირჯვარი გადაიწერო, თუ მგზავრებით სავსე მანქანას როდესაც მართავ, ჯობია, საჭეს ხელი არ გაუშვა და თავი არ დახარო. თანაც როდესაც ეს რელიგიური რიტუალი ქართული ესტრადის ისეთი ჰიტის ფონზე მიმდინარეობს, რომელიც რას რას და, პირჯვრის გადაწერას ნამდვილად არ უხდება. ვერაზე "მარშრუტკამ" მოხუცს გაუჩერა, რომელმაც მორიდებულად, გულწრფელად წინასწარ აღიარა, რომ ფული არ ჰქონდა. მძღოლი დიდსულოვანი ჰუმანისტი აღმოჩნდა და მოხუცი მაინც ჩაისვა. ცოტა ხანში ჩასვლა პატარა, სპორტულ ჩანთაგადაკიდებულმა ბიჭმა მოითხოვა და დიდი ბოდიშებით მძღოლს მხოლოდ ოცდაათი თეთრი გაუწოდა. მძღოლმა აქაც ლოიალურობა გამოიჩინა, მაგრამ როდესაც დიდ, უხეშ, გახრიგინებულ ქურქში გამოწყობილმა დიდ საყურეებიანმა მსუქანმა, ბევრკოსმეტიკიანმა ქალმა თავისი ასეთივე მსუქანი, ნამდვილად ერთი სკამის დამკავებელი შვილის ბილეთის საფასურის გადახდა არ მოინდომა, მძღოლი აბუნტდა. თანაც, ეს ბავშვი მთელი გზა ბოლო მოდელის მობილურით თამაშობდა და მგზავრებსა და მძღოლს პოლემიკაში ხელს უშლიდა. ჰოდა, კიდეც მიაძახეს - "მაგ მობილურის ყიდვას, ბილეთის ფული შემოგენახაო!" ქალმა კარები დემონსტრაციულად მოიჯახუნა, მაგრამ ეფექტი სათანადოდ არ გამოუვიდა. მძღოლს კარები წინდახედულად რეზინით ჰქონდა დაბმული. ინციდენტს სოციალური თემატიკის ახალი ტალღა მოჰყვა. შუა კამათში იყო სამარშრუტო ტაქსი, როდესაც მაღალ სიჩქარეზე მომავალმა, განსაკუთრებული, მძღოლის სახელის ამსახველმა ნომრებიანმა მერსედესის ჯიპმა კინაღამ დაგვარტყა. "მარშრუტკა" შეჯანჯღარდა, დაამუხრუჭა, საქართველოს უახლესი ისტორიის წარმომადგენელთა რამდენიმე ფოტო გადმოვარდა, მაგნიტით დამაგრებული ხურდა დაიბნა, სარკეზე ჩამოკიდებული ჯვარი აქანქარდა, მგზავრებმა შეჰკივლეს, მძღოლმა შეიგინა, რადიო "არ დაიდარდომ" კი ტაქტიანად ერთი წამით მაინც ხმა ჩაიწყვიტა. მერსედესმა ჩაიქროლა და მისი მძღოლი ქურქიანი ქალის შემდეგ სამარშრუტო ტაქსის მგზავრების სოციალური მტრების რიცხვში მომენტალურად აღმოჩნდა. სადღაც სასტუმრო საქართველოსთან, არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ორი ერთი და იგივე ნომრის "მარშრუტკა" ერთმანეთს წამოეწია და აი, აქ კი უკვე ჩემი ნერვული სისტემის გამომცდელი ავტორალი დაიწყო. ცოტა ხანი ვითმინე და რა წამს აღშფოთება თუ შიში გამოვხატე, ეჭვი მაქვს, რომ მეც სოციალური მტრების რიცხვს შევუერთდი. ჩემდამი მტრული დამოკიდებულება პოლემიკაში აქტიური მონაწილეობის გამო ოდნავ შენელებული იყო. მაგრამ მძღოლის ყოყმანს საბოლოო წერტილი მაშინ დაესვა, როდესაც მე სასტუმრო "მარიოტთან" გაჩერება მოვითხოვე.

რა თქმა უნდა, ჩემი ერთი მგზავრობის აღწერაში სამარშრუტო ტაქსების დამახასიათებელი უამრავი დეტალი გამომრჩა, მაგრამ თბილისის ტრანსპორტის ამ სახეობით მგზავრობა რომ ყველაზე მრავლისმეტყველია, ამაში დარწმუნებული ვარ.

ვინ მოიგონა სულელური გამოთქმა "ქუჩის სკოლა"? მე არ ვიცი, ქუჩაში რა სკოლაა და რას ასწავლიან ამ სკოლაში. "მარშრუტკა" რომ ცხოვრების რეალობის შემსწავლელი სკოლა თუ არა, კურსი მაინც არის, ეს ზუსტად ვიცი და ისიც ვიცი, რომ ჩვენს მთავრობას, ქალაქის თავკაცებს ამ კურსებზე დასწრება მოუხდებოდათ.

რა განსაცდელი ელის საქართველოს

დასასრული. დასაწყისი იხ. №27,28,29,30,31,32, 33,34,35,36,37.

ვიქტორ რცხილაძე

9 დეკემბრის სატელევიზიო გადაცემა "მზეზე", როგორც ჩვენი საზოგადოების სავალალო სახე

საუბარია ღამისეულ გადაცემაზე, როდესაც შედგა "დუელი" "მემარჯვენე" დეპუტატ ბ-ნ გამყრელიძესა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ბ-ნ ჯგერენაიას შორის. თურმე, ნუ იტყვით და, ბ-ნ ჯგერენაიას რომელიღაც გაზეთში გამოუქვეყნებია სტატია, სადაც ქართულ სუფრას აუგად მოიხსენიებს, სადაც ქალის როლი თურმე სუფრის განყობით ამოიწურება და რომელიც შემდეგ ტოვებს იქაურობას და მამაკაცები ქეიფობენ (არ ვიცი, ღმერთმანი, ბ-ნი ჯგერენაია მუსულმანურ დროსტარებას ხომ არ გულისხმობს, რადგან თბილისში სუფრას ქალბატონებიც ამშვენებენ, რომელნიც მას რომანტიკულ ელფერს სძენენ). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ მამაკაცურ სუფრაზე თურმე ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა "მოვესიყვარულოთ ერთმანეთს", "ჩავეხუტოთ ერთმანეთს" პედერასტული მნიშვნელობისაა და საერთოდ თურმე დიდი ხანია, რაც ჰომოსექსუალისტთა საზოგადოებად ვიქეცით.

ბ-ნი გამყრელიძის მხრიდან ამას ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა და მიწასთან ასწორებდა "ჰომოინტელექტუალს". ბ-ნი ჯგერენაია კი გაკაპასებით თავს იცავდა, გამყრელიძეს არწმუნებდა, რომ მისი როგორც დეპუტატის საქმე, "კანონებზე მუშაობაა" და არა "ინტელექტუალთა", ანუ ჩემი მოღვაწეობის გარჩევაო. მე ეს "ეპატაჟი" განგებ მოვახდინეო, რომ გამომეფხიზლებინა ის საზოგადოება, რომელმაც ზვიად გამსახურდიას 87 პროცენტმა ხმა მისცა და შევარდნაძეს ამდენივეო. გამყრელიძის სამართლიან შეპასუხებაზე, რომ რა შუაშია ესო ან სააკაშვილის "პროცენტებზე" ხმას რატომ არ იღებო, ჯგერენაიამ კვლავ გაკაპასებით უპასუხა, რომ შენ ჩემი სამსახურიდან მოხსნა გინდა (დიახო, ეთანხმება გამყრელიძე) და ამას ვერ ეღირსები - სად იყავი, როდესაც მოწინავე საზოგადოება შევარდნაძეს ამხობდაო?! შემდეგ ისევ - "ინტელექტუალთა" ცხოვრებაში ჩარევა შენი საქმე არ არისო და თავისი პოზიციის გასამყარებლად ჯგერენაიამ უცხოელთაგან ცნობილი ფრანგი მწერალი, პედერასტი ანდრე ჟიდი დაასახელა. შემდეგ ჯგერენაიასაგან რატომღაც დასახელდა ფრენსის ფუკუიამა (რა შუაშია?!), რაზედაც გამყრელიძემ მოსწრებულად უპასუხა, რომ მას მე პირადად ვიცნობო და შენგან არაფერი მესწავლება - "აკადემიკოსის ოჯახში ვარ გაზრდილიო". ამ წუთამდე "გამარჯვების" სასწორი აშკარად გამყრელიძისაკენ გადმოიხარა (ჩემი და თბილისელების სასიხარულოდ), რაც კიდევ განამტკიცა ვახუშტი კოტეტიშვილის ხრიალა გამოსვლამ.

ორიოდე სიტყვა ამ საყვარელ ადამიანზე. საყვარელზე იმიტომ, რომ ნიჭიერი ლიტერატორია, სპარსული პოეზიის მთარგმნელია, "სახალხო მთქმელების" გამომვლენია და დიდებული მამის, ვახტანგ კოტეტიშვილის ძე გახლავთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ჯანსაღი პოზიცია დაიკავა ამ კამათში და ჯგერენაიას მოუწოდა - "ვისაც თავის კაცობაში ეჭვი ეპარება, მოვიდეს ჩვენთან - მე, დათო მაღრაძე, ნახოს, როგორ ვქეიფობთო". ცოტა გაუგებარი დარჩა, რატომ მაინც და მაინც დათო მაღრაძე, ვახუშტისათვის შვილის ტოლა კაცი? საერთოდ ვახუშტი კოტეტიშვილი და საყვარელია თავის მინუსებშიც. მახსოვს 1993 წლის ცივი ზამთარი თბილისში. დამარცხების სიმწარე და ჩაბნელებული სახლები. სანთლის ალზე რადიოს ვუსმენ ღამით. ვახუშტი ლექსს კითხულობს - ალმოკიდებულ სახლში მამის საშველად შევარდნილი თუში გოგონაც იღუპება. ლექსი დამთავრდა. თვალზე ცრემლი მომადგა და უცებ! და უცებ, იგივე ვახუშტის ხმა: წიგნი იყიდება გამომცემლობა "მერანის" მაღაზიაში, რუსთაველის ამა და ამ ნომერში, გთხოვთ, შეიძინოთ! თვალზე ცრემლი შევიმშრალე, გავიცინე და რუსთაველის პერიფრაზირება მოვახდინე: ფუღო, წყეულო, რა ძალა გაქვს! მახსოვს ვახუშტი, საწყალს, ზვიადისტებმა მამის სახლი რომ გადაუწვეს, როგორ ბღაოდა: რათა ხალხო, რათა?! და მოგვიანებით, უეცრად, ზვიადისტურ გაზეთში ვიხილე, ვახუშტი მილიონერ ზვიადისტს, ოქუაშვილს თუ როგორ სთხოვდა: "ერთხელაც სუფრასთან დავსხდებით" და ა.შ. მგონი, იქ არაფერი გამოუვიდა და ამიტომ - გაუმარჯოს "ვარდრევოლუციას"!

მაგრამ განვაგრძოთ გამყრელიძე-ჯგერენაიას "დუელის" აღწერა. ეკრანზე ვახუშტის მერე თავისი პოზიციის გამოსახატავად ლევან ბერძენიშვილი გამოჩნდა. ბატონ ლევანს, როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, პატივს ვცემ, მაგრამ მის ამ გამოსვლას არ ვეთანხმები. მან საქმე ისე წარმოაჩინა, რომ თავისი აზრის თქმის უფლება ყველას აქვსო (ჩვენც მათ შორის!) და თავის დროზე ილიას რომ ლექსები დავუწუნე (ვინ სთხოვდა?!), კინაღამ "ჯვარს მაცვესო" და ჯგერენაიას ირონიულ წერილს სხვა გაგება უნდა და მის ოპონენტებს, თუ "განათლებულნი" არიან, პლატონის "ნადიმი" მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ წაკითხული?! ვისაც ჯგერენაიას მოცილება სურს, განა არ იციან, რომ მის ადგილზე ზვიადისტებს შარაძის დასმა სურთ, აწ უკვე ყოფილი "პოლიტპატიმრისა"?! (ეს ირონიით).

ამ უკანასკნელი განცხადებიდან თუ დავიწყებთ, დაღუპულა ჩვენი საქმე და ეგ არის, თუკი ასარჩევი მხოლოდ მანანისტა-ზვიადისტებსა და "პედოს" გამხმოვანებლებს შორის გვქონია, რადგან ვერავინ დამარწმუნებს, რომ ჯგერენაიას "ეპატაჟი" საზოგადოების "გამოფხიზლებისა" და "მეცნიერული მიზნებისათვის" კეთდება. აქ არც ვიქტორიანული ინგლისია და არც ჯგერენაია გახლავთ ოსკარ უაილდი, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ერთი-ორი სტატია "ფსიქოანალიზურ კვლევად" ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება პლატონს და მის დიალოგ "ნადიმს", არა მგონია, რომ ალეკსეი ლოსევი ნაკლები ავტორიტეტი იყოს ამ მხრივ, ვიდრე ბ-ნი ბერძენიშვილი. მაგრამ სანამ ამას ვიტყოდეთ, ერთი უნდა ვიკითხოთ - რა შუაშია აქ პლატონის მოხმობა?! დავუშვათ და პლატონი დიდებულად გვისაბუთებს მამაკაცთა შორის ხორციელ სიყვარულს, მამაკაცსა და ბიჭუნას შორის, რა მერე, ავყვეთ?! განა, ორი ათასი წელი არ არის, რაც ქრისტე მოვიდა?! განა ძველი და ახალი აღთქმა არ კრძალავს "სოდომისა და გომორას" გარყვნილებას, სექსუალურ დაკმაყოფილებას პირუტყვთან?! რა დიდი დალაგებული საზოგადოება გვყავს, მით უმეტეს, ახალგაზრდები, რომ ჯგერენაიას "მიგნებებმა" მათ გზა-კვალი არ აურიოს?! რაღა ამაში და ამით მოუნდა "თავისუფალი აზრის" გამოთქმა, იმიტომ ხომ არა, რომ სერიოზულ თემებს ვერ გასწვდა?! ახლა დაპირებული ციტირება ალეკსეი ლოსევიდან. მიაგებს რა ჯეროვანს ხსენებულ დიალოგს, სადაც მრავალთა აზრით "სულიერი ეროსი გამუდმებით ეძებს მშვენიერებას", ლოსევი ხაზს უსვამს, რომ ამას ყოველმხრივ აზრი ეკარგება, რადგან ამ დიალოგში მინიშნებაც კი არ არის მამაკაცისა და ქალის სიყვარულზე, არამედ ხორციელ სიყვარულზე მამაკაცებს შორის, მამაკაცსა და ბიჭუნას, მამაკაცსა და ყმაწვილს შორის. იგი წერს: "მსოფლიო ლიტერატურაში ვერ ვპოულობ ნაწარმოებებს უფრო მეტად საძაგელსა და საზიზღარს, უფრო მეტად ბილწსა და უხამსს - ჭეშმარიტად - "ტრაგიკომედიებს", ვიდრე ეს არის პლატონისეული "ფედრე" და "ნადიმი". (А.Ф. Лосев, Очерки Античного Символизма и Мифологии, М. 1993, стр. 859. საერთოდ იხ. აქ თავი - Брак, любовь и семья. აქვე წაიკითხავს მკითხველი იმის თაობაზე, რომ პლატონიზმის კრიტიკა თვით ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშია შესული.).

მაგრამ "დუელი" ამით არ მთავრდება. ეკრანზეა ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა. ამ მშვენიერი ქალბატონის ხილვა მე ყოველთვის ირონიულ ღიმილს მგვრის, რადგან ფსიქოლოგიის ჩათვლით ქ-ნი ნანა ყველაფერზე მსჯელობს - პოლიტიკაზე, ცეცხლოვანი მიწის ველურებზე, ისლამზე და ა.შ. სხვათა შორის, როდესაც ისლამზე მსჯელობდა, მაყურებელმა დაურეკა ტელევიზიაში და მორიდებულად შეეკითხა: კი მაგრამ, რა გესმით თქვენ ისლამში?! ქ-ნი ნანა ოდნავ კი შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ისევ გაანაგრძო ჩვენი "განათლება". ახლაც, ჯგერენაიას წერილთან დაკავშირებით, მას მიმართეს როგორც ჭეშმარიტების დასადგენ უკანასკნელ ინსტანციას. ქ-ნმა ჩაჩუამაც არ დააყოვნა, სახე ოდნავ გვერდით გადახარა და ბრძნულად განაგრძო, დაახლოებით ასე: ადამიანმა რაც გონიერი თვალით შეხედა სამყაროს (ე.ი. ქ-ნი ნანა ვარაუდობს, რომ იყო "უგონო" ანუ ევოლუციაში მაიმუნის ხანა), მიხვდა, რომ ორჯერ ორი არის ოთხი. მაგრამ მეცნიერება ადგილზე არ ჩერდება - ამის შემდეგ უნდა გავიგოთ, რომ ოთხჯერ ოთხი არის თექვსმეტი და ა.შ. ეს ყოველივე ქ-ნმა ჩაჩუამ ფსიქოანალიზს დაუკავშირა (მე მგონი, მეხსიერება არ მღალატობს) და რა გამოვიდა?! გამოვიდა ის, რომ რაკი ჯგერენაიამ "ფსიქოანალიტიკური" სტატია დაწერა, ეს უკვე "ორჯერ ორიდან" დიდი წინსვლაა და დიდი აღმოჩენა, ოღონდ "საშიშ" დასკვნას ჩვენი ფსიქოლოგი მოერიდა და საკითხი გაბუნდოვანა.

ამის თაობაზე ის უნდა განვაცხადო, რაც ადრე განვაცხადე ერთი კინომცოდნეს გადაცემებთან დაკავშირებით "რუსთავი 2"-ზე. ჩვენში, გარკვეულ წრეებში და პირველ ყოვლისა ფსიქოლოგებთან, როგორც ჩანს, გამეფებულია ფროიდისადმი თაყვანისცემა. ეს დაგვიანებულად მიმაჩნია. ვისაც წინამდებარე შრომის პირველი თავები არ წაუკითხავს, სადაც ფროიდის კრიტიკაა მოცემული, მათ გასაგონად ვიტყვი - თქმა არ უნდა, რომ თავდაპირველად ფროიდისტული ფსიქოანალიზი დიდ პოპულარობას იმკვიდრებს დასავლეთში. თვით ზოგიერთი მნიშვნელოვანი მწერალი და მხატვარი აღიარებენ მას (თუმცა, საპირისპირო მაგალითებიც შეიძლება მოიძებნოს). მაგრამ მთავარი მაინც თანამედროვეობაა. აქ, ალბათ, ერთი მაგალითი ჩვენც უნდა მოვიყვანოთ. რეჟისორ მილოშ ფორმანის გახმაურებული ფილმიდან "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"... ყველას გვახსოვს იქ წარმოჩენილი ჯოჯოხეთური ფსიქიატრიული საავადმყოფო და სადისტურად მომართული ექიმი ქალი. ხაზგასასმელია, რომ ავადმყოფის იქ დანერგილი "მკურნალობა" ფროიდის ფსიქოანალიზს ეფუძნება. რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს, ეს ფსიქოანალიზი? ვახდენ ფროიდის თავისუფალ ციტირებას: ცნობიერებაში ატანა იმ აზრებისა, რაც აქამდე ქვეცნობიერში იმარხებოდნენ; პაციენტის მიერ ტრავმული განცდების გახსენება, რომელთაც დაავადებამდე მიიყვანეს იგი. მიზანი და მეთოდი მკურნალობისა არის ამ დამთრგუნველი გახსენებებისა და აზრების ხმამაღლა წარმოთქმა, რითაც ეს უკანასკნელნი იმ "ენერგიისაგან განიტვირთებიან", რომელიც მათ ხელახალ დავიწყებას ხელს უწყობს, რათა არ ჩასრიალდნენ ისინი კვლავ ქვეცნობიერში და კვლავ დამთრგუნველად არ ზემოქმედებდნენ პაციენტზე. წლების განმავლობაში ფროიდმა ეს მეთოდი უფრო და უფრო დახვეწა, რაც ქრონოლოგიურად აისახა მის შრომებშიც და რომლის წარმოჩენის პრეტენზია ამ პატარა სტატიას არ გააჩნია. მაგრამ ფორმანის ფილმს კი გავიხსენებთ: ექიმს, რომელიც ამ მეთოდს სადისტური თანამიმდევრობით ახორციელებს და პაციენტებს მათთვის მტანჯველ განცდებს ხმამაღლა წარმოათქმევინებს, პაციენტები სასიკვდილოდ იმეტებენ... მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს მეთოდი რომ ამართლებს? - მკითხავს ოპონენტი. ჩემი პასუხი ზოგიერთისათვის, შესაძლოა, მოულოდნელი იყოს: ეს მეთოდი თითქმის ორი ათასი წელია, რაც არსებობს და დანერგილია ეკლესიაში აღსარების სახით, და იქ მისულ "პაციენტს", ანუ, უბრალოდ, ცოდვილს, გულს უმსუბუქებს ამ ცოდვების წრფელი მონანიება და ის ზეგარდმო მადლი, რაც უხილავად, ირაციონალურად მასზე იღვრება მიღმური სამყაროდან. რასაკვირველია, ფროიდთან ეს ასე არ არის და ამიტომაა მისი მეთოდი სახიფათო (ამიტომ ამბობს კარდინალი რატცინგერი, რომ "ფსიქოთერაპიას თუმცა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, ადამიანის სულიერ სამყაროში ცდომილება რომ აღმოაჩინოს და გაწმინდოს, მაგრამ მას არ ძალუძს დანაშაულის გადალახვა. აქ იგი სცილდება თავის საზღვრებს და ამიტომაც მარცხდება იგი ასე ხშირად. დანაშაულის ჭეშმარიტი გადალახვა შეუძლია მხოლოდ საკრამენტს (ეკლესიის საიდუმლოს), რომელსაც ძალმოსილება ღვთისაგან გააჩნია. Ioseph Kardinal Ratzinger, Gott und die Welt, Munchen 2002, s. 455.). რაც შეეხება ფროიდის "მსოფლმხედველობითი" შრომების გამოყენებას და მათ გადატანას პედაგოგიკაში, ან რელიგიის მისეულ "კრიტიკას", უნდა ითქვას, რომ იგი კატასტროფული შედეგებით ხასიათდება. ფილოსოფოსი ა. მალცევა ამასთან დაკავშირებით ამბობს: ვეებერთელა "კონტრკულტურად" და ქრისტიანობისადმი დაპირისპირებად იქცა ფროიდისტული შხამი იმ აზრთა დანერგვისა, რომ ბუნებრივი, ბიოლოგიური იმპულსები თუკი ითრგუნებიან, ეს ადამიანისათვის დამღუპველია, ხოლო ასეთ "დამთრგუნველად" მორალი გვევლინება, რომელიც შორს უნდა მოვისროლოთ, თუკი გვინდა ლოგიკურნი ვიყოთ და ვიხსნათ ადამიანები. ამას მოჰყვა თითქმის ყველაფერზე ნებისდამრთველი სისტემა პერმისიული აღზრდისა.

კარლ რანერის რედაქციით გამოსული დიდი კათოლიკური თეოლოგიური ენციკლოპედია (1986 წ.) ფროიდის წიაღსვლებს რელიგიაზე მკაცრად აფასებს. იგი მიიჩნევს, რომ ფროიდმა თავისი დაკვირვებები და გამოკვლევები დაუმორჩილა XIX საუკუნის ვულგარული მატერიალიზმის ფილოსოფიას, რის შედეგადაც მათ დამახინჯებული სახე მიიღეს. ასე რომ, ფსიქოანალიზი წარმოადგენს მხოლოდ ნაწილობრივ დასაბუთებულ ფსიქოლოგიურ ცდასა და თეორიას, რომელსაც ყალბი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური წინამძღვრები აქვს (ბიოლოგიზმი, ფსიქოლოგიზმი, დეტერმინიზმი). რაც შეეხება ფროიდის "მიგნებებს" რელიგიის აღმოცენებაზე, სტატიის ავტორი, ფილოსოფოსი ა. გიორგესი მათ "ფანტაზიებით აღსავსე" ჰიპოთეზებს უწოდებს, რომელთაც საფუძვლად "დოგმატური ათეიზმი" უდევს.

ასეთივე მკაცრ შეფასებებს იმსახურებს ფროიდი პროტესტანტთა მხრიდან, როდესაც ცნობილი თეოლოგი და ფილოსოფოსი პაულ ალტჰაუსი ზიგმუნდ ფროიდის მტკიცებას, რომ რელიგია არის ნევროზი და ფსიქიკური დაავადება, ასე უპირისპირდება: საკითხის თავდაყირა დაყენებაა, როდესაც ღვთის რწმენას ზ. ფროიდის ფსიქოანალიზი ხსნის "იდეალიზებული მამობის კომპლექსით", რადგან აქ, რაც თითქმის თავისთავად გასაგებია, "მამობის იდეალი" და ის, რაზედაც როგორც წმინდა იმანენტურზე სურთ დაიყვანონ ღვთის ცნება, თვითონ მოითხოვს ახსნას. მართლაც, როდესაც ყოველ მიწიერ მამობაზე მაღლა ჩვენ ვქმნით მამის იდეალს, ამით ვადასტურებთ რაღაც კანონს, რომელიც განმსჭვალავს ყოველ მიწიერ მამობას, უდგენს მას ნორმას და განსჯის, მაგრამ ეს ნორმა უკვე აღარაა რაღაც იმანენტური, არამედ ტრანსცენდენტის შემოსვლაა ჩვენს ცხოვრებაში.

მკითხველი რომ აღარ გადავღალო ანტიფროიდისტული ციტატებით, მივუთითებ მრავალტომეული გერმანულენოვანი "ფილოსოფიის ისტორიული ენციკლოპედიის" მე-7 ტომს (ბაზელი, 1989), სადაც მოთავსებულია ფროიდიზმის კრიტიკა სხვადასხვა ფილოსოფიურ განშტოებათა მხრიდან (ნეოპოზიტივისტთა, ფენომენოლოგთა, ექზისტენციალონტოლოგისტთა, ექზისტენციალისტთა და სხვათა). მაგრამ განსაკუთრებითი აღნიშვნის ღირსია თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის კურტ ჰიუბნერის წიგნი "მითოსის ჭეშმარიტება", 1985 წ. (არსებობს ამ წიგნის ინგლისური და რუსული თარგმანი), სადაც ფართო მსჯელობით დამტკიცებულია, რომ ფროიდის ძირითადი "მიგნება", ე.წ. "ოიდიპოსის კომპლექსი", მისი მხრიდან ამ მითის სრულ გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

დასასრულს იმას აღვნიშნავ და მკითხველს შევახსენებ, რომ ეს წიგნი იწერება ქრისტიანული პოზიციიდან. ამიტომ ნურავინ შეეცდება დაგვიმტკიცოს "ფროიდიზმის" ან სხვა ანტიქრისტიანული "იზმის" უპირატესობა იმით, რომ ის დასავლეთში მიღებული და გავრცელებულია. კიდევ გავიმეორებ შესანიშნავი მეცნიერისა და ქრისტიანის, სერგეი ავერინცევის სიტყვებს, რომ დღეს ევროპაში მხოლოდ ქრისტიანული ოაზისებია წარმართული უდაბნოთი გარშემორტყმული. ნიცშე, თავისი ვიზიონერული ხილვით, ჭვრეტს მომავალს - "უდაბნო იზრდება: ვაი მას, ვინც თავის თავში მალავს უდაბნოს!" ამაში პირადად დავრწმუნდი, როდესაც პოლონეთში გახლდით 70-იანი წლების დასაწყისში და იქ საეკლესიო წრეებთან, თვით მონასტრებში მქონდა საუბარი. იმასვე ვიტყვი გერმანიაზე, სადაც 2003 წელს ვიყავი და იგივე ჩვენები მესმოდა კათოლიკე ინტელექტუალებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ეკლესია გმინავს (აქ არ იგულისხმება ლათინური ამერიკა) წარმართობისა და ხალხის ინდიფერენტული დამოკიდებულებისაგან. მაგრამ არც რუსეთის ეკლესიას ადგას კარგი დღე. მიუხედავად მისი სერვილიზმისა და სახელმწიფოს ნეოიმპერიალისტური კურსის მიმართ თავის დაკვრისა და წახალისებისა, მისი ავტორიტეტი დიდი არ გახლავთ. რად ღირს თუნდაც ის, რომ ეკლესიის დიდი თხოვნის მიუხედავად "ნტვ"-ს ტელეარხმა მაინც უჩვენა სკორსეზეს ანტიქრისტიანული ფილმი. საინტერესოა, რომ რუსული "ადამიანის უფლებათა დამცველთა" დიდი ნაწილი დღეს ანტიქრისტიანულადაა მიმართული. მაგალითად, ფართოდ გახმაურდა ის სკანდალი, როდესაც ე.წ. "სახროვის სახლში", ე.წ. მხატვართა ანტიქრისტიანული გამოფენა დაარბიეს. ამ დროს ტელევიზორის ეკრანზე ვიხილეთ ცნობილი სამართალდამცველი გალინა ნოვოდვორსკაია, რომელიც ჰერმაფროდიტის ხმით იცავდა ამ "მხატვრობას" (მაგ., მაცხოვრის სახის უკან წითელფრად დახატული "კოკა-კოლას" რეკლამა დიდი მინაწერით: "ეს არს სისხლი ჩემი...") და გაიძახოდა, რომ სად არის ღმერთი, რატომ თავის თავს არ იცავსო?!

მაგრამ როდესაც ამას ვწერ, მკითხველს ასევე შევახსენებ, რომ მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ. ვგულისხმობ რაღაც საერთო "კავკასიური სახლის" თუ "სახელმწიფოს" შექმნას და მუსლიმანურ ეთნოსებთან გაერთიანებას. ვფიქრობ, წინა თავებში საკმარისი არგუმენტები მოვიყვანე ამის საწინააღმდეგოდ. სულ სხვა რამაა ასეთ ერებთან ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, მაგრამ "ერთ სულ და ერთ ხორცად" ყოფნა წარმოუდგენელია, რადგან ერთ-ერთი მხარე უცილობლად განახორციელებს სულიერ ექსპანსიას. ასევე ბოდვად მეჩვენება, როდესაც დღევანდელი "კავკასიური სახლის" დიასახლისი გერმანულ პრესაში ჩრდილოკავკასიელებს "ბოდიშს" უხდის, ასევე ბნელი გონების ბოდვაა, რომ თურმე გლობალიზაციას და ყოველივე ბოროტს ამქვეყნად "საქართველო და ჩეჩნეთი" დაუპირისპირდება და მოსპობს და ა.შ. გამოსავალი ერთია: ვეძიოთ ხსნა მხოლოდ ქრისტეში.

ბოლოთქმა

გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს ცნობილმა პალეონტოლოგმა და ბუნების ფილოსოფოსმა ედგარ დაკემ თავისი წიგნის "ბუნება და სული" წინასიტყვაობაში ასეთი რამ დაწერა: "რაც რომანტიზმის აზრთა წყობას ჩვენი მომავალი და ამჟამინდელი სულიერი წყობისაგან განასხვავებს, არის ის, რომ რომანტიკოსისათვის ბუნება წარმოადგენდა დიდ ჰარმონიას და მასთან ურთიერთობა მასში ესთეტიკურ კმაყოფილებას იწვევდა. ჩვენ ბუნების სახით კვლავ საშინელი და დემონური გვეცხადება: კმაყოფილება გაქრა და უკვე საკუთარი ადამიანური სიდიადითაც აღარ ვართ აღფრთოვანებულნი, რადგან საკუთარ ადამიანურ ბუნებას კვლავ და კვლავ კატასტროფისაკენ მივყავართ. და რადგანაც ჩვენ სხვანი ვართ, ბუნებაშიც ვხედავთ უკვე არა დამამშვიდებელ ჰარმონიას, არამედ მის უფსკრულებს, რომლის წინაშეც შიშითა და ძრწოლვით ვდგავართ".

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ათონის მთის ბერულ სენაკში ასე ხედავდა ამ პრობლემას სათნო ბერი, პაისი მთაწმინდელი: "მცირე სიკეთე დიდ ბოროტებაში იძირება და ხელისუფლება ბოროტებას უპყრია... ღმერთი ამჟამინდელ სამყაროს ორივე ხელით იფარავს - მაშინ როცა წარსულ დროებში - მხოლოდ ერთით".

ღმერთმა ინებოს, რომ კაცობრიობასთან ერთად საქართველოც გადარჩენილიყოს.

თბილისი, 10 დეკემბერი 2004 წლისა.

TV პროგრამა

18 თებერვალი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაილმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "მხოლოდ ტუჩებში არა" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** დოკ. ფილმი (ბიბი-სი) **19.05** მხ. ფილმი "არაჩვეულებრივი გამოფენა" (გ) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "კლოუნები" (გ) რეჟ. ფელინი. **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "13 გვამი" (18)

1

08.00 "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" **08.45** საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ტიმბუკტუს დაკარგული სპილოები" **13.20** მხ. ფილმი "დიდი გარიგება" **15.00** კონცერტი ბუკინგემიდან **16.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "შერლინი" **17.00** "არტე" წარმოგიდგენთ - "ჟაკ ლასელი" **18.00, 20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **18.10** "არქივი" - ხალხური **18.30** "მრწამსი" - ლიტურგია **19.00** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"-ლას ვეგასი **20.30** დოკ. ფილმი "ჰოლიეუდი და დანაშაული" **21.30** "რაცია" - ნაირა გელაშვილი **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - ლენინი **23.30** "ჩვენ" **00.45** მხ. ფილმი "შენი სრულყოფილება" (18) **02.00** საინფ. გამოშვება

მზე

08.50 მუსიკა მზეზე **09.00** ანიმაციური სერიალი **09.30** მუსიკა **10.00** ანიმაციური ფილმი **11.00** ცირკი **11.30** სერიალი "პატარა და დიდი ბობი" **12.00** სერიალი "ვუში" **12.30** ტელეეფურნალი "მოდა" **13.00** სერიალი "პროექტი "ბორისი" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "ყვითელი შადრევანი" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** ფარული კამერა **17.50** მხ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ტელეეფურნალი "სცენა" **22.00** მხ. ფილმი "ჭიამაიები" (გ) (როდნი დენჯერფილდი) **00.00** მხ. ფილმი "მარლენ დიტრიხი". (გ) (კატია ფლინტი)

2 მეორე არხი

19.00 სერიალი "თავგადასავალი კარიბის ზღვაზე" **19.30** ტელეზღაპარი **20.05** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.30** დოკ. ფილმი "ჟან რენო -მშვიდი ადამიანი" **21.20** ექსცენტრიკოსები **21.45** კინოსეანსი "დარტანიანის ქალიშვილი"

იმედი

08.10 ანიმ. ფილმი "კუ-ნინძების ახალი თავგადასავალი" **08.40** ანიმ. მხ. ფილმი "ორმოები" (გ) (ს. უოვერნი) **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "ღილის ფოსტა" **12.40, 16.15, 02.05** ტეგმარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 00.20** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "ჩემი მამრის მტერი" (გ) (ტ. ბერენჯერი) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.40** ვაკაჭი-ნიუსი **20.10** მხ. ფილმი "თარგმანში დაკარგულნი" (ბ. მიურეი) **20.40** "დუბლიორის" გამოსაშვები საღამო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (პირ. რეპ.) **00.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **03.35** იმედის მელოდიები

აჭარა

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.30** კომედია "თაგვებზე ნადირობა" **11.00** "მოგზაური" **11.30** კომედია "ცუდი ხასიათი" **13.10** მხ. ფილმი "მოკვდი ოღონდ ახლა არა" **15.30** მუსიკა **16.00** ჟულტფილმი **17.15** "ჭიტა-ჭიტა" **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "სიყვარულის ისტორია" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** "ფერისცვალება" **21.10** კომედია "სტრიპტიზი" **23.00** მუსიკა **23.30** მხ. ფილმი "აუზი" **01.10** მუსიკა

ქუთაისი

11.00 ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "სამოთხის მეორე მხარე" (გ) **13.00** "წმინდა მაქსიმე ალმასრულებლის საფლავი ცაგერში" **13.30** ტუწ-ემ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** საწინდარი **20.10** საბაჯშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **21.00** მხ. ფილმი "არ მოკვდე მარტო" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

1 ОРТ

06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. **06.10** Мультсериал "Американский хвост". **06.20** Анимационный фильм "Покемон 2000". **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Смак" с Андреем Макаревичем. **10.30** Юрий Антонов. "От печали до радости". **11.00** "Интересное кино". Магия "Формулы любви". **12.10** История с географией. "Возвращение в Шаолинь". **13.10** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.40** Умницы и умники. **14.20** "Зимняя шутка" **15.10** "Слабое звено" **16.00** Курт Расселл в боевике **"БОЛЬШОЙ ПЕРЕПОЛОХ В МАЛЕНЬКОМ КИТАЕ"**. **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Субботний "Ералаш". **18.40** "Новые песни о главном". **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Жан Рено в боевике **"РОЛЛЕРБОЛ"**. **01.30** Оливер Платт в комедии **"САМОЗВАНЦЫ"**. Два актера-неудачника Морис и Артур уже давно "на мели". Театральная халтура подворачивается далеко не всегда. А тут еще принял неожиданный оборот конфликт с британской звездой Джереми Бартомом, которого друзья смертельно оскорбили. Вынужденные спасаться бегством от полиции и огромных неприятностей, друзья проникают на океанский лайнер, на котором по иронии судьбы находится и их заклятый враг Бартом. Прячась по каютам от погони, друзья становятся обладателями страшной тайны, явно не предназначенной для чужих ушей. Теперь в их руках судьба корабля и жизни всех пассажиров... **03.20** Джей Мор в триллере **"ЧЕРНАЯ РЕКА"**. **05.00** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО"**.

НТВ

06.00 Мультфильмы "Геракл у Адмета", "Василиса Микулишна". **06.40** Луи де Фюнес в комедии **"ЗАМОРОЖЕННЫЙ"** **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** "Сегодня" **08.15** Мультфильм "Зарядка для хвоста". **08.25** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ГОРЯЧИЙ ОШЕЙНИК"**. **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий м

საჩვენებელი კონცერტი

გუშინ გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში გაიმართა ფოლკლორულ ანსამბლ "ალვანურის" საჩვენებელი კონცერტი. 18 მარტიდან ანსამბლი ფოლკლორული რეპერტუარით გასტროლებზე ბალტიის ქვეყნებში გაემგზავრება. პირველი კონცერტი 25 მარტს რიგაშია დაგეგმილი; კონცერტები გაიმართება აგრეთვე ლიტვასა და ესტონეთში. ***ინტერ-პრესი***

ბაქოელი რეჟისორი თბილისში სპექტაკლს დადგამს

თბილისის აზერბაიჯანულ თეატრს ცნობილი ბაქოელი რეჟისორი ჰუსეინ ალია ათა ქიშიევი სტუმრობს. აზერბაიჯანული თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ხათუნა ასათიანის თქმით, ქიშიევი თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში ალი ამერილის პიესას - "მისი ორი ნეკნი" დადგამს. რეჟისორი თეატრის დასთან ერთი თვის განმავლობაში იმუშავებს, პრემიერა, სავარაუდოდ, მარტში გაიმართება.

ჰუსეინ ალია ათა ქიშიევთან ერთად თბილისში ბაქოს ნაციონალური თეატრის მთავარი მხატვარი ნაზიმ დეკიშიევიც ჩამოვიდა. უახლოეს მომავალში თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში ბაქოელი მსახიობების სტუმრობა და გაცვლითი სპექტაკლების გამართვაც იგეგმება. ***ინტერ-პრესი***

გოგი დოლიძის საიუბილეო საღამო

თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 5 მარტს ცნობილი ქართველი მომღერლის გოგი დოლიძის საიუბილეო საღამო გაიმართება. ამ დღეს საზოგადოება გაეცნობა წიგნს გოგი დოლიძის შესახებ, რომელიც მომღერლის დამ ლალი დოლიძემ გამოსცა. წიგნში ბიოგრაფიული მონაცემები, მეგობრების მოგონებები და კოლეგების წერილებია შესული.

გასული წლის 5 სექტემბერს გოგი დოლიძეს 50 წელი შეუსრულდებოდა. 1996 წლის 8 მარტს გოგი დოლიძე გულის შეტევით გარდაიცვალა. ***ინტერ-პრესი***

კეტჩუპის რეკლამა კუსტურიცასგან

სახელოვანმა რეჟისორმა ემირ კუსტურიცამ "ბალტიმორის" ახალი კეტჩუპის - "ბოშური ბალტიმორის" სარეკლამო რგოლი გადაიღო. "ყვითელი პრესა" უკვე ალაპარაკდა, რომ "კუსტურიცამ იაფფასიანი რეკლამა გააკეთა"; თუმცა, როგორც ირკვევა, რეჟისორისთვის მთავარი სულ სხვა რამ იყო. კერძოდ, როგორც რეკლამის დამკვეთები ამბობენ, კუსტურიცას სარეკლამო რგოლის სცენარი ძალიან მოსწონებია და უთქვამს: ამ იდეაში შეიძლება ჩემთვის საინტერესოც ვიპოვო ახალი ფილმისთვისო.

არ ხმაურდება ჰონორარის ოდენობა, თუმცა, როგორც ამბობენ, რეჟისორს გასამრჯელო ბევრი არ აუღია. 30-წამიანი კლიპისთვის გადაღებები სერბეთის მთებში მიმდინარეობდა.

შესრულებული	სიმღერა	წინა კვირის პოზიცია
"ღის ლოვნელ ბოის"	Heaven	1
ედი კლარკსონი	Breakaway	2
ჯონ მაიერი	Daughters	4
ბარტონ მაკბრაიერი	In My Daughter's Eyes	4
ტიფ ურბანი	You'll Think of Me	3
"ბარუნ 5"	She Will Be Loved	5
ლიმ მაკგროუ	Live Like You Were Dying	7
დერეკ ბოლი და ჯონ ოუენსი	I'll Be Around	9
ფილ ვილინზი	Don't Let Him Steal Your Heart Away	8
"ბარუნ 5"	This Love	10

„ოსკარს" ლირსეული ნომინანტები შემოაკლდა

ამერიკის კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე - "ოსკარზე" წარდგენილი ფილმები ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველაზე არაპოპულარულ ფილმებადაა მიჩნეული. საქმე ისაა, რომ "საუკეთესო ფილმის" ნომინაციაზე წარდგენილი ხუთი ფილმი, დამსწრეთა რაოდენობის გათვალისწინებით, აშკარად ჩამოუვარდება წინა წლებში "ოსკარზე" ნომინირებულ ფილმებს. ირკვევა, რომ მაყურებელთა ახლანდელი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით ნახევარს შეადგენდა.

თუმცა, ამერიკის კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოს მიაკუთვნებენ ფილმებს არა მასზე დამსწრე მაყურებელთა და გაყიდული ბილეთების რაოდენობის გათვალისწინებით, არამედ სხვა ღირსებებისთვის. "ოსკარების" გადაცემის ორგანიზატორთა ერთ ნაწილს ისიც აღელვებს, რომ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის პირდაპირ ტრანსლაციას არცთუ დიდი აუდიტორია ეყოლება.

"ახლა არც "ტიტანიკი" გვაქვს და არც "ბეჭდების მბრძანებელი", - სინანულით აღნიშნავს კინოაკადემიის აღმასრულებელი დირექტორი ბრიუს დევისი. - გამოგიტყდებით, ეს ძალიან გვაღელვებს".

ესეც დასტური: წელს "საუკეთესო ფილმის" კატეგორიაში წარდგენილი ფილმი 51 მილიონმა ამერიკელმა იხილა, მაშინ როცა ეს ციფრი გასულ წლებში 100-დან 118 მილიონამდე მერყეობდა.

საინტერესოა, რომ ტელეტრანსლაციისას "ოსკარების" დაჯილდოების ცერემონიალს ყველაზე მეტი მაყურებელი 1997 წელს ჰყავდა, მაშინ, როდესაც "ტიტანიკმა" 11 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

სხვათა შორის, ცერემონიამდე ფილმმა გაქირავებაში 500 მილიონი დოლარი შეაგროვა, ხოლო მთლიანად მის მიერ მოპოვებულმა თანხამ 1,8 მილიარდი შეადგინა.

წლეულს "ოსკარზე" წარდგენილი ფილმებიდან ყველაზე პოპულარულად ამერიკაში 90 მილიონის შემგროვებელი "ავიატორი" გვევლინება. გაცილებით დიდი ბლოკბასტერებია წარდგენილი მულტფილმების კატეგორიაში. ესენია "შრეკი 2" (463 მილიონი) და "სუპერროჯახი" ("ყველაზე მაგრები მსოფლიოში", 259 მილიონი). თუმცა, არის ერთი "ამოვარდნაც" - მელ გიბსონის "ქრისტეს ვნებანი", რომელმაც მარტო აშშ-ში 370 მილიონი დოლარი დააგროვა, კინოაკადემიის მიერ იგნორირებულ იქნა.

ისე კი, კინოინდუსტრიის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მაყურებელთა შორის ფილმის პოპულარობას არანაირი კავშირი არა აქვს "ოსკართან".

"ამისთვის არსებობს მაყურებელთა სიმპათიის ჯილდო, - ამბობს კინოსტუდია "იუნივერსალის" წარმომადგენელი ნიკი როკი. - ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა მაყურებელს, არამედ კინოინდუსტრიის მოხელეებს, რომლებიც ჯილდოებს მიაკუთვნებენ იმ ფილმებს, რომლებსაც საუკეთესოდ მიიჩნევენ."

„ლამაზმანმა" ტყუპები ჩააჩხაკუნა

სალი ბოკერია

ჰოლივუდის "ლამაზმანმა" ჯულია რობერტსმა ცოტა ხნის წინათ ტყუპი ქალ-ვაჟი მოავლინა ქვეყანას. ამ დღეებში ფოტოების მეშვეობით ფართო საზოგადოებამ პირველად იხილა ბავშვები. ჰეიზელ პატრიცია და ფინეუს უოლტერის სურათების გადაღებაზე იზრუნა მათმა მამამ, კინოოპერატორმა დენი მოდერმა, რომელზეც ჰოლივუდის ვარსკვლავმა 2002 წელს იქორწინა. ბავშვების დაბადებით გაბედნიერებული ჯულია კი აღიარებს, რომ დედობა მისი საუკეთესო როლია.

გამოქვეყნებული სურათებიდან ჰონორარის სახით შემოსული თანხა კი, როგორც ირკვევა, საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. "ჩვენ გვსურს სიხარულის გაზიარება და ჩვენი მომავალი სიცოცხლის დაცვა".

მშობლები იმედოვნებენ, რომ გამოქვეყნებული ფოტოებით დაკმაყოფილებენ საზოგადოების ბუნებრივ ინტერესს და ნიუ მექსიკოს რანჩოზე მცხოვრები ბედნიერი ოჯახი პაპარაცთა შემოტევებისგანაც დაიცავს თავს.

შეგახსენებთ, რომ ტყუპები ერთი თვის წინათ მოევლინენ ქვეყანას და ორ კილოგრამზე მეტს არ იწონიდნენ. ახლა კი თავს მშვენივრად გრძნობენ და გამუდმებით აკვირდებიან გარემოს.

37 წლის ჯულიას საკმაოდ მძიმე მშობიარობა ჰქონდა. ამერიკელთათვის საყვარელმა მსახიობმა დაორსულების რთულ პროცედურას - ექსტრაკორპორალურ განაყოფიერებას მიმართა. ახლა ის კინოკარიერის ჩვეულ რიტმს უბრუნდება. ზედმეტი წონისგან გათავისუფლდა და შეთავაზებულ სცენარებსაც ეცნობა. აქვე გეტყვით, რომ იგი ორსულობის დროსაც იღებდა მონაწილეობას ფილმებში "ახლო" და "ოუშენის თორმეტი მეგობარი", რომლის ხილვის საშუალება ამ დღეებში აქვს თბილისელ მაყურებელს.

ცოტა ხნის წინათ რობერტსი გადაღებებისგან ხუთი წლით შესვენებას აპირებდა, რათა ბავშვებისთვის მეტი დრო დაეთმო.

რობერტსების ოჯახს ტყუპები გენეტიკურად მოსდგამთ. ცნობილია, რომ ჯულიას დიდი ბაბუა ტყუპების მამა იყო. მის ბიძაშვილ-მამიდაშვილებსაც ჰყავთ ტყუპები. მიუხედავად ამისა, ჯულია რობერტსის ტყუპები გენეტიკის კი არა, არამედ ეკო-ს (ექსტრაკორპორალური განაყოფიერება) პროცედურების დამსახურებაა.

ფანტომასი ბრუნდება საფრანგეთში

23 თებერვალს საფრანგეთის ეროვნულ დრამატულ თეატრ "ლემოჟეში" დაგეგმილია მიუზიკლის - "ფანტომასი ბრუნდება" პრემიერა. სპექტაკლის დამდგმელია თეატრის მთავარი რეჟისორი პიერ პრადინა.

ჟურნალისტების - პიერ სუვესტერისა და მარსელ ალენის მიერ გამოგონილმა ფანტომასმა, არსებობის ასი წლის განმავლობაში უამრავი სასცენო და კინემატოგრაფიული გადაწყვეტა გამოსცადა.

ნაწარმოების მუსიკალური ჟანრი ხასიათდება, როგორც აფროამერიკული მუსიკის კოლორიტთან შერწყმული ფანკ-ბაროკო. ლიმოჟის პრემიერის შემდეგ სპექტაკლი მთელ საფრანგეთს მოივლის. პარიზში სპექტაკლს აპრილის ბოლოდან მთელი წლის განმავლობაში წარადგენენ.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) გინდეთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან, ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება UNIVERSITY OF WALES INSTITUTE Cardiff-თან ერთად.

MBA მარკეტინგი (ფინანსები) IT1 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

BA BA (Hons) 2 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

სრული კურსის ფასი **£4550** ნაბიჯებიდან 1 წ.

ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად.

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გაცლა შესაძლებელია დამატებითი £1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება.
მის: თბილისი, მცხეთის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284, მობ. 877-423569
E-maol: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"

12-დან 18 საათამდე მუშაობს კაფეს სტატუსით,
სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმეულ ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.

ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.